178
1985/2

ISSN 0132-5981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

5 1985

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 5

სექტემბერი
ოქტომბერი
1985 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უხეში დარღვევებისათვის პასუხს აგებინებენ 3

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლოთობის წინააღმდეგ გრძოლის გაძლიერების შესახებ 6

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გრძოლის გაძლიერების, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ 9

დებულება საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილი ლოთობასთან გრძოლის კომისიებისა 15

7 ოქტომბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

გ. ერემოვი — საბჭოთა კონსტიტუცია ხალხის კონსტიტუციაა 19

კანონის ძალა — ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

ი. ჟორდანია — გრძოლა გამოვუცხადოთ ლოთობასა და ალკოჰოლიზმს . 24

გ. შალამბერიძე — ლოთობა და საჯე ერთად შეუთავსებელია 28

კ. ნარმანია — აღმოვფხვრათ ლოთობა და ალკოჰოლიზმი 32

გ. როინიშვილი — რესპუბლიკის ადვოკატები ახალი ამოცანების წინაშე . 37

იურიდიული ცოდნა მასებს

ზ. ახვლედიანი — მეგალეობის ამხანაგობის წევრად მიღება 43

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

რ. ფიფია — ფილიალების სამართლებრივი სტატუსი 48

დ. მეტრეველი — ნარკოტიკების დიდი ოდენობის ცნება საქართველოს სსრ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში 55

ნიკო მარის დაბადების 120-ე წლისთავისათვის

გ. ნადარეიშვილი — ნიკო მარი და ქართული სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი 59

ჩვენი ინტერვიუ

ქართული იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის . . . 67

ოფიციალური მასალა 71

ჩვენი პროფესიის ადამიანები

ა. არსენაშვილი — კვლავ მწყობრში 74

ინფორმაცია 76

მოზაიკა 79

ცნობები ავტორთა შესახებ 80

СОДЕРЖАНИЕ

В Центральном Комитете Компартии Грузии

За грубые нарушения к ответственности 3

Указ Президиума Верховного Совета СССР «Об усилении борьбы с пьянством» 6

Указ Президиума Верховного Совета Грузинской ССР «О мерах по усилению борьбы с пьянством, алкоголизмом и искоренению самогоноварения» 9

Положение Комиссии по борьбе с пьянством, созданных на предприятиях, в учреждениях, организациях и их структурных подразделениях . 15

7 октября — День Конституции СССР

Г. Еремов — Советская Конституция — Конституция народа . 19

Сила закона против пьянства и алкоголизма

И. Жордания — Объявим борьбу пьянству и алкоголизму . . . 24

Г. Шаламберидзе — Пьянство и руль несовместимы 28

К. Нармания — Искореним пьянство и алкоголизм 32

Г. Роинишвили — Адвокаты республики перед новыми задачами . 37

Юридические знания — массам

З. Ахвледиани — Прием в члены садоводческого товарищества . 43

Первые шаги в науке

Р. Пипиа — Правовой статус филиалов 48

Д. Метревели — Понятие большого количества наркотиков в законодательстве Грузинской ССР и в судебной практике . . . 55

К 120-летию со дня рождения Нико Мари

Г. Надарейшвили — Нико Мари и некоторые вопросы истории Грузинского права 59

Наше интервью

За дальнейшее развитие грузинской юридической науки 67

Официальный материал 71

Люди нашей профессии

А. Арсенашвили — Вновь в строю 74

Информация 76

Мозайка 79

Сведения об авторах 80

მთავარი რედაქტორი: ლ. თალაკვაძე.

სარედაქციო კოლეგია: ლ. ალექსიძე, ა. არსენაშვილი (მეცნიერ-რედაქტორი), გ. ბერძენიშვილი (პ/მგ. მდივანი), ა. გაბიანი, ა. კარანაძე, დ. ლორია, ვ. რაზმაძე, გ. როინიშვილი, თ. შავგულიძე, ა. შუშანაშვილი, ი. ჩიქოვანი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1985 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, პლეხანოვის პრ. 103, ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 23. 10. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 12. 85 წ.
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5
შეკვ. № 2463 ტირაჟი 24.300 უე 05642

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უხეში დარღვევებისათვის პასუხს აგებინებენ

13.098

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლისას შეღავათების მიღების მიზნით მოსწავლეთა შრომითს მოწყობაში უხეში დარღვევების საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გამოვლენილია თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლისას შეღავათების მიღების მიზნით მოსწავლეთა შრომითს მოწყობაში დაშვებული უხეში დარღვევების ფაქტები.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების თანახმად წარმოებას მოუწყვეტლივ უწინარეს ყოვლისა სხვა კატეგორიებთან ერთად ირიცხებიან პირები, რომლებსაც აქვთ არჩეული სპეციალობით პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა ექვსი თვის სტაჟი. მომავალი აბიტურიენტების ცალკეული მშობლები, მათ შორის პასუხისმგებელი მუშაკები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უკანონო ხელშეწყობით თავიანთ შვილებს აწყობდნენ თანამდებობებზე, რომლებიც არ შეიძლება დაიკავონ მოსწავლეებმა, პროფილით პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მიღების მიზნით, რაც იძლევა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე უპირატესი ჩარიცხვის უფლებას.

თბილისის უნივერისტეტის ხელმძღვანელობა და მიმღები კომისია, გამოიჩინეს რა ამ საკითხისადმი შეუწყნარებელი ფორმალური მიდგომა, პროფილით პრაქტიკული მუშაობის სტაჟად უთვლიდნენ უფროსკლასელებს იურისკონსულტებად, იურისტ-პრეტენზიონისტებად, კადრების განყოფილებათა ინსპექტორებად მუშაობას დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და შეღავათიანი პირობებით რიცხავდნენ ასეთ აბიტურიენტებს იურიდიულ ფაკულტეტზე.

ამავე დროს, ნორმატიული დოკუმენტების თანახმად, იურისკონსულტის თანამდებობაზე ინიშნებიან პირები, რომლებსაც უმაღლესი იურიდიული განათლება აქვთ, გამონაკლის შემთხვევებში ამ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ პირები, რომლებსაც არა აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება, მაგრამ აქვთ იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა სამი წლის სტაჟი, ან სწავლობენ უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების ბოლო კურსებზე. კადრების განყოფილებათა ინსპექტორებად შეიძლება დაინიშნონ პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო სპეციალური განათლება, ან ზოგადი საშუალო განათლება და გაიარეს ინდივიდუალური სწავლება დაახლოებით სამი თვის მანძილზე.

ყველა ეს მოთხოვნა უგულებელყვეს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სადაც მუშაობდნენ მომავალი აბიტურიენტები, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა. ბევრი აბიტურიენტი ამ თანამდებობაზე გაიგზავნა სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების გადაწყვეტილებებით.

წელს 38 აბიტურიენტი, რომლებიც შედიოდნენ იურიდიულ ფაკულტეტზე წარმოებას მოუწყვეტლივ, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლას უთავსებდა მუშაობას ისეთ თანამდებობზე, რომლებიც აძლევდა შესაძლებლობას შეღავათიანი პირობებით ჩარიცხულიყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათგან 18 აბიტურიენტმა მოაგროვა გამსვლელი ქულა, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის გადაწყვეტილებით მათი ჩარიცხვა შეჩერდა.

აღნიშნულ პირთა მამები ძირითადად არიან სამეურნეო ხელმძღვანელები, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოების, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები, თბილისის უნივერსიტეტის მასწავლებლები. ამ კატეგორიის აბიტურიენტთა შორის არ არიან მუშებისა და კოლმეურნეების შვილები. ბევრ შემთხვევაში შვილების შრომითი მოწყობისას შეინიშნება

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახელმწ. ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტექციონიზმის, მშობლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების ფაქტები.

შეუწყნარებელ მოქმედებაში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში, მორალურ-ეთიკური ნორმების უხეშ დარღვევებში გარეული აღმოჩნდა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკიც. მახარაძის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ამხ. ნ. ტ. ტაკიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე იურისკონსულტად მუშაობას მახარაძის საფუთავ ქარხანაში (სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. ნ. ლ. ჭელიძე).

ქალაქ რუსთავის პროკურორის ამხ. მ. ზ. ქურდაძის ქალიშვილი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების განყოფილების ინსპექტორად მუშაობას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „სოფლმშენმონტაჟის" № 25 ტრესტის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოში (უფროსი ამხ. ე. მ. ბუბუთეიშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტკომის მდივნის ამხ. ე. პ. სამხარაძის ქალიშვილი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების ინსპექტორად მუშაობას გლდანის რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში (უფროსი ამხ. ჯ. ა. შენგელია).

გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორის მოადგილის ამხ. ნ. კ. ჯაველიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების განყოფილების ინსპექტორად მუშაობას „თბილისგვირაბმშენის" რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში (ქარხნის დირექტორი ამხ. ს. ა. ბიწაძე).

უნდა აღინიშნოს, რომ 1983 წელს იურიდიულ ფაკულტეტზე ამავე გზით მოეწყო ამხ. ნ. კ. ჯაველიძის უფროსი ვაჟი, რომელიც სკოლაში სწავლის დროს მუშაობდა გეგეჭკორის რაიონული სამრეწველო კომბინატის კადრების განყოფილების ინსპექტორად.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. წიქარაძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების ინსპექტორად მუშაობას „საქსოფლდამზადების" ლაგოდეხის გაერთიანებაში (თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ამხ. ნ. ნ. ჭაბაშვილი).

მცხეთის პურკომბინატის დირექტორის ამხ. გ. გ. ძიმისტარაშვილის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების ინსპექტორად მუშაობას „მაღლივმშენის" № 10 ტრესტის კარკას-პანელიანი სახლთმშენებლობის ქარხანაში (დირექტორი — ამხ. რ. ა. თუთაშვილი).

ყოველივე ეს მოწმობს მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში უპრინციპობისა და უპასუხისმგებლობის, პროტექციონიზმის, სახელმწიფო დისციპლინის ნორმებისადმი აგდებული დამოკიდებულების ვითარებას, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მხრივ ხელმძღვანელებისადმი კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებას. ეს შედეგად მოჰყვა აგრეთვე ცალკეული მუშაკების მიერ მშობლის მოვალეობის მცდარად გაგებას, მისწრაფებას გამონახონ ადვილი გზები, ყოველი ღონე იხმარონ, უკანონო გზებსაც კი მიმართონ, ოღონდ „მოაწყონ" შვილები ცხოვრებაში.

ამგვარი ფაქტები მუშათა, კოლმეურნეთა, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს, ცალკეულ ადამიანებში ბადებს ეჭვს, რომ ყველგან იცავენ თუ არა სოციალური სამართლიანობის პრინციპებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შემდგომი გაჯანსაღებისათვის, დისციპლინის განმტკიცების, იჯახის სიწმინდის, მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ბრძოლის ვითარებაში უპასუხისმგებლობის, პროტექციონიზმის, მორალურ-ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები უთუო გაკიცხვას იმსახურებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას შეღავათების მიმცემი შრომითი სტაჟის მიღების მიზნით ქალიშვილებისა და ჭა-

ბუკების ისეთ თანამდებობებზე შრომითი მოწყობის მცდარი და შეუწყნარებელი პრაქტიკა, რომლებთან დაკავშირებულ მოვალეობათა შესრულებაა მათ არ შეუძლიათ.

საქართველოს სსრ პროკურატურას, სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალათ შეამოწმონ უტყუარობა დოკუმენტებისა, რომლებიც წარმოადგინეს აბიტურიენტებმა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე შესვლისათვის და შემოწმების მასალები რეაგირებისათვის გაუგზავნონ საქართველოს კომპარტიის შესაბამის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რათა განიხილონ საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია თბილისის უნივერსიტეტში იმ აბიტურიენტების ჩარიცხვა, რომლებმაც გამსვლელი ქულები მოაგროვეს.

პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ მკაცრად პარტიულ და სამსახურებრივ პასუხისგებაში მისცენ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მშობლები, უხეში დარღვევები და პროტექციონიზმი რომ დაუშვეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ მოსწავლეთა შრომითი მოწყობისას, რომლებმაც შემდეგ შრომითი სტაჟი გამოიყენეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეღავათიანი პირობებით ჩარიცხვისას.

პროტექციონიზმის ფაქტების დაშვებისათვის, შვილების აღზრდისადმი მცდარი, კომუნისტებისა და ხელმძღვანელებისათვის შეუფერებელი დამოკიდებულებისათვის სკკპ წევრები:

— მახარაძის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ნ. ტ. ტაკიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი ე. პ. სამხარაძე, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორის მოადგილე ნ. კ. ჯაველიძე გაირიცხნენ სკკპ რიგებიდან და განთავისუფლდნენ თანამდებობიდან;

— ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ი. წიქარიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადება მიეცა გადაწყვიტოს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისაგან მისი ვადამდე გაწვევის საკითხი.

პარტიის რუსთავის საქალაქო და მცხეთის რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ განიხილონ ქალაქ რუსთავის პროკურორის ამხ. მ. ზ. ქურდაძისა და მცხეთის პუროკომბინატის დირექტორის ამხ. გ. გ. ძიმისტარაშვილის პარტიული და სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

პარტიის თბილისის საქალაქო და მცხეთის რაიონულ კომიტეტებს დაევალათ განიხილონ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 25 ტრესტის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოს უფროსის ე. მ. ბუბუთეიშვილის, გლდანის რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ჯ. ა. შენგელიას, „თბილისგვირაბმშენის" რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის დირექტორის ს. ა. ბიწაძის, „მაღლივმშენის" № 10 ტრესტის კარკას-პანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნის დირექტორის რ. ა. თუთაშვილის, „საქსოფლდამზადების" მახარაძის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარის ნ. ლ. ჭელიძის მკაცრ პარტიულ პასუხისგებაში მიცემისა და თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევებისათვის, უპასუხისმგებლობისათვის და პროტექციით ცალკეულ პირთა შრომითი მოწყობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილს დაევალა გაზარდოს სამინისტროს აპარატის მუშაკთა პასუხისმგებლობა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია ფორმალური დამოკიდებულება აბიტურიენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვასა და უმაღლეს სასწავლებელში მათ ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის, არყის შინ გამოხდის გადაჭრით აღკვეთის, საზოგადოებრივი წესრიგისა და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმი ადგენს:

1. სპირტიანი სასმელების სმას ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახეობის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოების გარდა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში გამოჩენას, რაც შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას და საზოგადოებრივ ზნეობას, — მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი გაფრთხილების ან ოცდაათ ოცდაათ მანეთამდე ჯარიმის სახით.

იგივე მოქმედებას, რომელიც ჩადენილი იქნება ხელმეორედ, ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენების ერთი წლის განმავლობაში, მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ოდენობის ჯარიმის სახით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოქმედებას, ჩადენილს იმ პირის მიერ, რომელსაც ორჯერ დაეკისრა წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სასჯელი საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისთვის ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში გამოჩენისათვის, მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით ან ერთიდან ორ თვემდე ვადის გამასწორებელი სამუშაოები ხელფასის ოცი პროცენტის დაკავებით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოების გამო და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ღონისძიებების გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, თხუთმეტ დღემდე ვადის ადმინისტრაციული პატიმრობის სახით.

2. სპირტიანი სასმელების სმას წარმოებაში (სამუშაო ადგილებზე, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შენობაში და ტერიტორიაზე) ან სამუშაოზე მთვრალ მდგომარეობაში ყოფნას მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ჯარიმის სახით.

ოსტატებს, უბნების, ცვლების, საამქროების უფროსებს ან სხვა ხელმძღვანელებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ხელქვეით მუშაკებთან ერთად წარმობაში სპირტიანი სასმელების სმაში ან რომლებმაც არ განახორციელეს ღონისძიებანი მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირთა სამუშაოსაგან ჩამოშორებისათვის ან დამალეს მათი ხელქვეითი მუშაკების მიერ სპირტიანი სასმელების სმის ან სამუშაოზე მთვრალ მდგომარეობაში გამოჩენის შემთხვევები, დაედებათ ადმინისტრაციული სასჯელი ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

პირებისადმი, რომლებმაც ჩაიდინეს ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, მათთვის ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრებასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე დისციპლინური სასჯელის ღონისძიებანი.

3. შინნახადი არყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არყის, ბრაგის ან სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გასაღების მიზნების გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადებას ან შენახვას მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხიმგებლობა და ისჯება ორ წლამდე ვადის გამასწორებელი სამუშაოებით ან სამას მანეთამდე ჯარიმით. ხელმეორედ ჩადენილი იგივე მოქმედება ისჯება ორ წლამდე ვადის თავისუფლების აღკვეთით ან ერთიდან ორ წლამდე ვადის გამასწორებლი სამუშაოებით.

4. შინნახადი არყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არყის, ბრაგის და სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენას მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი ოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

5. სავაჭრო საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაკთა მიერ არყის და

სხვა სპირტიანი სასმელების ვაჭრობის წესების დარღვევას მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

6. მშობლებისა ან სხვა პირების მიერ არასრულწლოვანის დათრობას, თუ ეს მოქმედება თავისი ხასიათით არ მოითხოვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი ორმოცდათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

7. მცირე ოდენობით არყისა და სხვა სპირტიანი სასმელების, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების, სალაროს და სასაქონლო ჩეკებისა და ტალონების, სანახაობითი და სხვა საწარმოების, ბილეთების, წიგნების, ნოტების, გრამფირფიტების, მაგნიტოფონის, ვიდეოფონის კასეტებისა და სხვა ფასეულობათა შეძენას ან გაყიდვას მოგების მიზნით, თუ მოგების ოდენობა ოცდაათ მანეთს არ აღემატება, მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით სასპეკულაციო საგნების კონფისკაციით.

საქმეებს ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ სახალხო მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8. ამ ბრძანებულების I მუხლით გათვალსიწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს დღე-ღამის განმავლობაში განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან უფროსის მოადგილე, რომლებიც დამრღვევს აკისრებენ ადმინისტრაციულ სასჯელს გაფრთხილების ან ჯარიმის სახით, ხოლო ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან აკისრებენ ჯარიმას, ან ზემოაღნიშნულ ვადაში გაგზავნიან საქმეს განსახილველად რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში და უზრუნველყოფენ დამრღვევის იქ გამოცხადებას.

სახალხო მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად სასამართლოში მისი მიღების შემდეგ ერთი დღე-ღამის მანძილზე.

ამ ბრძანებულების I მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილებას აღასრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოები წვრილმანი ხულიგნობისათვის დანიშნული ადმინისტრაციული პატიმრობის აღასრულებლად დადგენილი წესით.

9. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებს უფლება მიენიჭოთ დააკისრონ ადმინისტრაციული სასჯელი ამ ბრძანებულების მე-2 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ დარღვევებისათვის.

10. შინაგან საქმეთა (მილიციის) ორგანოებს უფლება მიენიჭოთ ადმინისტრაციული სასჯელი დააკისრონ შინნახადი არყისა და სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენისათვის, ასეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან უფროსის მოადგილე.

11. პირი, რომელიც ჩაიდენს ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მასალები გადაეცემა განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან შრომითს კოლექტივს, თუ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მისადმი გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

12. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლიათ არ მისცენ საერთოდ ან ნაწილობრივ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით დაწესებული პრემიები, ჯილდოები, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები იმ პირებს, რომლების მიმართაც გამოყენებულია ამ ბრძანებულების პირველი და მეორე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებანი; მათ შეიძლება გადაუწიონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგითობა.

13. სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში „ადმინისტრაციული წესით დაკისრებული ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ, № 35, მუხ. 368; 1982 წ., № 37, მუხ. 698; 1983 წ, № 9 მუხ. 138, № 34, მუხ. 522; 1984 წ; № 24, მუხ. 423) მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვების შემდეგ „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე“, დაემატოს სიტყვები „შინნახადი არყისა და სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენაზე“, ხოლო ამ მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებს — წარმოებაში სპირტიანი სასმელების სმასთან ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნასთან დაკავშირებული დარღვევებისათვის და სპირტიანი სასმელების ვაჭრობის წესების დარღვევისათვის“.

2) „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების 1981 წლის 5 ივნისის რედაქციიდან (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ.; № 23, მუხ. 782) ამოღებულ იქნეს მე-11 მუხლი;

3) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულებაში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 16, მუხ. 252) პირველ მუხლში სიტყვებს „წვრილმანი ხულიგნობისათვის“ დაემატოს სიტყვები „საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისათვის ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში გამოჩენისათვის“;

4) „გზებზე მიმოსვლის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 15 მარტის ბრძანებულებაში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწებები, 1983 წ., № 12, მუხ. 174) მე-5 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ოცდაათიდან ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ასი მანეთი“, ამავე ნაწილში სიტყვები „ერთ წლამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთი წლიდან სამ წლამდე“, მეორე ნაწილი ამოღებულ იქნეს, მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეორე ნაწილად; მე-8 მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „ოცდაათიდან ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ასი მანეთი“, მე-9 მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „ოცდათიდან ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ასი მანეთი“, ამავე ნაწილში სიტყვები „ერთ წლამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთი წლიდან სამ წლამდე“, მე-12 მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „ოცდაათიდან ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ასი მანეთი“.

14. ეს ბრძანებულება ძალაში შევიდეს 1985 წლის 1 ივნისიდან.

15. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში ცვლილებები და დამატებანი ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ვ. კუზნეცოვი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი. კრემლი. 1985 წლის 16 მაისი.

ბრძანებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ

თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, სულ უფრო მეტად მოუთმენელი ხდება ლოთობა. ლოთობა ზიანს აყენებს მშრომელთა ჯანმრთელობას, ხშირად იწვევს ოჯახის დანგრევას, დამღუპველად მოქმედებს ბავშვების აღზრდაზე. ალკოჰოლის ზემოქმედებით ადამიანი კარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, სჩადის ხულიგნობასა და სხვა დანაშაულს. ლოთობა აზარალებს წარმოებას, იწვევს გაცდენებს და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევებს, ავარიებსა და ადამიანთა დაღუპვას.

მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ ლოთობის აღმოსაფხვრელად უფრო ეფექტიანი ზომების მიღებას, მისი ყოველი გამოვლენისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნას, არყის შინ გამოხდის გადაჭრით აღმოფხვრას, საზოგადოებრივი წესრიგისა და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

„ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად და ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის, არაყის შინ გამოხდის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის

1. სპირტიანი სასმელების სმა ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას გაფრთხილების ან ჯარიმის სახით ოცდან ოცდაათ მანეთამდე.

იგივე მოქმედება ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს ადმინსტრაციული სახდელის დადებას ჯარიმის სახით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ორჯერ დაედო ადმინისტრაციული სახდელი საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისათვის ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის, გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ანდა გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების მიღება ჩაითვლება არასაკმარისად, — ადმინისტრაციულ პატიმრობას თხუთმეტ დღე-ღამემდე.

2. ამ ბრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს დღე-ღამის განმავლობაში განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან მისი მოადგილე, რომელიც დამრღვევს ადმინისტრაციულ სახდელს დაადებს გაფრთხილების ან ჯარიმის სახით, ხოლო ამ მუხლის მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან დააჯარიმებს დამრღვევს ან საქმეს მითითებულ ვადაში განსახილველად გაუგზავნის რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს, ამასთან უზრუნველყოფს მის გამოცხადებას.

სახალხო მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, სასამართლოში მისი შესვლის შემდეგ დღე-ღამის განმავლობაში.

ამ ბრძანებულების პირველი მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დარღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილება სისრულეში მოჰყავთ შინაგან საქმეთა ორგანოებს იმ წესით, რომელიც დადგენილია წვრილმანი ხულიგნობისათვის დანიშნული ადმინისტრაციული პატიმრობის აღსასრულებლად.

II. პასუხისმგებლობა წარმოებაში სპირტიანი სასმელების სმისათვის

3. წარმოებაში (სამუშაო ადგილებზე, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შენობებში და ტერიტორიაზე) სპირტიანი სასმელების სმა ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

4. ოსტატებს, უბნების, ცვლების, საამქროების უფროსებს და სხვა ხელმძღვანელებს, რომლებიც მონაწილეობდნენ წარმოებაში ხელქვეით მუშაკებთან ერთად სპირტიანი სასმელების სმაში, ან რომლებმაც არ მიიღეს ზომები არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა სამუშაოსაგან ჩამოსაშორებლად ან დამალეს მათი ხელქვეითი მუშაკების მიერ სპირტიანი სასმელების სმის ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების შემთხვევები, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე.

5. ამ ბრძანებულების მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ ადმინისტრაცია, ის მუშაკები, რომლებიც იცავენ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, შინაგან საქმეთა ორგანოების (მილიციის) მუშაკები, სახალხო რაზმელები.

ამ ბრძანებულების მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

6. ამ ბრძანებულების მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩამდენთა მიმართ მათთვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე დისციპლინური სახდელის ზომები.

III. პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა ლოთობაში ჩათრევისათვის

7. მშობლებს ან სხვა პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით არასრულწლოვანის დათრობაში, თუ ეს მოქმედება თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე.

8. არასრულწლოვანის დათრობა იმ პირის მიერ, რომლისგანაც იგი სამსახურებრივად არის დამოკიდებული, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ანდა ჯარიმით ორასიდან სამას მანეთამდე.

არასრულწლოვანის ჩათრევა ლოთობაში გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

9. საზოგადოებრივ ადგილებში ოექვსმეტ წლამდე მოზარდის მთვრალ მდგომაერობაში ყოფნა, აგრეთვე მის მიერ სპირტიანი სასმელების სმა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, რომელიც დაედებათ მშობლებს ან მათ შეშცვლელ პირებს.

10. ამ ბრძანებულების მე-7 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს არასრულწლოვანის მშობლების და მათ შემცვლელ პირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიმართ განიხილავენ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული კომისიები, სხვა პირთა მიმართ — სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

11. სპირტიანი სასმელების წარმოებასა, შენახვასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამუშაოზე თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირთა მიღება აკრძალულია.

IV. პასუხისმგებლობა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევისათვის

12. სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების მიერ არაყით და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, რომელსაც დაადებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ან სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორასიდან სამას მანეთამდე, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მუშაობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

13. მცირე ოდენობით არაყის და სხვა სპირტიანი სასმელების, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების, საკასო და სასაქონლო ჩეკებისა და ტალონების, სანახაობითი და სხვა საწარმოების ბილეთების, წიგნების, ნოტების, გრამფირფიტების, მაგნიტოფონის, ვიდეოფონის კასეტების და სხვა ფასეულობათა შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით, თუ გამორჩენის ოდენობა არ აღემატება ოცდაათ მანეთს, გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, სპეკულაციის საგნების კონფისკაციით.

ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებს ერთპიროვნულად განიხილავს სახალხო მოსამართლე საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

V. პასუხისმგებლობა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდის, გასაღების, შენახვისა და შეძენისათვის

14. გასაღების მიზნის გარეშე შინნახადი არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ამ ბრძანებულების მე-14, მე-15 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიადან ორ წლამდე.

15. გასაღების მიზნით შინნახადი არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, ანდა გასაღების მიზნით მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა, აგრეთვე აღნიშნული სპირტიანი სასმელების ან აპარატების გასაღება გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა ჯარიმით ხუთასიდან ათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. შინნახადი არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენა გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას ჯარიმის სახით ოცდაათიდან ას მანეთამდე.

17. ამ ბრძანებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან მისი მოადგილე.

VI. პასუხისმგებლობა ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის

18. მძღოლებს, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებებს, ესე იგი ყველა სახის ავტომობილებს, ტრაქტორებს და სხვა თვითმავალ მანქანებს, ტრამვაი-ტროლეიბუსებს, აგრეთვე მოტოციკლებსა და სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს მართავენ ნასვამ მდგომარეობაში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების მართვას გადასცემენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პირს, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ასი მანეთის ოდენობით ან ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ერთიდან სამ წლამდე.

მძღოლებს, რომლებსაც აქვთ რამდენიმე სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ამ მუხლით გათვალისწინებულ დარღვევათა ჩადენისათვის ჩამოერთმევათ ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება.

19. პირებს, რომელთაც არა აქვთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება და მათ ნასვამ მდგომარეობაში მართავენ, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების მართვას გადასცემენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პირს, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ასი მანეთის ოდენობით.

20. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად დაუშვებენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მძღოლებს, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ასი მანეთის ოდენობით.

21. ამ ბრძანებულების მე-18-20 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამდებობის პირები კანონით დადგენილი წესით.

22. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ ამ ბრძანებულების მე-18 მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა, განმეორებით ჩადენილი წლის განმავლობაში, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ანდა ჯარიმით სამასი მანეთის ოდენობით, მძღოლისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ადრე ნასამართლევი პირის მიერ, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, მძღოლისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ხუთი წლის ვადით.

23. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლის სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად დაშვება, თუ ამას მოჰყვა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლში მითითებული შედეგები, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ანდა ჯარიმით ასიდან სამას მანეთამდე, ამასთან მას ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობათა დაკავების უფლება ვადით ხუთ წლამდე.

VII. საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება

24. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი განთავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მასალები განსახილვე-

ლად გადაეცემა ამხანაგურ სასამართლოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლოთობასთან ბრძოლის კომისიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან შრომითს კოლექტივს, თუ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათის და სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით მის მიმართ მიზანშეწონილია საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომის გამოყენება.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამხანაგურ სასამართლოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლოთობასთან ბრძოლის კომისიას შეუძლია ბრალეულის მიმართ გამოიყენოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა ფულადი ჯარიმის სახით ორმოცდაათ მანეთამდე.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, ამხანაგური სასამართლო, ლოთობასთან ბრძოლის კომისია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოვალე არიან სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული ზომების შესახებ ათი დღის ვადაში აცნობონ მასალების გამომგზავნ ორგანოს.

VIII. იმ პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვა და იძულებითი მკურნალობა, რომლებიც ეძალებიან სპირტიან სასმელებს

25. პირს, რომელიც ეძალება სპირტიან სასმელებს და ამით თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, შეიძლება სასამართლომ შეუზღუდოს ქმედუნარიანობა და დაუწესოს მზრუნველობა. ამ პირს შეუძლია დადოს ქონების განკარგვის გარიგებანი, აგრეთვე მიიღოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი და განკარგოს ისინი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების გარდა.

26. ქრონიკული ალკოჰოლიკები, რომლებიც თავს არიდებენ ნებაყოფლობითს მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ აგრძელებენ ლოთობას, გაიგზავნებიან სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნისათვის ვადით ერთიდან ორ წლამდე.

აღნიშნულ პირთა პროფილაქტორიუმში გაგზავნის საკითხს, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების შუამდგომლობით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო ღია სასამართლო სხდომაზე.

IX. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ზომები

27. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის, ოქმის შედგენის, აგრეთვე საქმის დროულად და სწორად განხილვის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით შინაგან საქმეთა ორგანოს (მილიციას) შეუძლია ადმინისტრაციული წესით სამ საათამდე ვადით დააკავოს ასეთი სამართალდარღვევის ჩამდენი და აუცილებლობის შემთხვევაში აწარმოოს დაკავებულის პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.

28. ქუჩაში და სხვა საზოგადოებრივ ადგილას საშუალო ან მძიმე ხარისხის ნასვამ მდგომარეობაში მყოფს მოათავსებენ სამედიცინო გამოსაფხიზლებელში და იქ ყოფნისათვის გაგადაახდევინებენ საზღაურს დადგენილი ოდენობით.

29. შინნახად არაყს და სხვა შინნახად მაგარ სპირტიან სასმელებს, მათ გამოსახდელ აპარატებს შინაგან საქმეთა ორგანოები (მილიცია) ჩამოართმევენ ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენს და საქმის განხილვის შემდეგ გაანადგურებენ.

30. შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსი, მისი მოადგილე ან სახალხო მოსამართლე ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აცნობებენ ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დამრღვევის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

31. პირებს, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სახდელის ზომები ამ ბრძანებულების 1, მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალიწინებული სამართალდარღვევებისათვის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ მოუხსნას პრემიები, გასამრჯელო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, არ მისცეს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები; გადაუწიოს საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგითობა.

X. ლოთობასთან ბრძოლის კომისიები

32. სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლოთობასთან საბრძოლველად გამიზნული საქმიანობის კოორდინაციას აწარმოებენ, აგრეთვე ლოთობის გამოვლენათა აცდენისა და აღკვეთის ღონისძიებებს შეიმუშავებენ და განახორციელებენ ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, რომლებიც შეიქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან. ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები შეიძლება აგრეთვე შეიქმნას სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან.

ეს კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

33. ლოთობის გამოვლენათა აცდენისა და აღკვეთის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შეიძლება შეიქმნას ლოთობასთან ბრძოლის კომისიები.

ეს კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ლოთობასთან ბრძოლის კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

34. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 9, მუხ. 187).

35. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 ივნისიდან.

36. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მოამზადოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანოს წინადადებანი ამ ბრძანებულების გამოცემასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.
1985 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილი ლოთობასთან ბრძოლის კომისიებისა*

I. ლოთობასთან ბრძოლის კომისიების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

მუხლი 1. ლოთობასთან ბრძოლის კომისიები მოწოდებული არიან აქტიურად შეუწყონ ხელი ლოთობის აღმოფხვრას და მისი ყოველი გამოვლენისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფერის შექმნას.

ლოთობასთან ბრძოლის კომისიების მუშაობაში მთავარია საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაკებს შორის ლოთობის გამოვლენათა აცდენისა და აღკვეთის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, მოქალაქეთა აღზრდა დარწმუნებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების გზით.

მუხლი 2. ლოთობასთან ბრძოლის კომისიებს ქმნიან საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შრომითი კოლექტივები. კომისიებს ირჩევენ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე (კონფერენციებზე) ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით.

კომისიები თავიანთი საქმიანობის შესახებ რეგულარულად აბარებენ ანგარიშს მათ ამრჩევ შრომითს კოლექტივებს.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შექმნილ ლოთობასთან ბრძოლის კომისიებთან ერთად დიდ შრომითს კოლექტივებში ლოთობასთან ბრძოლის კომისიები შეიძლება შეიქმნას საამქროებში, განყოფილებებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, რომლებიც ასრულებენ ამ დებულებით დადგენილ მოვალეობებს და სარგებლობენ ამ დებულებით დადგენილი უფლებებით, გარდა უფლებისა — განიხილონ მასალები ოსტატების, უბნების, ცვლების, საამქროების უფროსებისა და სხვა ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ წარმოებაში ხელქვეით მუშაკებთან ერთად სპირტიანი სასმელების სმაში, ან რომლებმაც არ მიიღეს ზომები არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა სამუშაოსაგან ჩამოსაშორებლად ან დამალეს მათი ხელქვეითი მუშაკების მიერ სპირტიანი სასმელების სმის ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების შემთხვევები.

ლოთობასთან ბრძოლის კომისიების მუშაობისადმი კონტროლს ახორციელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების პროფკავშირის კომიტეტები.

მუხლი 3. ლოთობასთან ბრძოლის კომისიები მოქმედებენ კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და წევრების შემადგენლობით.

კომისიის წევრთა რაოდენობას დაადგენს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) მოცემულ კოლექტივში მომუშავეთა რიცხვისა და კომისიის მუშაობის მოცულობის მიხედვით.

კომისიაში ირჩევენ შრომითი კოლექტივის წევრებს, რომლებსაც თავიანთი საქმიანი და მორალური თვისებებით უნარი შესწევთ წარმატებით შეასრულონ ლოთობასთან ბრძოლის კომისიის წინაშე დასახული ამოცანები, აგრეთვე შრომითი კოლექტივების წევრ ადმინისტრაციის, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატებს.

მუხლი 4. ლოთობასთან ბრძოლის კომისიები მუშაობას ეწევიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სიფხიზლისათვის ბრძოლის საზოგადოებასა და შრომითი კოლექტივების საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.

---

* დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიები თავიანთი საქმიანობის შესახებ სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებს.

II. ლოთობასთან ბრძოლის კომისიების უფლება-მოვალეობანი

მუხლი 5. ლოთობასთან ბრძოლის კომისია:

1) შეიმუშავებს და განახორციელებს შრომითს კოლექტივებში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აცდენის ღონისძიებებს;

2) აღრიცხავს პირებს, რომლებიც ეძალებიან ალკოჰოლს, და მათთან ეწევა აღმზრდელობითს მუშაობას წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში;

3) ახორციელებს კონტროლს პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე მყოფ პირთა მიერ ანტიალკოჰოლური მკურნალობის კურსის გავლისადმი;

4) აკონტროლებს შრომითი კოლექტივის წევრთა ყოფაქცევას, რომელთაც გაიარეს იძულებითი მკურნალობის კურსი სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმებსა და სპეციალურ ნარკოლოგიურ განყოფილებებში;

5) ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს ანტიალკოჰოლურ პროპაგანდას საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საქვეუწყებო შრომითს კოლექტივებში, საერთო საცხოვრებლებში, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში.

მუხლი 6. ლოთობასთან ბრძოლის კომისიას უფლება აქვს:

1) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შეამოწმოს ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან საბრძოლველად და ანტიალკოჰოლური პროპაგანდისათვის გაწეული მუშაობის მდგომარეობა;

2)მოისმინოს კომისიის სხდომებზე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთა ინფორმაციები ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან საბრძოლველად გაწეული მუშაობის შესახებ და მისცეს ამ საკითხებზე რეკომენდაციები;

3) მოისმინოს თავის სხდომებზე ინფორმაცია საწარმოს ნარკოლოგიური სამსახურის მუშაობის შესახებ;

4) შეიტანოს წინადადებები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სტრუქტურული ქვედანაყოფების იმ თანამდებობის პირთა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სხვა თანამდებობის პირთა მიმართ აუცილებელი ზომების მიღების თაობაზე, რომლებიც არ ეწევიან საჭირო ბრძოლას ლოთობასთან, არ იღებენ სათანადო ზომებს ლოთობის ფაქტების ასაცდენად და აღსაკვეთად;

5) შეიტანოს წინადადებები პროფკავშირის კომიტეტში შრომითი კოლექტივის იმ წევრთა იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნის შესახებ შუამდგომლობის აღძვრის თაობაზე, რომლებიც ქრონიკული ალკოჰოლიკები არიან და თავს არიდებენ ნებაყოფლობითს მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ განაგრძობენ ლოთობას; შრომითი კოლექტივის წევრთა შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ და სხვა წინადადებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6) მონაწილეობა მიიღოს შრომითი კოლექტივის წევრთა კულტურული დასვენებისა და მათ მიერ თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების ორგანიზაციის ღონისძიებათა ჩატარებაში;

7) განიხილოს მასალები შრომითი კოლექტივების წევრთა მიმართ:

ა) წარმოებაში (სამუშაო ადგილებზე, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შენობებში და ტერიტორიაზე) სპირტიანი სასმელების სმის ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ;

ბ) წარმოებაში ხელქვეით მუშაკებთან ერთად სპირტიანი სასმელების სმაში ოსტატების, უბნების, ცვლების, საამქროების უფროსებისა და სხვა ხელმძღვანელების მონაწილეობას ან მათ მიერ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა სამუშაოსაგან ჩამოსაშორებლად ზომების მიუღებლობის შესახებ, ან სპირტიანი სასმელების სმის, ანდა მათი ხელქვეითი მუშაკების სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების შემთხვევების დამალვის თაობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების მიერ არაყითა და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ;

დ) საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და საზოგადოებრივ ადგილებში ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის თაობაზე;

ე) მშობელთა და სხვა პირთა მიერ არასრულწლოვანის დათრობის შესახებ;

ვ) საზოგადოებრივ ადგილებში თექვსმეტ წლამდე მოზარდთა მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის, ან მათ მიერ სპირტიანი სასმელების სმისათვის მშობელთა და მათ შემცვლელ პირთა პასუხისმგებლობის თაობაზე;

ზ) მცირე ოდენობით არაყისა და სხვა სპირტიანი სასმელების გამორჩენის მიზნით შესყიდვისა და გადაყიდვის შესახებ;

თ) შინნახადი არაყის და სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენის თაობაზე;

ი) მძღოლებისა და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების არმქონე პირთა მიერ სატრანსპორტო საშუალებების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის, აგრეთვე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის ამ საშუალების მართვის გადაცემის შესახებ;

კ) სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა მიერ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად დაშვების თაობაზე.

მუხლი 7. ლოთობასთან ბრძოლის კომისიას შეუძლია ამ დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულ სამართალდარღვევებისათვის ბრალეულს შეუფარდოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ერთ-ერთი შემდეგი ზომა:

1) გამოუცხადოს გაფრთხილება;

2) გამოუცხადოს საყვედური;

3) დააჯარიმოს ორმოცდაათ მანეთამდე.

მუხლი 8. სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, აგრეთვე ამ დებულებით ლოთობასთან ბრძოლის კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს კომისია განიხილავს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე ადმინისტრაციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების წარდგინებებით.

მასალებს ამ დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული პირების მიმართ კომისია განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი) გადასცემს მათ კომისიის განსახილველად.

მასალები ამ დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩამდენ პირთა მიმართ ლოთობასთან ბრძოლის კომისიამ შეიძლება განიხილოს აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როდესაც ისინი ამ კომისიას განსახილველად გადასცა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ.

III. ლოთობასთან ბრძოლის კომისიების მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 9. ლოთობასთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის სხდომების რეგულარულად მოწვევას, განსაზღვრავს მორიგ სხდომაზე განსახილველ საკითხებს, კომისიის განსახილველად წარადგენს სამუშაო გეგმებს და მისი საქმიანობის ანგარიშებს, სხდომებს შუა პერიოდში დავალებებს აძლევს კომისიის წევრებს და ამოწმებს მათს შესრულებას.

მუხლი 10. კომისია საკითხებს განიხილავს ღია სხდომაზე. კომისიის სხდომის დღისა და განსახილველი საკითხების შესახებ აცნობებენ შრომითს კოლექტივს.

კომისიის სხდომაზე მოიწვევენ იმ მოქალაქეებს და თანამდებობის პირებს, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთა მონაწილეობას საკითხთა განხილვაში საჭიროდ მიიჩნევენ.

შრომითი კოლექტივების წევრთა მიმართ მასალების განხილვისას კომისიის სხდომაზე გამოიძახებენ სამართალდამრღვევებს. არასაპატიო მიზეზით მათი გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის მასალების განხილვას.

ლოთობასთან ბრძოლის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარი მაინც.

მუხლი 11. კომისიის სხდომაზე შედგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება სხდომის თარიღი,

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის დასახელება, განსახლველი საკითხის მოკლე შინაარსი, ცნობა კომისიის სხდომაზე მოწვეულ და გამოძახებულ პირთა გამოუცხადებლობის შესახებ და მათი გამოსვლების მოკლე შინაარსი.

ამ დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული სამართალადრღვევების ჩამდენ პირთა მიმართ მასალების განხილვისას ოქმში ჩაიწერება აგრეთვე ცნობები გადაწყვეტილების საჯაროდ წაკითხვის და მისი გასაჩივრების ვადისა და წესის განმარტების შესახებ.

ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 12. ლოთობასთან ბრძოლის კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს სხდომის მონაწილე კომისიის შემადგენლობის ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს კომისიის დასახელებას, მასალის განხილვის ვადას, განსახილველი საკითხის მოკლე შინაარსს და მიღებულ გადაწყვეტილებას. საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში გადაწყვეტილებაში მიეთითება აგრეთვე ცნობები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება მასალა, დარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებანი, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი. დაჯარიმებისას აღინიშნება აგრეთვე მისი გადახდის ვადა.

მუხლი 13. ამ დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ მასალებს განიხილავენ კომისიაში მათი შემოსვლიდან ხუთი დღის ვადაში. სამართალდამრღვევის მიმართ მიღებული ზომების შესახებ ლოთობასთან ბრძოლის კომისია მოვალეა ათი დღის ვადაში აცნობოს მასალის გამომგზავნ ორგანოს (თანამდებობის პირს).

მუხლი 14. საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შესახებ ლოთობასთან ბრძოლის კომისიის გადაწყვეტილება იმ პირს, რომელსაც შეუფარდეს აღნიშნული ღონისძიება, შეუძლია შვიდი დღის განმავლობაში გაასაჩივროს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 15. ლოთობასთან ბრძოლის კომისიის მიერ დაკისრებული ჯარიმა შეაქვთ სახელმწიფო შრომითს შემნახველს სალაროში ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

დაჯარიმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისას ლოთობასთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე მასალას გადაუგზავნის სახალხო მოსამართლეს, რომელიც წარდგენილი მასალის შემოწმებისა და გადაწყვეტილების კანონიერების დადგენის შემდეგ გასცემს აღმასრულებელ ფურცელს.

იმ შემთხვევაში, თუ კომისიის გადაწყვეტილება უკანონოა, სახალხო მოსამართლე მოტივირებული დადგენილებით უარს ამბობს აღმასრულებელი ფურცლის გაცემაზე, რის შესახებაც აცნობებს ლოთობასთან ბრძოლის კომისიას და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტს კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საკითხის განსახილველად.

ლოთობასთან ბრძოლის კომისიის გადაწვეტილება დაჯარიმების შესახებ არ აღსრულდება, თუ იგი მიქცეული არ იყო აღსასრულებლად გამოტანიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 16. ლოთობასთან ბრძოლის კომისია ახორციელებს კონტროლს თავისი გადაწყვეტილებების შესრულებისადმი.

მუხლი 17. ლოთობასთან ბრძოლის კომისიის წევრები თავიანთ მოვალეობებს, როგორც წესი, ასრულებენ ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

მუხლი 18. კომისიებს მეთოდურ დახმარებას უწევენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის კომისიები.

მუხლი 19. ლოთობასთან ბრძოლის კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ეკისრება საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კონსტიტუცია ხალხის კონსტიტუციაა

ბ. ერემოვი

სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუცია რვა წლისაა. იგი დაამტკიცა საკავშირო სახელმწიფოს IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიამ 1977 წლის 7 ოქტომბერს.

სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითადი კანონი, საბჭოთა ხალხის დიადი ქარტია, კანონთა კანონია. მას საბჭოთა კავშირში სხვა სახელმწიფო აქტთა შორის ყველაზე მეტი იურიდიული ძალა აქვს. „ყველა კანონი და სახელმწიფო ორგანოების სხვა აქტები გამოიცემა სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად“ (მუხლი 173).

1977 წლის კონსტიტუცია საბჭოური იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობაზეა აგებული და სსრ კავშირის 1924 და 1936 წლების კონსტიტუციათა საფუძველზე აკანონებს საბჭოთა სახელმწიფოს ახალ ეტაპს. ეს არის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის დასაწყისი ეტაპი.

მოქმედი კონსტიტუციით ფიქსირებულია პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს აშაღლება საერთო-სახალხო სახელმწიფომდე, სოციალისტური საზოგადოებისა კი — განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებამდე, ამ ეტაპზე, როგორც თვით კონსტიტუციაშია ჩაწერილი, „სოციალიზმი საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წესწყობილების აღმშენებლობითი ძალები, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი, მშრომელები სულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით“.[1]

აღსანიშნავია, რომ განვლილი წლების მანძილზე სსრ კავშირის კონსტიტუციაში დღემდე მხოლოდ ერთად-ერთი შესწორებაა შეტანილი. იგი შეეხება 132-ე მუხლს, რომელშიც ჩაწერილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის როლსა და შემადგენლობაზე.

კონსტუტიციაში ჩაწერილი იყო, რომ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის „შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები“, როგორც ჩანს, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1981 წ. 24 ივნისს მიიღო კანონი „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 132-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ“. სსრ კავშრის კონსტიტუციის 132-ე მუხლს დაემატა სიტყვები „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის

---

[1] იხ. კონსტიტუციის პრეამბულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემადგენლობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შედიოდნენ სსრ კავშირის მთავრობის სხვა წევრებიც".[2]

შესწორება და დამატება საბჭოთა კონსტიტუციაში ყოველთვის ცხოვრებისეულია. ცვლილებათა შეტანის ოთხი ათეული წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი უფრო მეტად შეეხებოდა საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ აპარატს. ასეთი ცვლილებები მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგაც მოხდა, მაგრამ მათი შეტანა კონსტიტუციაში არ მომხდარა. ამის მიზეზი ის არის, რომ საბჭოთა მოქმედ კონსტიტუციაში არ არის მოცემული სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ნუსხა.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 136-ე მუხლით სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ნუსხა შეტანილია კანონში „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ". ახალი სამინისტროს შექმნის, სამინისტროთა გაერთიანების ან გაყოფის შემთხვევები, ან ცვლილებები სახელმწიფო კომიტეტების ნუსხაში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შეაქვს არა კონსტიტუციაში, არამედ კანონში მინისტრთა საბჭოს შესახებ.

ასე, მაგალითად, სსრ კავშირის X მოწვევის უმაღლესი საბჭოს II სესიამ 1979 წ. 30 ნოემბერს შექმნა „შორეული აღმოსავლეთისა და იმიერბაიკალის რაიონების მშენებლობის სამინისტრო", 1980 წ. დეკემბერში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ შექმნა, „სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო", ასევე სხვადასხვა დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველო უმაღლესმა საბჭომ გარდაქმნა სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოსადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად, „ცელულოზა — ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო" გააერთიანა „ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან", ქიმიური მრეწველობის სამინისტრო გაყო „ქიმიური მრეწველობისა" და „მინერალური სასუქების წარმოების" სამინისტროებად, შეიქმნა „სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საკავშირო რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი" და ა. შ., მაგრამ ასეთ ნიშვნელოვან ცვლილებათა ასახვა კონსტიტუციაში არ მომხდარა.

სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციით მრავალი სიახლე დაინერგა ჩვენს ქვეყანაში. შეიცვალა წარმომადგენლობითი ორგანოების სახელწოდება და მათი რწმუნების ვადები, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში ასარჩევ პირთა ასაკობრივი ცენზი, ადგილობრივი საბჭოების სესიების მოწვევის ვადები, დეპუტატებისა და საბჭოების აღმასკომების ანგარიშის ჩაბარების წესი, საბჭოების გადარჩევნების წესი, განისაზღვრა, რომ ერთდროულად, ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნას ორზე მეტ სახალხო დეპუტატთა საბჭოში, შეიცვალა საბჭოს სესიაზე აქტების დამტკიცების წესი და მრავალი სხვა.

თუ 1936 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იყო სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძველი, ამჟამად მათ გარდა გათვალისწინებულია აგრეთვე სსრ კავშირის სოციალური, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძველიც.

წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით სსრ კავშირის დღეს მოქმედ

---

[2] გაზ. „კომუნისტი", 1981 წ., 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუციაში ჩვენი ქვეყნის ფაქტიური მდგომარეობის გარდა, გამოკვეთილია სახელმწიფოს ნომავალი ამოცანები. ხშირად ვხვდებით გამოთქმებს: „სახელმწიფო ზრუნავს“, „ჩვენი უზენაესი მიზანია“ და სხვ.

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთად ერთია, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს საბოლოო მიზანზე — კომუნიზმზე ნიუთითებს. „საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია ააშენოს უკლასო კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც განვითარდება საზოგდოებრივი კომუნისტური თვითმმართველობა“, — ნათქვამია სსრ კავშირის კონსტიტუციის პრეამბულაში. სოლო მისი მე-6 მუხლის მიხედვით კომუნისტური პარტია „ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

კონსტიტუციით გათვალისწინებულია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა, მეცნიერების განვითარება, კულტურის ფართოდ დანერგვა. შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლების და სხვა სახელმწიფო სისტემათა შემდგომი განვითარება. ეს საკითხები პირველადაა შესული კონსტიტუციაში და დათმობილი აქვს მესამე თავი — „სოციალური განვითარება და კულტურა“.

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით დაკანონებულია, რომ „ყველა კლასისა და სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტიური თანასწორობის, მათი ძმური თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა ადამინთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი“.

საბჭოთა ხალხი შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. ჩვენი მუშათა კლასის იდეოლოგია ნთელი საბჭოთა ხალხის იდეოლოგია გახდა, პროლეტარული დემოკრატია კი — საყოველთაო სახალხო დემოკრატია. სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ყოველთვისაა გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრი და ამიტომ არის მტკიცე საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემა.

საბჭოთა სახელმწიფო ერთ-ერთი დიდნნიშვნელოვანი ელემენტია ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. ამ სისტემის ძირითადი ელემენტებია აგრეთვე პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებანი, შრომითი კოლექტივები, სახალხო კონტროლის ორგანოები და ა. შ.

პროფკავშირები მეტად აქტუალურ როლს თამაშობენ პარტიასა და სახელმწიფოსთან ნასების დაახლოების საქმეში. ისინი აერთიანებენ არა მარტო მუშათა კლასისა და მოსამსახურეების წარმომადგენლებს, არამედ კოლმეურნე გლეხობასაც. მათში 136 მილიონი საბჭოთა მოქალაქეა გაერთიანებული. პროფკავშირების მოქმედების მეთოდი მხოლოდ დარწმუნება, დაჯერება და აღზრდაა.

დიდი ძალაა აგრეთვე ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი, კომუნისტური პარტიის რეზერვი, მისი თანაშენწე, კომუნისტური აღმშენებლობის გაბედული და ენერგიული მონაწილე, ლენინური იდეებისათვის თავდადებული მებრძოლი. მის რიგებში გაერთიანებულია 42 მილიონი ჭაბუკი და ქალიშვილი. როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციაშია ჩაწერილი „პროფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიული კავშირები, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში" (მუხ. 7).

სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტაში, კადრების მომზადებასა და განაწილებაში, აგრეთვე, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ საწარმოებისა და დაწესებულებების შრომითი კოლექტივები. ისინი ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებებს, ხელს უწყობენ მუშაობის მოწინავე ნეთოდების დანერგვას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ადამიანებს ზრდიან კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით, ზრუნავენ მათი პოლიტიკური შეგნებულობის, კულტურისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტების დახასიათებისას კონსტიტუციაში განოკვეთილია კომუნისტური პარტიის უდიდესი როლი. მე-6 მუხლში ნათქვამია: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია".

საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელია მასების ფართო მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. ეს უფლებები გარანტირებულია საბჭოებისა და სხვა ორგანოების არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობით, რომ ყველას აქვს უფლება თვითონ იყოს არჩეული, მონაწილეობდეს საყოველთაო-სახალხო განხილვასა და კენჭისყრაში, საცხოვრებელ ადგილას და შრომით კოლექტივებში გამართულ კრებებში, სახალხო კონტროლის საქმიანობაში და ა. შ.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის ცნებაში იგულისხმება კონსტიტუციით გათვალისწინებულ კანონთა დროულად მიღების აუცილებლობა, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. იგი საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

მოქმედი კონსტიტუციის დამტკიცებიდან გასულ პერიოდში მიღებულია ახალი კანონები: კანონი სსრ კავშირს მინისტრთა საბჭოს შესახებ (1978 წ. 5 ივლისი), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი (1979 წ. 19 აპრილი), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები (1980 წ. 23 ოქტომბერი), კანონები — სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ (1978 წ. 1 დეკემბერი), შრომითი კოლექტივების შესახებ (1983 წ. 17 ივნისი), პროკურატურის შესახებ (1979 წ. 30 ნოემბერი), სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ (1979 წ. 30 ნოემბერი) აგრეთვე კანონები ადვოკატურის, სახალხო კონტროლის, სახელმწიფო არბიტრაჟის და სხვა.

საკანონმდებლო საქმიანობა უმაღლესი საბჭოს განუწყვეტელი ფუნქციაა, ჯერ ემდე არ გაგვაჩნია კანონი სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ სასაჩართლოში თანამდებობის პირებზე საჩივართა აღძვრის წესის შესახებ, რასაც მოითხოვს კონსტიტუციის 58-ე მუხლი, არა გვაქვს აგრეთვე კონსტიტუციის მე-5

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 115-ე მუხლებით გათვალისწინებული კანონი საყოველთაო სახალხო გამოკითხვის ანუ რეფერენდუმის მოწყობის წესის შესახებ. ვფიქრობთ, აღნიშნული აქტები უახლოეს პერიოდში შეიქმნება.

კანონთა მიღება ჩვენი თვითმიზანი არ არის, მთავარია მათი ზუსტად და დროულად შესრულება, რისთვისაც მოწოდებული არიან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თანამდებობის პირები და მოქალაქენი. ამას მოითხოვს თვით სოციალისტური კანონიერების დაცვის პრინციპი, რაც კონსტიტუციით არის დაკანონებული.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში პირველად არის შეტანილი სპეციალური თავი — „საგარეო პოლიტიკა", რითაც აღიარებულია, რომ „სსრ კავშირი განუხრელად ახორციელებს ლენინურ მშვიდობის პოლიტიკას" და მისი მიზანია „თანამიმდევრულად განახორციელოს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი". ამ პრინციპს საბჭოთა სახელმწიფო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღიდანვე იცავს.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პერიოდში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამაღლდეს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების დონე. ამისათვის კი საჭიროა ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, რაც მოითხოვს დაძაბულ შრომასა და მშვიდობას. კონსტიტუციაშია ჩაწერილი: „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს, რომ ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები შეექმნას სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებას"... (მუხ. 28).

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მისი საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა, რადგან იგი დამოკიდებულია ქვეყნის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაზე: ვ. ი. ლენინი წერს, „საზოგადოდ პოლიტიკისაგან „საგარეო პოლიტიკის" გამოყოფა ან, ნით უმეტეს საშინაო პოლიტიკისადმი საგარეოს დაპირისპირება ძირფესვიანად უმართებულო, არამარქსისტული, არამეცნიერული აზრია"[3].

სწორედ ამ პრინციპს ეყრდნობოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი, როცა ფრანგ ტელემაყურებლებს მიმართავდა: „თუ ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის მთავარია ეკონომიკის, სოციალური ურთიერთობის, დემოკრატიის განვითარება, მაშასადამე, ეს განსაზღვრავს აგრეთვე ჩვენს ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე და ჩვენს საგარეოპოლიტიკურ ინტერესებს; უწინარეს ყოვლისა — მშვიდობით, სტაბილური საერთაშორისო ვითარებით დაინტერესებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მთელი ყურადღება მივაპყროთ და მთელი რესურსები შოვახმაროთ მშვიდობიან აღმშენებლობითს საქმეებს"[4].

მშვიდობის დაცვა ნართლაც ყოველი ადამიანის უპირველესი უფლების — სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფაა.

ეს პრინციპია ასახული სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც ადამიანთა ინტერესების დასაცავადაა შექმნილი.

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 23, გვ. 43.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1985 წ., 2 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა გამოვუცხადოთ ლოთობასა და ალკოჰოლიზმს

ი. ჟორდანია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძიღო უდიდესი მნიშვნელობის მქონე დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც ხაზგასმულია, რომ თანამედროვე პირობებში, როცა ნათლად ვლინდება საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნისტური მორალის და ზნეობის პრინციპების დაცვა, მავნე ჩვეულებებისა და გადმონაშთების, უწინარეს ყოვლისა ისეთი მახინჯი გამოვლინებების დაძლევა, როგორიცაა ლოთობა და ალკოჰოლიზმი.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა ყოველთვის იყო და არის ჩვენი პარტიის და მთავრობის შეუნელებელი ყურადღების საგანი. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, რასაც მოწმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებები ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, აგრეთვე მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

თანამედროვე პირობებში, როცა საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის აღოცანებს, ლოთობა და ალკოჰოლიზმი აულ უფრო მოუთმენელი ხდება. იგი დამღუპველად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ანგრევს ოჯახებს, ცუდ გავლენას ახდენს შვილების აღზრდაზე და ასე შემდეგ. ალკოჰოლის ზეგავლენით ადამიანები კარგავენ პასუხისგებლობას საზოგადოებისა და ხალხის წინაშე, არ ერიდებიან დანაშაულს.

ჩვენს რესპუბლიკაში წლითიწლობით ფართოვდება საზოგადოებრივი კვების საწარმოები, სასადილოები, რესტორნები. მართალია, ყველაფერი ეს ხალხის კეთილდღეობისათვის კეთდება, მაგრამ ხშირია ისეთი ფაქტებიც, როცა ამ ადგილებში ალკოჰოლის მიღება, გაუთავებელი ღრეობა და წრეგადასული დროსტარება მძიმე დანაშაულით მთავრდება.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკიდან მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის ორჯერ იყო გასამართლებული სოხუმელი გ. კუსისი და სასჯელიც მოიხადა, მაგრამ იგი კვლავ არიდებდა თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ლოთობდა. თავზეხელაღებულ ცხოვრებას მალე მძიმე დანაშაულიც მოჰყვა. იგი კვლავ აღმოჩნდა საბრალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებო სკამზე. შემთხვევის დღეს გ. კუსისი თავის მეგობრებთან ერთად ქ. სოხუმის რესტორან „თბილისში“ დათვრა, გონებაარეულმა ჯერ მეზობელ მოქეიფეებს ბიაყენა შეურაცხყოფა, შემდეგ ქუჩაში გამოვიდა და იქ განაგრძო ხულიგნობა. გზად სრულიად უცნობს, ვინმე დევდარიანს შეხვდა და ლოთის სიჯიუტით უმიზეზოდ აუხირდა. მერე უცაბედად გამხეცდა, ჯიბიდან დანა ამოიღო და უდანაშაულო კაცს სამჯერ დაარტყა. გულმკერდის არეში მიყენებული მძიმე ჭრილობის შედეგად დევდარიანი იქვე გარდაიცვალა. გ. კუსისი მკაცრად დაისაჯა, მაგრამ მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებს, ამხანაგებს, ყველას, ვინც მას იცნობდა, თავისდროზე რომ მიეღოთ ზომები გ. კუსისის ლოთობისა და უსაქმურობის აღსაკვეთად, ალბათ ეს სამარცხვინო და გულსატკენი შემთხვევაც არ მოხდებოდა. აქ პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავრეთვე იმ ორგანოებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ გ. კუსისის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხულიგნობის 60 პროცენტი და წვრილმანი ხულიგნობის 90 პროცენტზე მეტი ჩადენილია სიმთვრალეში. ამიტომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულმა შეურიგებლმა ბრძოლამ ხელი უნდა შეუწყოს ამ დანაშაულის შემცირებასა და საერთოდ, მის თავიდან აცილებას. ჩვენს რესპუბლიკაში გატარებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, გაუმჯობესდა ოპერატიული ვითარება, ოგრამ მაინც ვხვდებით სიმთვრალეში ჩადენილ ისეთ მძიმე დანაშაულობებს, როგორიცაა ბოროტი ხულიგნობა.

ახმეტის რაიონის სოფელ მატანში მცხოვრები ძმები, მიხაკო და მიშა ყაზარაშვილები, ადრეც არაერთხელ იყვნენ დასჯილნი სასამართლო წესით, მაგრამ მაინც არ დაადგნენ გამოსწორების გზას. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან ახლად იყო დაბრუნებული მიხაკო ყაზარაშვილი, როცა ძმასთან ერთად დათვრა თავისი სოფლის სასადილოში, დებოში ატეხა და ჯერ თანასოფლელ რუსიაშვილს აგინა უმიზეზოდ, მერე კი ორივენი მის დედას მიუცვივდნენ სახლში და სცემეს. თანასოფლელებმა კი არც სცადეს აღეკვეთათ ორი ხულიგნის თავაწყვეტილობა და გულგრილად შესცქეროდნენ შორიდან მომხდარ აურზაურს.

ძმები ყაზარაშვილები საკადრისად დაისაჯნენ, მაგრამ რით იმართლებენ თავს სოფელ მატნის სასოფლო საბჭოს დეპუტატები, ან მილიციის უბნის ინსპექტორი, რომლებმაც არაფერი იღონეს ხულიგნებისა და ლოთების საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი გადამჭრელი სიტყვა უნდა თქვან ადგილობრივმა საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. იგი ავალებს სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ და განახორციელონ ანტიალკოჰოლური ბრძოლის გაძლიერებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები, მაგრამ საბწუხაროდ, გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის ლოთობის შემთხვევათა აღმოსაფხვრელად.

ქარელის რაიონის სოფელ მოხისში მცხოვრებმა ს. ნოზაძემ დიდი ხნის წინ დაანება თავი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ლოთობას მიჰყო ხელი. შემთხვევის დღესაც ახლობლის ოჯახში ქეიფობდა და უზომოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთვრა. გონებაარეულმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, უმიზეზოდ აუტეხა ჩხუბი მეზობელ დ. გელაშვილს და მთლიანად დაუმტვრია საოჯახო ნივთები. ბეუღლემ ვეღარ გაუძლო ამდენ სირცხვილსა და ჩხუბს, სასოფლო საბჭოში მივიდა და დახმარება ითხოვა. ს. ნოზაძემ იუკადრისა ცოლის მოქმედება და შეიარაღებული მიეჭრა მეუღლეს სასოფლო საბჭოში. მხოლოდ იქ მყოფთა დახმარებით გახდა შესაძლებელი ს. ნოზაძის თავაწყვეტილი საქციელის აღკვეთა. დამნაშავე სასამართლოს წინაშე წარსდგა და საკადრისად დაისაჯა.

ამ საქმეზე ჩატარებული გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს გამოირკვა, რომ ს. ნოზაძე წლების მანძილზე არიდებდა თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სისტემატურად ლოთობდა და აწიოკებდა ოჯახს. ეს ამბავი ცნობილი იყო სასოფლო საბჭოსა და უბნის ინსპექტორისათვის, მაგრამ გადამჭრელი ზომები არავის მიუღია.

ალკოჰოლი რომ დამღუპველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ეს ყველამ იცის, მაგრამ იგი განსაკუთრებით საზიანოა არასრულწლოვანისათვის. ამის მაგალითებიც გვაქვს.

გორის რაიონის სოფელ ძევერაში მცხოვრებმა არასრულწლოვანმა ნ. პავლიაშვილმა გორში გაისეირნა, გაიცნო საეჭვო პირები და მათთან ერთად დათერა. შუაღამისას კი, როცა ბან ბარბაცით გაიარა სახინკლესთან, გადაწყვიტა გაეტეხა იგი. ბევრი არც უფიქრია, მინა ჩალეწა და სავაჭროდან 8 ბოთლი შამპანური გამოიტანა. იქნებ ბევრს ეს უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ ნ. პავლიაშვილმა ჩაიდინა სახელმწიფო ქონების კვალიფიციური ქურდობა საცავში შეღწევით.

არასრულწლოვანი პავლიაშვილი მხოლოდ დადებითად ხასიათდება, ადრეცუდ საქციელში შეჩნეული არ ყოფილა, სწავლობდა სოფელ ძევერის მუშახალგაზრდობის სკოლის მე-11 კლასში და თან საბჭოთა მეურნეობაშიც მუშაობდა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ ასეთმა პიროვნებამ ძძიმე დანაშაული ჩაიდინა? ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ პირველი შენთხვევა იყოს მისგან ალკოჰოლური სასმელების მიღება. ან რატომ ჩათვალეს ჩვეულებრივ ამბად მშობლებმა ის გარემოება, რომ მათი არასრულწლოვანი შვილი ღამის 12 საათზე მთვრალი დასეირნობდა გორის ქუჩებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ნ. პავლიაშვილის ქცევას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ოჯახი, სკოლა, სასოფლო საბჭო და საბჭოთა მეურნეობის დირექცია, ვისთანაც მას ყოველდღიურად უხდებოდა ყოფნა. აქედან ალბათ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ შესაბამისმა ორგანიზაცია-დაწესებულებებმა.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განუხრელად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით და ამ მავნე, მახინჯი გადმონაშთების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. გაძლიერდა აგრეთვე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის.

როგორც ცნობილია, ავტომანქანა მომეტებული საფრთხის წყაროა და როდესაც მთვრალი მძღოლი ზის საჭესთან ეს საფრთხე კიდევ უფრო იზრდება. მართლაც, რესპუბლიკის საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა სწორედ

�as gvichvenebs, rom avtomavariebis umetesobа mdzolebis simtvrialitaa gamowvevuli.

gardabnis raionis soplel sartichalis mcxovrebi v. gogolaze „saqsaxkomsoplwarmoebis“ saxelmwifo komitetis tbilisis avtosatrans-portо sawarmos avtomanqana „kamazis“ mdzolad muSaobda. SemTxvevis dgesi igi mTvrali miuxda avtomanqanis saxes, uxeSad daarRvia qucaSi mozraobis wesebi da daexaxa mopirdapire mxridan momavali „taqsis“. taqsis mdzoli da misi xuTi mgzavri adgilzevе gardaicvalnen. xadenili danaSaulisatvis v. gogolazes 15 wlit TavisuflebaTa aRkvetaa SeeWarda.

saqartveloS sSr Sinagan saqmeTa saminisTros me-5 gankofilebis mili-cieli, gorSi mcxovrebi a. kaxniaSvili, mTvrali martavda sakuTari avtomanqanas da amitom Seexaxaxax

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთობა და საჭე ერთად შეუთავსებელია

გ. შალამბერიძე

ლოთობას ოდითგანვე დიდი უბედურება მოჰქონდა ადამიანებისათვის, რადგან ცნობილია თუ როგორ ფიტავს იგი გონებრივ და ფიზიკურ ენერგიას, აქვეითებს შრომისუნარიანობას, ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას, უამრავ წინააღმდეგობებსა და პრობლემებს ქმნის ცხოვრებაში.

ლოთობა კიდევ უფრო მძიმე ბოროტებაა ნაშინ, როცა იგი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა მიზეზი ხდება. ეს იმდენად შემაძრწუნებელია, რომ ამ კატეგორიის მძღოლმა საზოგადოებაში პოტენციური მკვლელის სახელწოდებაც კი მიიღო. განუზომლად დიდია ეკონომიკური და, რაც მთავარია, ის მორალური ზარალი, რაც საზოგადოებისათვის მოაქვს ლოთის საჭესთან ჯდომას. ეს არის გაუბედურებული ოჯახები, სამუდამოდ ჯანმრთელობადაკარგული ადამიანები, განადგურებული სახელმწიფო ტვირთი და ტექნიკა.

სიმთვრალის დროს ადამიანი უგუნურობის ტყვეობაშია, დაკარგული აქვს საკუთარი თავის კონტროლი, არაფრად მიაჩნია პირადი ღირსება, სხვისი აზრი, კანონი და დამნაშავე სულ ადვილად ხდება. სიფხიზლე და გაძლიერებული ყურადღება სხვებზე უფრო მეტად მძღოლებს სჭირდებათ, რადგან ტრანსპორტის მართვა თავისთავად რთული, საპასუხისმგებლო საქმეა. რესპუბლიკაში მომხდარ სატრანსპორტო შემთხვევათა სტატისტიკა იმის მაჩვენებელია, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ლოთობას ავტომაგისტრალებზე. გასულ წელს ამ ძიზეზით რესპუბლიკაში მომხდარმა 188 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევამ 48 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 254 კი მძიმედ დაშავდა. ძნელია წარმოიდგინო ის ტრაგედია და უბედურება, ამ ციფრებს იქით რომ რჩება.

მთვრალი მართავდა ახმეტის საველტერინარო დაწესებულების ავტომანქანას („გაზ-51", № 73—26 გაბ) მძღოლი ო. ბუიშვილი. ახმეტა—თელავი—ბაკურციხის საავტომობილო გზის მეშვიდე კილომეტრზე ველარ დაიმორჩილა საჭე, გადავიდა გზის შემხვედრ ზოლში და საპირისპიროდ მოძრავ „ჟიგულს" შეეჯახა. ავტოავარიის შედეგად მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო 3 მგზავრი ძმიმედ დაშავდა.

ზესტაფონის ავტოტექმომსახურების სადგურის თანამშრომელი ჯ. ზიბზიბაძე საკუთარი „ჟიგულით" თერჯოლაში წავიდა საქეიფოდ. თავის მეგობრებთან ი. შავგულიძესა და ვ. ჭუმბურიძესთან ერთად მდინარის პირას გაჩერდა და ქეიფს შეუდგა. მთვრალები ბრუნდებოდნენ ზესტაფონში და ისე მიჰქროდნენ გზაზე, რომ არაფრად ნიაჩნდათ წესი და კანონი. შედეგმაც არ დააყოვნა, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა ხეს შეეჯახა, ჯ. ზიბზიბაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, მძიმედ დაშავდა მისი ერთი მგზავრიც.

საგზაო-სატრანსპორტო წესების უგულებელყოფა და უპასუხისმგებლობა სიმთვრალის დროს ძალიან გახშირდა. ამ მიზეზით მომხდარი ავტოავარიებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზარდა და ცხადია, დადგა საკითხი შექმნილი მდგომარეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ „ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ მოწონება და მხარდაჭერა მოიპოვა მოსახლეობაში. სახელმწიფო ავტოინსპექციაში გამოგზავნილ წერილებში აღნიშნულია, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრება დროული და აუცილებელი ღონისძიებაა. იგი პასუხობს პარტიისა და მთავრობის იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ პრობლემას მიეძღვნა. სასიხარულოა საზოგადოებრიობის ასეთი მხარდაჭერა. იგი იმის გარანტიას იძლევა, რომ გატარებული ღონისძიებები საიკეთო შედეგებით დამთავრდება. სხვანაირად არც შეიძლება, ახალი კანონი ხომ იმათ წინააღმდეგაა მიმართული, ვინც უგულებელყოფს საღი აზრით ნაკარნახევ ჭეშმარიტებას, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მართავს სატრანსპორტო საშუალებებს, საფრთხეში აგდებს საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1985 წლის 1 ივლისს მიიღო ბრძანებულება „ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. ამ ბრძანებულების არსებით სიახლედ უნდა ჩაითვალოს მისი მკაცრი და შეუვალი ტონი. დაწესებული სასჯელები ისეთია, როგორსაც დღემდე არ იცნობს არც ერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა. ახალი ბრძანებულებით ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში წარმოადგენს პასუხისმგებლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებას და გაცილებით მკაცრად ისჯება, ვიდრე იგივე დანაშაული ჩადენილი ფხიზელ მდგომარეობაში. არავითარი შელავათის იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ ბახუსის მოყვარულ მძღოლებს, მათ საბოლოოდ უნდა გაითავისონ და ობიექტურად შეაფასონ ახალი კანონის შინაარსი, მისი სულისკვეთება, მოთხოვნები. ცხადია, ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ჩადენას თან სდევს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევა ხანგრძლივი ვადით და პირადი საკუთრების ავტომანქანების რეალიზაცია. ავარიის დროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მაშინაც, როცა მძღოლმა მართალია მოძრაობის წესები არ დაარღვია, მაგრამ მთვრალი მართავდა მას. ახალი კანონით თუ მძღოლი ნასვამი აღმოჩნდება საჭესთან, შეიძლება იგი სამსახურიდან დაითხოვონ, პარტიის რიგებიდან გარიცხონ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ. ბევრისმთქმელი უნდა იყოს ასეთი სიახლე ყველასათვის, ვინც ავტომანქანის საჭეს უზის.

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებამ ჭეშმარიტად კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა, შესამჩნევად ამაღლდა მძღოლთა პასუხისმგებლობა და დისციპლინა ჩვენი რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე, განმტკიცდა წესრიგი, შემცირდა ავტოავარიები. ამას ხელი შეუწყო სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა გააქტიურებამ, მიზნობრივი რეიდების მოწყობამ, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელთა მონაწილეობამ ამ ღონისძიებებში,წესრიგის დამრღვევებისა და ლოთების მხილებამ ფართო საზოგადოებრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობისათვის და სხვა. სიმთვრალით გამოწვეული ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ბევრი ფაქტი გახდა მკაცრი მსჯელობის საგანი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისა და ავტოტრანსპორტის გატაცების წინააღმდეგ მებრძოლი რესპუბლიკური მუშა ჯგუფის სხდომებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მძღოლთა წინასარეისო სამედიცინო შემოწმებას, გაძლიერდა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ქმედითობა, საადგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა.

სამი თვე გავიდა ბრძანებულების მიღებიდან. ამ ხნის მანძილზე ავტოინსპექციის მუშაკებმა გამოავლინეს მთვრალი მძღოლების მიერ ჩადენილი 340 სისხლის სამართლის დანაშაული. საქმეები განსახილველად სახალხო სასამართლოებს გადაეცათ, რის შედეგადაც კერძო მფლობელთა 85 ავტომანქანას გაუკეთდა რეალიზაცია. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა როცა ავტომანქანის საჭეს მთვრალები მართავენ თანამდებობის პირები, ისინი, ვისი უშუალო მოვალეობაცაა შრომით კოლექტივებში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება, ვინც თავისი მოქმედებითა და თვისებებით სამაგალითო უნდა იყოს სხვებისათვის. ზოგიერთ მათგანს დავასახელებთ კიდეც: ო. პაპიაშვილი — ბორის რაიონის სოფელ შინდისის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მთავარი ინჟინერი, ბ. ჭანტურია — საქართველოს ალკკ ხობის რაიკომის განყოფილების გაგზე, მ. ცერცვაძე — შავი ზღვის სანაპიროების ბათუმის დაცვის მთავარი ინჟინერი, გ. მოხევიშვილი — მცხეთის რაიონის ნატახტარის საბჭოთა მეურნეობს დირექტორი, მ. ჩიკვაიძე — აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფ. ზვარეს რვაწლიანი სკოლის პედაგოგი, ს. კანეკი — ქ. ფოთის ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმი, ო. თუხარელი — ამიერკავკასიის რკინიგზის სავაგონო სამსახურის სამმართველოს უფროსი და ბევრი სხვა. ამ პირთა პერსონალური საკითხი მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა მათსავე კოლექტივებში, რაიონულ პარტიულ კომიტეტებში. დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ.

სახელმწიფო ავტოინსპექციამ ახალი კანონის მიღების შემდეგ მიზანსწრაფულად და ენერგიულად წარმართა თავისი მუშაობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სიღნაღის, ბოლნისის, თელავის, ხაშურის, წყალტუბოს, გურჯაანის, საგარეჯოს, გარდაბნის, კასპის რაიონებში, ქალაქებში ქუთაისში, რუსთავში და ზოგიერთ სხვა რეგიონში, სადაც ბოლო დროს შეიმჩნეოდა ავტოავარიების ზრდა. გატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო. ბრძანებულების გაცნობის შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა ბახუსის მოყვარულ მძღოლთა რიცხვი. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ძირითად მაჩვენებლებშიც. ახალი ბრძანებულების გამოსვლიდან დღემდე სიმთვრალით გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები გასულ წელთან შედარებით შემცირდა 45,5 პროცენტით, გარდაცვლილთა რაოდენობა 66,6 პროცენტით, ხოლო დაზარალებულთა — 42,8 პროცენტით.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მთვრალი მძღოლების მხოლოდ გამოვლინება კარგ შედეგს არ იძლევა. საჭიროა მათი დაუყოვნებლივ მიცემა ადმინისტრაციულ თუ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და კანონით გათვალისწინებული სასჯელის დასაბუთებული გამოყენება. პრინციპულად უნდა ვებრძოლოთ აგრეთვე ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში განმეორებით მართვის

შემთხვევებს და მკაცრად დავსაჯოთ ისინი, ვინც ჯიუტად არ ემორჩილება დადგენილ წესს. კანონი კი ამგვარი დანაშაულისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმას გაზრდილი ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს პირად სარგებლობაში მყოფი ავტომანქანის რეალიზაციით.

ამ მიზნით მკაცრ კონტროლზეა აყვანილი ყოველთვიური ანგარიშების წარმოდგენა რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოში ყველა რაიონისა და ქალაქის ავტოინსპექციის აპარატისაგან, სადაც სხვა დარღვევებთან ერთად ასახულია არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომანქანის განმეორებით მართვის შემთხვევები.

ჩვენის აზრით არაფხიზელ მგომარეობაში ავტომანქანის მართვის დაწესებული ადმინისტრაციული ღონისძიებანი და სასჯელის ზომები ეფექტური არ იქნება, თუ წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, უშუალოდ შრომით კოლექტივებში არ შეიქმნება ჯანსაღი ატმოსფერო ლოთობასთან საბრძოლველად. მთავარი ის კი არ არის რეაგირება მოვახდინოთ უკვე ჩადენილ დარღვევასა თუ დანაშაულზე, მთავარია თავიდან ავიცილოთ იგი, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ საერთოდ გამოირიცხოს სიმთვარლის დროს ავტომანქანის მართვის შემთხვევები.

ავტოტრანსპორტის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა საგრძნობლად შემცირდება, თუ გადაჭრელ ღონისძიებებს გაატარებენ აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებები, მათი ხელმძღვანელები. ალბათ უნდა აიკრძალოს ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა რესპუბლიკისა და საკავშირო დაქვემდებარების ავტომაგისრალებზე განლაგებულ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. ერთობლივი ძალებით უნდა ვებრძოლოთ დასვენების დღეებში ქალაქგარეთ გასვლას ქეიფისა და დროსტარების მიზნით, რაც ამ ბოლო პერიოდში გახშირდა. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ამგვარი გასეირნებიდან ავტომანქანებით დაბრუნება სავალალო შედეგით დამთავრდა.

ძალზე ეფექტურია საზოგადოებრივი აზრის ძალა ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ალბათ დროა შეიქმნას მართალი საზოგადოებრივი აზრი არამარტო ავტოავარიებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, არამედ საერთოდ ლოთობისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულის აღმოსაფხვრელად. ყველა, ვინც ავტომანქანას მართავს, ვალდებულია ზუსტად და მკაცრად დაიცვას ქუჩაში მოძრაობის წესები, იყოს მომთხოვნი და ყურადღებიანი, არ მიუჯდეს ნასვამი საჭეს და თუ შესაძლებელია სხვასაც არ მისცეს ამის უფლება.

სახელმწიფო ავტოინსპექციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და მათი შესაბამისი კომისიების მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, შრომითი კოლექტივების ერთობლივი და მოფიქრებული ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს, რომ თავიდან ავიცილოთ სიმთვრალით გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და მათი მძიმე შედეგები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღმოვფხვრათ ლოთობა და ალკოჰოლიზმი

კ. ნარმანია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ იმ დიდი მუშაობის შემადგენელი ნაწილია, რასაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრა დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის ამოცანაა. ვ. ი. ლენინი, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის თვლიდნენ, რომ იგი შეუთავსებელია ცხოვრების კომუნისტურ წესთან. ჯერ კიდევ 1914 წელს ლენინური გაზეთი „პუტ პრავდი“ წერდა: „რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ეს დღესასწაული სამუდამოდ დარჩეს სიფხიზლის დღედ და დასაბამი მისცეს სიფხიზლის პროლეტარულ პროპაგანდას. ლოთობა მუშებს შორის შეუძლიათ მოსპონ მხოლოდ ისევ მუშებმა“.

დადგენილია, რომ ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის შედეგად საგრძნობლად იზრდება შრომის ნაყოფიერება, რადგან მატერიალური ზარალი, რასაც ალკოჰოლური სასმელების ხმარებით განიცდის ჩვენი ეკონომიკა, ორჯერ მეტია მათი რეალიზაციით მიღებულ შემოსავალთან. მაგრამ მთავარია არა ეკონომიკური, არამედ ის მორალური ზარალი, რაც ლოთობას მოაქვს ქვეყნისათვის.

ლოთობა უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ზნეობაზე და აქვეითებს ისეთ ღირსებებს, როგორიცაა ჰუმანურობა, კეთილშობილება, პასუხისმგებლობა. აქედან ბოროტმოქმედებამდე კი ერთი ნაბიჯია და ცხადია, შედეგიც არ აყოვნებს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მომხდარ დანაშაულობათა თითქმის სამი მეოთხედი ჩადენილია ალკოჰოლის მიღების შემდეგ. სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის გაფართოების შედეგად უკანასკნელ ათ წელიწადში რესპუბლიკის მასშტაბით საგრძნობლად გაიზარდა ჯანმრთელობის, სიცოცხლის, პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართული და ზოგიერთი სხვა სახის დანაშაული.

მართალია უკანასკნელ წლებში ლოთობასთან ბრძოლა შესამჩნევად გააქტიურდა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდია იმ პირთა ხვედრითი წილი, რომლებმაც მთვრალებმა ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული. ბოლო 5 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 10 პროცენტს ჭარბობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩამდენი ყოველი 10 პირიდან, ერთი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო. კიდევ უფრო რთული მდგომარეობა გვაქვს ზოგიერთი გავრცელებული დანაშაულის მიხედვით.

სიმოვრალის დროსაა ჩადენილი მომხდარი ყაჩაღობების, ძარცვების, სხეულის მძიმე დაზიანებათა 80 პროცენტი, განზრახ მკვლელობათა 75 პროცენტი, ხულიგნობათა 90 პროცენტზე მეტი და ა. შ. ეს პრობლემა ყველა პატიოსან მოქალაქეს აღელვებს და საზოგადოებრივი აზრიც ერთსულოვანია.

რესპუბლიკაში გახშირდა ისეთი ფაქტები, როცა ზოგიერთი ოჯახი ლოთობის შედეგად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ვარდება. ამ დროს ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ კანონის ახალი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ასეთ პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო ორგანოებმა ლოთებს მზრუნველობა დაუწესონ, აუკრძალონ ხელფასის მიღება ან სხვა შემოსავლის განკარგვა მზრუნველის გარეშე.

განსაკუთრებით საშიშია ლოთობა ავტოტრანსპორტზე, რასაც ხშირად მოსდევს მძიმე და გამოუსწორებელი შედეგები.

ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ გაჩაღებულმა საყოველთაო ბრძოლამ ახალი გაზრდილი ამოცანები დააყენა პროკურატურის ორგანოების წინაშე. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის საგანგებო ბრძანებით კიდევ უფრო ამაღლდა პროკურატურის მუშაკთა პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა არა მარტო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი, არამედ ყოფაცხოვრებაში სამაგალითო ქცევისათვის. სპირტიანი სასმელების მიღება და უღირსი მოქმედება კი მიჩნეულია შეუთავსებელ პირობად პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ და შემჩნეული მუშაკი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

ამ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, მოთხოვნილებების შესასრულებლად რესპუბლიკის პროკურატურაში ხორციელდება დამატებითი ღონისძიებები და მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ სანიმუშო ვითარება უპირველეს ყოვლისა ადმინისტრაციულ ორგანოებში უნდა შეიქმნას.

უკვე შევიმუშავეთ პერსპექტიული გეგმა ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ და რაიონისა და ქალაქის პროკურატურებს დავუგზავნეთ მეთოდური მითითებანი ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის შესასრულებლად.

ლოთობასთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოვლენილ დარღვევათა და ნაკლოვანებათა ოპერატიულ რეაგირებას, რაც უპირველესი ხელშემწყობი პირობაა კანონიერების განმტკიცებისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დამყარებისათვის. უნდა აღინიშნოს ზესტაფონის, ბცხეთის, წყალტუბოს, ხაშურის, ქუთაისის და ტყიბულის პროკურორების აქტიურობა, რომლებმაც გამოავლინეს სერიოზული დარღვევები და განახორციელეს ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ქ. ქუთაისის პროკურატურის ორგანოები. ზედამხედველობის წესით შემოწმებების შედეგად აქ გამოვლინდა ცალკეულ თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობა, რომლებმაც შესაფერისად არ დასაჯეს ლოთობაში მხილებული პირები. შინაგან საქმეთა ორგანოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან გაგზავნილი 313 შეტყობინებიდან ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა 79. დაუდევრობა გამოიჩინეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ტრესტ კოლხიდმშენის № 4 მოძრავი მექანიზირებული კოლონის, ქარხანა „ავანგარდის“ და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა.

შეუწყნარებლად პასიურობენ ამ საქმეში, ვანის, საჩხერის, ბორჯომის, თეთრიწყაროს და ზოგიერთი სხვა რაიონის პროკურორები, რომლებიც თითქმის არ ამოწმებენ ლოთობასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო პერიოდულად მოისმინოს ქალაქებისა და რაიონების პროკურორების ანგარიშები ამ მუშაობის მიმდინარეობაზე. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის განხორციელების პროცესში გამოირიცხოს რაიმე თვითნებობა, კანონისადმი გვერდის ავლა, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების შელახვის ფაქტები და სხვა. კომპლექსურად უნდა გამოვიყენოთ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმები.

ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის განუხრელად შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭიროა სისტემური და ქმედითი საპროკურორო ზედამხედველობა, რა დროსაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ლოთობისა და მისი ანტისოციალური შედეგების პროფილაქტიკას.

განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს საპროკურორო ზედამხედველობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების იმ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა კანონიერებაზე, რომლებიც არეგულირებენ სპირტიანი სასმელებით და ღვინო-არაყის ნაწარმით ვაჭრობას. გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრკ მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებათა დარღვევით, დაუყოვნებლივ უნდა გაპროტესტდეს. როგორც წესი, სავაჭრო წერტილებში, სადაც აკრძალულია ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია, ამ დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით ისჯებიან მხოლოდ გამყიდველები, მებუფეტეები, მაღაზიებისა და სასადილოების გამგეები. საჭირო კი არის პასუხი მოვთხოვოთ აგრეთვე ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების კანტორების და სოფლის კოოპერატივების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც კანონის საწინააღმდეგოდ დაუშვეს ღვინო-არაყის ნაწარმის გაყიდვა.

ლოთობასთან ბრძოლაში საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ქალაქებისა და რაიონების პროკურატურებმა შინაგან საქმეთა შესაბამისი რაიგანყოფილებებიდან რეგულარულად უნდა მიიღონ სათანადო ინფორმაციები და ანალიზი გაუკეთონ მას. აქ ცალკე უნდა აღინიშნოს მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებმაც ლოთობის ნიადაგზე ჩაიდინეს სამართალდარღვევა.

საჭიროა პროკურატურაში წარმოდგენილი ეს მონაცემები შეუდარდეს გამოძიებულ საქმეებს და გაირკვეს, თუ რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ლოთობასა და დანაშაულს, რა მუშაობა წარმოებდა ბრალდებულებთან მათი სამუშაო თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და სხვა.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებმა ყოველკვარტალურად უნდა წარადგინონ ცნობები შესაბამის პროკურატურაში იმ პირთა შესახებ, რომლებიც

თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნდნენ, მაგრამ არ მუშაობენ ლოთობენ, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს.

საპროკურორო ზედამხედველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია გატარებულ ღონისძიებათა კანონიერების შემოწმება იმათ მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა სიმთვრალის დროს და სასამართლო წესით დაისაჯა. აქ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმის უზრუნველყოფას, რომ სასამართლოები სიმრთვრალეს თვლიდნენ ბრალის დამამძიმებელ გარემოებად და ასეთ დროს მსჯავრდებულ ალკოჰოლიკებს და ნარკომანებს უნიშნავდნენ იძულებით მკურნალობას, სასჯელის დამატებით ღონისძიებებს უფარდებდნენ მძღოლებს, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებს.

სახელმწიფო ბრალმდებლებმა აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ, რათა სასამართლოებმა სისტემატურად მოაწყონ ასეთი პროცესების გამსვლელი სესიები, დასაბუთებული კერძო განჩინებები გამოიტანონ ლოთობის ხელშემწყობ კონკრეტულ გარემოებათა აღსაკვეთად, პრესის ფურცლებზე გამოაქვეყნონ მომხდარი ფაქტები და შეტყობინება გაუგზავნონ იმ კოლექტივებს, სადაც მხილებული პირები მუშაობენ.

უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა შრომითი კოლექტივების როლი და უფლებამოსილება. ამ პირობებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივის შესაძლებლობათა გამოყენებას ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შრომითი კოლექტივი ხომ სწორედ ის ძირითადი სოციალური უჯრედია, სადაც უკმოპრომისო, შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებას. საჭიროა არცერთი გამოვლენილი შემთხვევა არ დარჩეს რეაგირების გარეშე და მათ განხილვას მიეცეს ფართო ხასიათი.

მაგალითები გვიჩვენებს, რომ ლოთობა ფესვებს იდგამს სწორედ იქ, სადაც დაბალია შრომის დისციპლინა, მომთხოვნელობა, ადვილად ურიგდებიან კანონიერებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევებს, არაფრად მიაჩნიათ კოლექტივის ღირსება და ავტორიტეტი.

რესპუბლიკაში ლოთობის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში, საწარმოსა და დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ არ ეძლევა მწვავე, პრინციპული შეფასება სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების ფაქტებს. გამოვლენილი შემთხვევები არ განიხილება, როგორც საწარმო და შრომითი დისციპლინის უხეში დარღვევა, ხოლო კანონით გათვალისწინებული ზემოქმედების ისეთი ზომები, როგორიცაა პრემიებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების ჩამორთმევა, საცხოვრებელი ბინის მიღების რიგითობის გადატანა ან სხვა შეზღუდვები, საერთოდ არ გამოიყენება.

ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ ადმინისტრაციამ შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებებიდან მიღებულ შეტყობინებაზე მათი მუშის ი. დოროხოვის გამოსაფხიზლებელში მოთავსების შესახებ, შესაბამის ორგანოებს მისწერა, რომ მას ჩამოერთვა ერთი თვის პრემია. სინამდვილეში კი ი. დოროხოვი პრემიას სისტემატურად იღებდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება მხოლოდ კანონის შესრულებით შეიძლება და იგი მართლწესრიგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესების, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მნიშვნელოვანი პირობაა.

ლოთობასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სამართლის პროპაგანდას, რომელმაც დამაჯერებლად უნდა ახსნას ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის არსი, მისი მოთხოვნები და მნიშვნელობა. თავი უნდა დავაღწიოთ იმგვარ მუშაობას, როდესაც მთელი პროპაგანდისტული საქმიანობა ერთი უწყების, დაწესებულების ფარგლებში წარმოებს და მხოლოდ ჩატარებულ ღონისძიებათა სიმრავლით ფასდება. ანტიალკოჰოლურ სამართლებრივ აღზრდაში საჭიროა მეტი ორგანიზებულობა, შესრულების მკაცრი კონტროლი და ყოველდღიურობა.

ამ საქმეში დიდი როლი ეკისრებათ პროკურატურის ორგანოებს. პროკურორებმა ოპერატიულად უნდა გამოიყენონ შრომით კოლექტივებთან, მშრომელებთან შეხვედრის ყველა შემთხვევა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სესიებზე, სოფლის ყრილობებზე, მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე.

დრომ, ცხოვრებამ, წესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების აუცილებლობამ, ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები დააყენა. მათ შორის მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის საბოლოო აღმოფხვრა, რაც უცილობლად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ადვოკატები ახალი ამოცანების წინაშე

გ. როინიშვილი

საბჭოთა ადვოკატურა, რომლის მოღვაწეობაც დაკანონებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოწოდებულია დაეხმაროს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში. ეს დიდი და საპატიო ამოცანა გამომდინარეობს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებიდან, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ზემდგომი ორგანოები. ამ ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა 1979 წლის 30 ნოემბერს მიღებული კანონი „სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ“, რომლის საფუძველზეც საქართველოს სსრ შეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ 1980 წლის 12 ნოემბერს დაანტკიცა დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“. ამ დებულების მიღებას წინ უძღოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნათა შესრულების საქმეში რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც აისახა რესპუბლიკის ადვოკატურის მთელი საქმიანობა, გაანალიზდა პრობლემები და დაისახა პერსპექტივები. ამ სახელმძღვანელო დოკუმენტებმა უზრუნველყო რესპუბლიკის ადვოკატურის საქმიანობის გაუმჯობესება და მისი მოქმედების სფეროს გაფართოება.

ადვოკატთა პროფესიული მოვალეობა ზუსტად და ამომწურავად არის ჩამოყალიბებული ადვოკატურის შესახებ კანონის პირველ მუხლში: „ადვოკატურა სსრ კავშირში ხელს უწყობს მოქალქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მართლმსაჯულების განხორციელებას, სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სხვა პირთა უფლებების, პატივისა და ღირსების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით“.

ამ პრინციპების შესაბამისად საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომლებიც მას სადირექტივო ორგანოებმა დაუსახა.

ციფრებს თუ მოვიშველიებთ, ეს მაჩვენებლები ჩვენს სისტემაში ასეთ სურათს იძლევა:

თუ 1979 წელს იურიდიული დახმარება რესპუბლიკაში გაეწია 53.303

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირს, 1984 წელს ეს ციფრი 95.555-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდისათვის ადვოკატების მიერ აღძრული შუამდგომლობები გაიზარდა 15.499-დან 20.032-მდე, აქედან 1984 წელს დაკმაყოფილდა 10.277 ნაცვლად 1979 წელს დაკმაყოფილებული 6. 056-სა. შესამჩნევად გაუმჯობესდა საბჭოთა სამართლის პროპაგანდა და პროფილაქტიკური საქმიანობა. თუ 1979 წელს ადვოკატებს ჩატარებული ჰქონდათ 7.751 ლექცია, მოხსენება და საუბარი, 1984 წელს ეან 10.904 მიაღწია. აღავე დროს ხელშეკრულებით მომსახურე ორგანიზაციების სასარგებლოდ ამოღებული თანხა შესაბამისი პერიოდისათვის გაიზარდა 4.144.294 მანთიდან 5.199.638 მანეთამდე, ხოლო ადვოკატთა საშუალო თვიურძა გამომუშავებამ 150 ნანეთის ნაცვლად შეადგინა 180 მანეთი.

ამ მონაცემების მიხედვით რესპუბლიკის ადვოკატურის საერთო მაჩვენებლები დადებითად უნდა შეფასდეს. ჩვენს რიგებში ბევრია გამოცდილი, თავის პროფესიაზე შეყვარებული ადამიანი,რომლებიც გულმოდგინედ, დიდი რუდუნებით ემსახურებიან საპატიო საქმეს და წარმატებებსაც აღწევენ. ამჟამად ყველა საშუალება არსებობს იმისათვის, რომ უკეთესი მაჩვენებლები და უფრო მაღალი ავტორიტეტი გვქონდეს მოსახლეობაში, რომ ადამიანები მოკრძალებით, სიყვარულით მოდიოდნენ იურიდიულ კონსულტაციებში, ადვოკატის სახით ისინი ხედავდნენ ერთგულ, გვერდში მდგომ, კანონის შეუვალ დამცველსა და სამართლიან პიროვნებას. მაგრამ მაღალ პროფესიულ დონესთან ერთად საჭიროა ყოველდღიური შრომის, საშემსრულებლო დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განმტკიცება, რაც ზოგიერთ კონსულტაციაში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე .ბუნებრივია, ეს გავლენას ახდენს მუშაობის ხარისხსა და მაჩვენებლებზე, ადვოკატურის საერთო ავტორიტეტზე.

იურიდიულ კონსულტაციებში მოქალაქენი სხვადასხვა ხასიათის რჩევისა და განმარტებების მისაღებად მოდიან. ადვოკატი წერს განცხადებას, საჩივარს ან სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტს, რომელმაც სხვადასხვა ინსტანცია უნდა გაიაროს და ცხადია იგი არ შეიძლება ზერელედ და უხარისხოდ იყოს შედგენილი. გასულ წელს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრებმა კონსულტაცია ჩაუტარეს 49.800 მოქალქეს (მათ შორის 46.222 უფასოდ) და შეადგინეს 19.810 დოკუმენტი (მათ შორის 12.008 უფასოდ). მაჩვენებლები კიდევ უფრო კარგი იქნებოდა სათანადო ყურადღებას რომ აქცევდნენ მუშაობის ამ უბანს იურიდიულ კონსულტაციათა გამგეები.

თბილისის გლდანისა და საქარხნო რაიონების იურიდიულ კონსულტაციებში გაერთიანებულ ადვოკატთა რიცხობრივი მაჩვენებლები თანაბარია, მაგრამ მათი საქმიანობა ამ ხაზით — ფრიად განსხვავებული. ერთი წლის განმავლობაში გლდანის რაიონის ადვოკატებმა ზეპირი კონსულტაცია გაუწიეს 2.970 პირს და შეადგინეს 162 დოკუმენტი, ხოლო საქარხნო რაიონის ადვოკატებმა შესაბამისად 3.838 კონსულტაცია და 3.172 დოკუმენტი.

გარდაბნის რაიონის იურიდიული კონსულტაციის რვა ადვოკატმა 1984 წელს იურიდიული დახმარება აღმოუჩინა 3.529 მოქალაქეს, ხოლო ქუთაისის იურიდიული კონსულტაციის 25 ადვოკატმა მხოლოდ 3.460-ს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის საფუძვლიანობა, მათი ხარისხი და აღრიცხვა. სამწუხაროდ, ზოგიერთ იურიდიულ კონსულტაციაში არასრულყოფილად ივსება სარეგისტრაციო ბარათები, მათში გაკეთებული ჩანაწერები გაუგებარია, პასუხები გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართავი და კანონშეუსაბამო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადვოკატები საკითხის არსშიც კი ვერ ერკვეოდნენ. განა სადავოა, რომ კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია, რასაც მოქალაქეები იღებენ ადვოკატისაგან, იმის უტყუარი საწინდარია, რომ ამაღლდეს მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურება და შესამჩნევად შემცირდეს უსაფუძვლოდ გაჭიანურებული სასამართლო საქმეები, დავები, საჩივრები.

სამწუხაროდ, იურიდიულ კონსულტაციებში დამკვიდრებული პრაქტიკით დღემდე არ ინახებოდა ადვოკატების მიერ შედგენილი სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების ასლები, სრულყოფილად არ ხდებოდა მათი აღრიცხვაც და მის გამო თითქმის შეუძლებელი იყო ამ დოკუმენტების საფუძვლიანობისა და ხარისხის შემოწმება. ამჟამად ეს ხარვეზები აღმოფხვრილია. პრეზიდიუმის დადგენილებით იურიდიულ კონსულტაციებს დაევალათ, რომ მკაცრად აღრიცხონ და სარეგისტრაციო წიგნში გაატარონ კონსულტაციაში შემოსული ყველა დოკუმენტი ,მათ შორის შეკითხვები, აღნიშნონ პასუხის გამცემი ადვოკატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ხოლო შესრულებული მასალების ერთი პირი დარჩეს ადგილზე. დადგენილებით შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს იურიდიული კონსულტაციის გამგეს, რომლის ხელმოწერაც უნდა ჰქონდეს ყველა წერილობით რეკომენდაციას და პასუხს. მუშაობის ეს უბანი რომ გაუმჯობესდეს ადვოკატებმა მკაცრად უნდა დაიცვან საჩივრებისა და განცხადებების წარმართვის ქვემდებარეობა. როგორც წესი, საგამოძიებო და სასამართლო საქმეებზე არავითარი განმარტებისა ან ცნობის გაცემა არ შეიძლება.

ადვოკატთა მოღვაწეობაში ერთ-ერთი მთავარი მაინც მათი წარმომადგენლობაა სასამართლოებში, არბიტრაჟსა ან სახელმწიფო ორგანოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე. გასულ წელს რესპუბლიკის ადვოკატები მონაწილეობდნენ პირველ ინსტანციაში, საკასაციო ინსტანციებში და ზედამხედველობის წესით გასაჩივრებულ 10.150 საქმეში, მათ შორის 391-ჯერ უფასოდ. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადვოკატთა მიერ დაწერილი სარჩელები ძირითადად საფუძვლიანია, ისინი მხოლოდ კანონს ეყრდნობიან და მართალნი, პრინციპულნი არიან საკითხის დაყენების დროს. თუმცა, ზოგჯერ ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც ადვოკატები სრულიად უსაფუძვლოდ დავობენ და არც სურთ აღიარონ შეცდომა. ცხადია, ასეთი დავა სასამართლოებში უშედეგოდ მთავრდება, მაგრამ ადვოკატის არასწორი პოზიცია თავისთავად იმგვარად განაწყობს მხარეს, რომ იგი აღარ ფარავს უკმაყოფილებას და იწყებს საჩივრების წერას ზემდგომ ინსტანციებში. ამის შედეგად წლობით გრძელდება უპერსპექტივო დავები, ფუჭი მიწერ-მოწერები და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ასეთი მოქმედებით ადვოკატი იურიდიულ დახმარებას კი არ უწევს პირს, არამედ შეცდომაში შეჰყავს იგი, არასწორ სამართლებრივ პოზიციას უყალიბებს და ცუდად განაწყობს ადმინისტრაციული ორგანოებისადმი. აქ კი ირღვევა ადვოკატისათვის სავალდებულო და აუცილებელი პრინციპი, მისი წმიდათაწმიდა მოვალეობა, რომ ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას.

ადვოკატები, როგორც დამცველები, აქტიურად და კვალიფიციურად უნდა მონაწილეობდნენ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში სისხლის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლის საქმეთა განხილვის დროს, იყვნენ დაზარალებულთა, სამოქალაქო მოპასუხეთა წარმომადგენლები.

1984 წელს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრები წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლო ორგანოებში იცავდნენ 15.795 პირს. მათ მიერ აღძრული 20.032 შუამდგომლობიდან მხოლოდ 10.277 დაკმაყოფილდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი მოიცავს ძირითადად ადვოკატთა სასამართლო ორგანოებში მონაწილეობას. რაც შეეხება წინასწარი გამოძიების სტადიას, აქ მეტად არადამაკმაყოფილებელი მონაცემები გვაქვს. გასულ წელს წინასწარ გამოძიებაში ადვოკატები 4.134 პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად მონაწილეობდნენ, მაგრამ მათგან 1.449 პირის მიმართ ისე დამთავრდა საქმე, რომ მათ არავითარი შუამდგომლობა არ დაუყენებიათ.

ამას წინათ შევისწავლეთ ქ. თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატის ა. ხანახოვიჩის საქმიანობა ამ ხაზით და გამოირკვა, რომ ექვს თვეში მან მონაწილეობა მიიღო წინასწარ გამოძიებაში მყოფი 7 პირის დასაცავად. თუმცა, რა მონაწილეობა შეიძლება დაერქვას ადვოკატის მოქმედებას, როდესაც ნას არც ერთ საქმეზე არ ჰქონდა შედგენილი წარმოება. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ, საქმე არ შეუსწავლია და არც რაიმე შუამდგომლობა დაუყენებია გამოძიების წინაშე.

ცუდად იმუშავეს ამ მხრივ აგრეთვე ფოთის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ო. ბენდელიანმა, თბილისის საქარხნო რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ა. ნოდიამ და სხვებმა.

სასამართლოს განაჩენის და გადაწყვეტილების საკასაციო ან ზედამხედველობის წესით გასაჩივრება მეტად მნიშვნელოვანი პროცესუალური აქტია და ადვოკატმა ისე უნდა ჩაიმოაყალიბოს იგი, რომ საჩივარი ყოვემხრივ იყოს გამართლებული, გამომდინარეობდეს მხოლოდ კანონიდან და ეყრდნობოდეს თვალშესახებ დასაბუთება-მტკიცებულებას. რესპუბლიკის ადვოკატთა მრავალრიცხოვან კოლექტივს ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვს, მაგრამ სამწუხაროდ ზოგჯერ კურიოზული შემთხვევებიც გვხვდება.

ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ვინმე ფოლადაშვილი ცნობილი იყო დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით. ადვოკატი რ. იაშვილი საკასაციო საჩივრის შესავალ და აღწერილობით ნაწილში დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდესო, მაგრამ შემდეგ ბრალდების გადაკვალიფიცირებასა და ფოლადაშვილის მსუბუქად დასჯას მოითხოვდა. ასეთი უცნაური და საპირისპირო მტკიცებულებები ადვოკატს არ ეპატიება.

სიტყვა-სიტყვით მინდა მოვიყვანო მაგალითები ბორჯომის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე-ადვოკატ ზ. ავალიშვილის საკასაციო საჩივრიდან, „...მოწმე პალინა იქ იყო ჯიხურში და მას უჯერის თუმცა იმასაც არ წერს რატომ არ უჯერის როდესაც მისი ჩვენება საქმის მასალებს ემთხვევა დაზარალებულის კი არა“... „...ახსნა-განმარტებიდან ჩანს მთელი ღამე ერთად იყვნენ და დილით ერთ სახლში მიდის დაზარალებული თავის სახლში დაზარალებული გაუპატიურებაზე არავის არაფერს ეუბნება...“ ამ აბდაუბდა გაუგებარი საჩივრიდან იმის დადგენაც ძნელია თუ რამ დააწერინა იგი ადვოკატს, რას მოითხოვს ზემდგომი ინსტანციისაგან „...ამიტომ გთხოვთ დააბრუნოთ საქმე დამატებით გამოძიებაში შემდგომი ობიექტური გამოძიებისათვის, რა-

საც მსჯავრდებული მოითხოვდა თავის განცხადებაში სწორად, რადგან მართალია იგი იხდიდა სასჯელს, მაგრამ განიცდიდა მუშაობდა დადებითად, ყავს ორი პატარა შვილი და ახალგაზრდა...“

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი თ. წიკლაური საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიაში წარმომადგენლობდა მოსარჩელე ნიქაბაძის განქოწინების, ბინისა და ქონების გაყოფის საქმეს, მაგრამ სხდომაზე სრულიად მოუმზადებელი გამოცხადდა. მას საქმის წარმოებაც კი არ ჰქონდა. ამაზე დიდი უპასუხისმგებლობა ალბათ არც შეიძლება.

საქმის წარმოების გარეშე მონაწილეობდნენ საკასაციო ინსტანციებში აგრეთვე ადვოკატები: შ. ხომასურიძე, ჯ. მალაქშანიძე, ა. ხანახოვიჩი, შ. გიგიაძე და სხვები. ასეთ დარღვევებზე ადვოკატებთან ერთად პასუხი მოეთხოვებათ იურიდიულ კონსულტაციათა გამგეებს, რომლებიც ვალდებული არიან მკაცრნი და სამართლიანი იყვნენ მსგავს გამოვლინებათა დროს. მათვე უნდა გაუკეთონ ორგანიზაცია ადვოკატთა საქმიანობას ადმინისტრაციული წესით საქმეთა წარმოების ნაწილში, გააფართოონ მოქალაქეთა სამართლებრივი დახმარების ეს მეტად ხელსაყრელი ფორმა, ფართო პროპაგანდა გაუწიონ ადვოკატურის შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებებს.

საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა და მომხდარი დანაშაულის პროფილაქტიკა ადვოკატთა საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. ლექცია-მოხსენებები, შეხვედრები, კითხვა-პასუხის საღამოები და დისპუტები ის ფორმებია, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან იურიდიულ-ცა კონსულტაციებმაც.

მართალია ყოველწლიურად იზრდება იდეოლოგიური მუშაობის მოცულობა, უმჯობესდება მისი ხარისხი, მაგრამ საბწუხაროდ სამართლებრივი აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება ფორმალიზმი, არ ხდება სალექციო თემების დროული განახლება, აუდიტორიის გათვალისწინება, ყველა იურიდიული კონსულტაცია არ იჩენს საჭირო ინიციატივას მუშაობის ამ უბანზე.

გასულ წელს თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის 30 ადვოკატმა სამართლებრივი ხასიათის 1.180 ლექცია-საუბარი ჩაატარა, ორჯონიკიძის რაიონის 34 ადვოკატმა კი მხოლოდ 517. ჯავის, ხობის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონებში მომუშავე 4 ადვოკატს შესაბამისად ჩატარებული აქვთ 51, 46, 32, 39 ლექცია-საუბარი. თითქმის ამდენივე რაოდენობის ლექცია ჩაატარეს ხაშურის, ცხაკაიას, მახარაძის, ფოთისა და კასპის რაიონების იურიდიულმა კონსულტაციებმა, სადაც 22 ადვოკატია გაერთიანებული.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი განსაკუთრებულ ძომთხოვნელობას იჩენს სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველდღიურად ზრუნავს, რომ ადვოკატთა რიგებში მხოლოდ სპეტაკი, უანგარო და მცოდნე იურისტები იყვნენ გაერთიანებულნი. ᲐᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲬᲘᲡᲐ, მაინც ვხვდებით ფაქტებს, როცა ადვოკატთა კოლეგიის წევრები უტაქტოდ იქცევიან, ხოლო ზოგჯერ თავიანთი წოდებისათვის შეუთავსებელ მოქმედებასაც არ ერიდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ 1981 წელს 10 ადვოკატი მკაცრად იყო გაფრთხილებული, ხოლო 14-ს სასჯელი დაედო, 1982 წელს შესაბამისად 10 გაფრთხილდა, 22 კი დისციპლინური წესით დაისაჯა, 1983 წელს ამავე წესით დაისაჯა 24 ადვოკატი, 1984 წელს 27. სამწუხაროდ, დასჯილ ადვოკატთა რაოდენობა დიდია, ხოლო გადაცდომათა ხასიათი მრავალფეროვანი.

ბოლნისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატის შ. ბანცურის შეუფერებელ მოქმედებებზე ერთ წელიწადში ორჯერ იმსჯელა პრეზიდიუმმა და სასტიკი საყვედური გამოუცხადა მას. ასევე სასტიკი საყვედური გამოეცხადა ქუთაისის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატ ო. მამაგეიშვილს.

მკაცრი დისკპლინური სასჯელები დაედოთ აგრეთვე საჩხერის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე-ადვოკატს ა. კაპანაძეს, ლანჩხუთის იურიდიული კონსულტაციის გამგე-ადვოკატს შ. კუკულაძეს, კოლეგიიდან გაირიცხნენ ხაშურის რაიონის ირიუდიული კონსულტაციის ადვოკატი თ. ოგანეზოვა, ქ. ქუთაისის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ვ. მოსეშვილი, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის და გლდანის რაიონის იურიდიული კონსულტაციების ადვოკატები თ. ლომია და ი. ჟიჟიკინი.

გვყვანან ისეთი ადვოკატებიც, რომელთა შეუფერებელი მოქმედება სისტემატურ ხასიათს ატარებს. თითქმის ყოველწლიურად, ზოგჯერ კი წელიწადში ორჯერ იხილება მათი დისციპლინური საქმეები პრეზიიდუმის სხდომებზე. ასეთები არიან: ა. ნოდია, ჯ. ჯაყელი და სხვები.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი თავის მუშაობას იმ სახელმძღვანელო დადგენილებათა მიხედვით წარმართავს, რომლებიც ამ ბოლო დროს მიიღეს ზემდგომმა ორგანოებმა. აქ უპირველესად იგულისხმება კანონი „სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ“ და რესპუბლიკის ადვოკატურის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 29 აგვისტოსა და 1982 წლის 18 მაისის ცნობილი დადგენილებები.

ახალი ამოცანების წინაშე მდგარი საპატიო პროფესიის ერთგული ქართველი ადვოკატების როლი და ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზრდება. ისინი წარმატებით გადაჭრიან დაკისრებულ ამოცანას: კვალიფიციური იურიდული დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღება

ზ. ახვლედიანი

მებაღეობის ამხანაგობა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. იგი იმ მიზნით შეიქმნა, რომ კიდევ უფრო უკეთ დაკმაყოფილდეს მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა მოთხოვნილება ხილზე, კენკრაზე, ბოსტნეულზე, გაუმჯობესდეს შრომითი აღზრდისა და კულტურული დასვენების პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 20 მარტის დადგენილებით დამტკიცდა მუშათა და მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივი წესდება, რომელმაც განსაზღვრა მოქალაქეთა ის წრე, ვინც შეიძლება იყოს მებაღეობის ამხანაგობის წევრი. მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა შრომითი კავშირი იმ საწარმოსთან, ორგანიზაციასთან ან დაწესებულებასთან, სადაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა, მაგრამ ამავე წესდებით დაშვებულია გამონაკლისიც, როცა წევრად მიღება ამ პირობების გარეშეც შეიძლება. ასეთი უპირატესობა ენიჭებათ დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და შრომის ვეტერანებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, აგრეთვე ამხანაგობის გარდაცვლილი წევრის ერთ-ერთ მემკვიდრეს და ასე შემდეგ.

ტიპობრივი წესდების შესაბამისად მებაღეობის ამხანაგობის წევრები შეიძლება იყვნენ:

ა) თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მუშები და მოსამსახურეები. ეს იმას ნიშნავს, რომ ტიპობრივი წესდება საწარმოსთან, ორგანიზაციასთან ან დაწესებულებასთან შრომითი კავშირის გარდა მოითხოვს მოქალაქის სრულ ქმედუნარიანობასაც. აქვე კანონი უშვებს გამონაკლისს, როდესაც ამხანაგობის წევრი შეიძლება იყოს თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირი. ეს შეღავათი ვრცელდება მათზე, ვისაც დადგენილი წესით შეუმცირდა საქორწინო ასაკი, დაქორწინდნენ და ცხადია, შეიძინეს ქმედუნარიანობა.

ბ) პენსიონერები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ იმ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში, სადაც მებაღეობის ამხანაგობა იქმნება. ასეთ დროს მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღების მთავარ პირობად რჩება შრომითი კავშირი, რომელიც მას ჰქონდა იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, რომლებთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობები. მათი ლიკვიდაციის შემთხვევაში კი პენსიონერს უფლება აქვს მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღების საკითხზე მიმართოს სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას;

გ) მებაღეობის ამხანაგობიდან გასული წევრების ნაცვლად მიღებული პირები. ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხანაგობიდან გასულ ან გარიცხულ წევრთა ნაცვლად ამხანაგობის წევრებად მიიღებიან იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშები და მოსამსახურეები, რომლებთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა. განთავისუფლებული საბაღე ნაკვეთების მიღების უპირატესი უფლება აქვთ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, აგრეთვე, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს და ამ საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან გასულ პენსიონერებს. თუ აქედან არ იქნებიან ამხანაგობაში შესვლის მსურველნი, შეიძლება სხვა საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების იმ მუშათა და მოსამსახურეთა მიღება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ადმინისტრაციისა და პროფკავშირთა ადგილობრივი კომიტეტების შუამდგომლობას. შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს იმ ქალაქის (რაიონის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის რეკომენდაცია, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ის საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, ვისთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღვნიშნეთ, მებაღეობის ამხანაგობის წევრად შეიძლება მიღებულ იქნენ აგრეთვე ის მოქალაქეები, რომლებსაც შრომითი ურთიერთობა არ აქვთ იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, ვისთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა. ასეთ შემთხვევებს უმეტესად ადგილი აქვს ამხანაგობის წევრთა განქორწინების ან გარდაცვალების შემთხვევაში. განქორწინების დროს ამხანაგობის წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს ყოფილი მეუღლე, ხოლო გარდაცვალებისას მისი მემკვიდრე.

განქორწინების დროს საბაღე ნაკვეთი არ გაიყოფა. ტიპობრივი წესდებით ერთ-ერთი ყოფილი მეუღლის მიერ საბაღე ნაკვეთით სარგებლობის საკითხს გადაწყვეტენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მებაღეობის ამხანაგობის წევრობა ამ დროს არავითარ უპირატესობას არ იძლევა.

საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უპირველესად ის უნდა იყოს მიღებული, თუ რომელ მეუღლესთან დარჩნენ საცხოვრებლად არასრულწლოვანი შვილები, რომელმა გასწია მეტი შრომა საბაღე ნაკვეთის ათვისებაზე და სხვა. ტიპობრივ წესდებაში არაფერია ნათქვამი თვით ყოფილ მეუღლეთა სურვილზე, თუ რომელს უნდა დარჩეს საბაღე ნაკვეთის სარგებლობის უფლება. მიგვაჩნია, რომ საკითხის გადაწყვეტის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ყოფილ მეუღლეთა სურვილს. თუ ერთ-ერთ ყოფილ მეუღლეს სურს, რომ საბაღე ნაკვეთი დარჩეს მეორე მეუღლის და ბავშვების სარგებლობაში, მაშინ ასეთი სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს.

როგორც წესი, განქორწინებულ მეუღლეთა მიერ საბაღე ნაკვეთით სარგებლობის საკითხს გადაწყვეტს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი. თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, უფლება აქვს იგი გაასაჩივროს სახალხო სასამართლოში. (ქონება, რომელიც ნატურითაა საბაღე ნაკვეთზე, იმ მეუღლეს რჩება, რომელსაც გამოეყო საბაღე მიწის ნაკვეთი, მეორე მეუღლეს კი უნდა აუნაზღაურდეს მისი წილის ღირებულება).

მებაღეობის ამხანაგობის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ამხანაგობის წევრად მიღებისას უპირატესობა მიეცემა გარდაცვლილ წევრის ერთ-ერთ მემკვიდრეს, ამხანაგობის გამგეობის რეკომენდაციით. მას ამტკიცებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილება. ტიპობრივ წესდებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ამხანაგობის წევრად მიღების საკითხი მაშინ, როდესაც გარდაცვლილი წევრის რამდენიმე მემკვიდრეს სურს ამხანაგობის წევრობა. მემკვიდრეებს შორის საბაღე ნაკვეთის გაყოფა არ შეიძლება. ისმის საკითხი, რომელ მემკვიდრეს უნდა მიეცეს უპირატესობა? რასაკვირველია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მემკვიდრეს, რომელიც ამხანაგობის წევრთან ერთად სარგებლობდა საბაღე ნაკვეთით. თუ ყველა ან რამდენიმე მემკვიდრე სარგებლობდა საბაღე ნაკვეთით, მაშინ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებამ (კონფერენციამ) გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა გაითვალისწინოს ტიპობრივი წესდების საერთო მოთხოვნილებები. კერძოდ, თუ რა მონაწილეობა მიიღო საბაღე ნაკვეთის სამუშაოებში თითოეულმა მათგანმა, რომელს უფრო სჭირდება იგი, ვის ჰყავს არასრულწლოვანი შვილები და სხვა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამკვიდრო ქონება (საბაღე სახლი, სხვა ნაგებობები, ნარგავები, მიზნობრივი შესატანები) მთლიანად იმ მემკვიდრეზე გადავა, რომელიც ამხანაგობის წევრი გახდება. იგი დადგენილი წესით თანაბარწილად გაუნაწილდებათ კანონისმიერ მემკვიდრეებს, მაგრამ აქვე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთი სპეციფიკა. სამკვიდრო ქონება ნატურით მხოლოდ იმ მემკვიდრეს გადაეცემა, რომელიც ამხანაგობის წევრადაა მიღებული, მან კი დანარჩენ მემკვიდერებს უნდა გადაუხადოს სამკვიდრო ქონებაში მათი წილის ფულადი ღირებულება. უთანხმოების შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

საბაღე ნაკვეთზე განლაგებული ქონების დატოვება ანდერძით დასაშვებია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანდერძისმიერი მემკვიდრე ავტომატურად გახდება ამხანაგობის წევრი. შეიძლება ამხანაგობის წევრად მიიღონ სხვა მემკვიდრე, ანდერძისმიერ მემკვიდრეს კი აუნაზღაურონ სამკვიდრო ქონების ღირებულება.

ტიპობრივი წესდებით დადგენილია მოქალაქეთა განსაზღვრული წრე, რომლებიც მებაღეობის ამხანაგობის წევრებად მიიღებიან მაშინაც, როდესაც მათ შრომითი კავშირი არ აქვთ იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, ვისთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა. ამ წრეს განეკუთვნებიან დიდი სამამულო ომისა და სსრ კავშირის დასაცავად სხვა საბრძოლო ოპერაციების მონაწილე არამომუშავეები სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც მსახურობდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტაბებსა და დაწესებულებებში, პარტიზანები, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანები, პენსიონერები ოფიცერთა შემადგენლობიდან, რომლებმაც უმწიკვლოდ იმსახურეს სამხედრო სამსახურში არანაკლებ 25 წელი და დათხოვნილი არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ამ პირთა მიღება მებაღეობის ამხანაგობის წევრებად ხდება სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების წარდგენით მებაღეობის ამხანაგობის წევრთა რაოდენობის 10 პროცენტის ფარგლებში.

საბაღე მიწის გამოყოფა თავისთავად გულისხმობს მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღებას. ტიპობრივი წესდებით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ერთობლივი გადაწყვეტლებით გამოუყოფენ მუშებს, მოსამსახურეებს, პენსიონერებს სარგებლობისათვის დაწესებული ფართობის მიწის ნაკვეთებს. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა გააფორმებს აგრეთვე მის წევრად მიღებას (მებაღეობის წევრთა სიაში შეტანა, მებაღის საწევრო წიგნაკის მიცემა და ა. შ.).

მებაღეობის ამხანაგობის წევრებს გამოეყოფათ 400-დან 600 კვადრატულ მეტრამდე საბაღე მიწის ნაკვეთები. საბაღე მიწის ნაკვეთის კონკრეტულ მოცულობას ამ ფარგლებში ადგენს ის ორგანო, რომელმაც მიწის ნაკვეთი გამოუყო საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას. ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილება მოქალაქისათვის საბაღე მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროფკავშირულ ორგანიზაციაში. მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღებასთან და საბაღე ნაკვეთების საზღვრებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება, იგი ადმინისტრაციული წესით უნდა გადაწყდეს.

კანონით დადგენილია მოქალაქეთა ის წრე, რომელთა მიღება მებაღეობის ამხანაგობის წევრად შეზღუდულია. მებაღეობის ამხანაგობის წევრებად არ შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, თუ მათ ან მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი აქვთ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ფლობენ აგარაკებს პირადი საკუთრების უფლებით ან სარგებლობენ სახელმწიფო აგარაკებით, სამსახურებრივი მიწის ნაკვეთებით, ითვლებიან სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივის ან სხვა მებაღეობის ამხანაგობის წევრებად.

ქალაქად ცხოვრობს ბევრი მოქალაქე, რომელსაც სოფელთან კავშირი აქვს გაწყვეტილი, მაგრამ პირადი საკუთრების უფლებით იქ ფლობს სახლს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 6 ივნისს მიიღო დადგენილება „სოფლად კავშირგაწყვეტილ პირთა მფლობელობაში არსებული სახლებით და დამხმარე ნაგებობებით დაკავებული მიწის ფართობის აღრიცხვის მოწესრიგებისა და მათი გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც სოფელთან კავშირგაწყვეტილ პირებსა და მემკვიდრეობით მიღებული სახლების მესაკუთრეებს ნება დაერთოთ ისარგებლონ სოფლად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნო საწარმოების ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი სახლებით, დამხმარე ნაგებობებით და ეზოებით, და მიწის ფართობით, მაგრამ არა უმეტეს 0,06 ჰექტარისა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ კატეგორიის მოქალაქეები ერთობლივად უნდა ფლობდნენ მხოლოდ იმ ფართობის მიწის ნაკვეთებს, რაც მათ კანონის შესაბამისად შეიძლება ჰქონდეთ. აღნიშნული დადგენილებიდან თუ გამოვალთ, მათ არ უნდა მიეცეთ მებაღეობის ამხანაგობის წევრობის უფლება.

მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივი წესდებით გათვალისწინებულია ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის ორი შემთხვევა. ერთია თვითონ მოქალაქის სურვილი და მეორე-ამხანაგობის შემადგენლობიდან გარიცხვა.

მებაღეობის ამხანაგობის შემადგენლობიდან გასვლა მისი წევრის უფლებაა. ამხანაგობის წევრს შეუძლია თავისი სურვილით გავიდეს ამხანაგობის შემადგენლობიდან ისე, რომ ამისათვის არ მოითხოვოს რაიმე პირობები. ტიპობრივი წესდებით დადგენილია ისიც, რომ მუშები და მოსამსახურეები სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლის და საკარმიდამო ნაკვეთის მიღების, პირადი საკუთრების უფლებით ან სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივში აგარაკის შეძენის შემთხვევაში გადიან მებაღეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან. მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება ასეთ დროს ამხანაგობის წევრს მიეცეს ნაკვეთის არჩევის უფლება. თუ მებაღეობის ამხანაგობის წევრმა მემკვიდრეობით მიიღო აგარაკი, მას უნდა დაერთოს ნება გაასხვისოს იგი და შეინარჩუნოს საბაღე ნაკვეთით სარგებლობის უფლება. ამისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი საჭიროა განისაზღვროს ვადა, ხოლო თუ მოქალაქე არ დაიცავს დადგენილ წესსა და ვადას, გაირიცხოს მებაღეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან.

მებაღეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან საკუთარი სურვილით გასვლის დროს ამხანაგობიდან გასვლა ხდება გამგეობის გადაწყვეტილებით.

მებაღეობის ამხანაგობიდან წევრის გარიცხვა შეიძლება მხოლოდ ტიპობრივი წესდებიო გათვალისწინებულ შემთხვევებში:

ა) თუ იგი არ აითვისებს ბაღისათვის გამოყოფილ ნაკვეთს ორი წლის განმავლობაში;

ბ) თუ იგი სისტემატურად არ შეასრულებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) მიერ დამტკიცებულ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, სანიტარულ-ვეტერინალურ და ხანძარსაწინააღმდეგო წესებს;

გ) თუ იგი უარს იტყვის ან სისტემატურად თავს აარიდებს კოლექტიური ბაღის საერთო სამუშაოებში მონაწილეობას;

დ) თუ იგი უარს იტყვის საერთო კრების მიერ (კონფერენციის) დაწესებული ფულადი შესატანების (შესასვლელი, საწევრო და მიზნობრივი) გადახდაზე.

ე) თუ იგი სამუშაოდან დაითხოვეს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. ტიპობრივი წესდება მიუთითებს სამუშაოდან განთავისუფლების მხოლოდ ორ საფუძველს — დანაშაულის ჩადენას და შრომის დისციპლინის დარღვევას. მაშასადამე, მოქალაქის სამუშაოდან განთავისუფლების სხვა შემთხვევები, მაგალითად, განთავისუფლება მუშაკის სურვილით, ავადმყოფობის გამო, შტატების შემცირებით და სხვა, არ იწვევს მებაღეობის ამხანაგობის შემადგენლობიდან გარიცხვას;

ვ) თუ იგი თვითნებურად გადასცემს სხვა პირებს კოლექტიური ბაღის ნაკვეთს, აგრეთვე მასზე აშენებულ ნაგებობებს მთლიანად ან ნაწილობრივ; საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 151-ე მუხლით დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, ჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცვლა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

მებაღეობის ამხანაგობის წევრმა მიწის ნაკვეთი უნდა გამოიყენოს მხოლოდ თავისი და ოჯახის წევრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მის მიერ დადებული ყოველი გარიგება, რომელიც არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია, ხოლო თვითონ შეიძლება ამხანაგობის წევრობიდან გაირიცხოს. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა — შეიძლება თუ არა საბაღე ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემა სხვა პირისათვის მაშინ, როცა ამხანაგობის წევრი თავისი ოჯახით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო სხვაგან იმყოფება. ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი ტიპობრივი წესდება ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა.

ზ) თუ იგი სისტემატურად არღვევს წესდებას, შინაგანაწესს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს;

თ) თუ იგი საბაღე ნაკვეთზე აწარმოებს მშენებლობას უპროექტოდ ან პროექტის გადახვევით.

ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის საკითხი უნდა აღიძრას ამხანაგობის გამგეობის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის, აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობისადმი კონტროლს განმხორციელებელი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ინიციატივით. დადგენილებას მებაღეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხვის შესახებ მიიღებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ერთობლივი გადაწყვეტილებით ან სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი, თუ მებაღეობის ამხანაგობა თავის საქმიანობას მისი ხელმძღვანელობით ახორციელებს. მებაღეობის ამხანაგობის გამგეობა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გააფორმებს ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასვლას (ამორიცხავს მებაღეთა სიიდან, შეიტანს ამის შესახებ შესაბამის ჩანაწერს საწევრო წიგნაკში, მოახდენს ფულად ანგარიშსწორებას და სხვ.).

ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხულ მოქალაქეს უფლება აქვს გასაჩივროს გადაწყვეტილება ზემოგომ პროფკავშირულ ორგანოში, მათ შორის პროფკავშირთა საბჭოში, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება კი გასაჩივრდება მის შესაბამის ზემოგომ ორგანოში. მათი გადაწყვეტილებები საბოლოოა.

ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასულმა ან გარიცხულმა პირმა და მათი ოჯახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრებმა უნდა გაათავისუფლონ საბაღე სახლი და მიწის ნაკვეთი. თუ წინააღმდეგობას ექნება ადგილი, ამხანაგობის გამგეობას უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სახალხო სასამართლოს. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის იმის დადგენა, სწორი იყო თუ არა ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან პირის გარიცხვა.

მოქალაქეებს, რომლებიც თავიანთი სურვილით გავიდნენ ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან ან გაირიცხნენ, უფლება აქვთ მოითხოვონ იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც ტიპობრივი წესდებითაა დადგენილი.

ეს ხარჯებია:

1. ნაგებობების (საბაღე სახლი და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები) და ნარგავების ღირებულება; ამხანაგობის წევრობიდან გასულ პირს საბაღე სახლის გაყიდვის უფლება არა აქვს, მაგრამ ვალდებულიც არ არის იგი ვადასცეს ახალმიღებულ წევრს. იგი ინარჩუნებს იმის უფლებას, გადაიტანოს საბაღე სახლი სხვა მიწის ნაკვეთზე და თუ სურს, გაასხვისოს. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა საბაღე სახლის, არამედ სამშენებლო მასალის გასხვისება.

2. მიზნობრივი შესატანები (საზოგადოებრივი შენობა — ნაგებობების, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების ქსელების მშენებლობისათვის, გზების მოწყობისა და კოლექტიური ბაღის ტერიტორიის შემოღობვისათვის გაღებული მიზნობრივი შესატანები ამ შენობა-ნაგებობათა გაცვეთის გათვალისწინებით).

მებაღეობის ამხანაგობაში შესასვლელი და საწევრო შესატანები, საზოგადოებრივ ნაგებობათა რემონტისა და დაქირავებულ მუშათა შენახვისათვის გაწეული ხარჯები, აგრეთვე წყლით, ელექტროენერგიითა და ავტოსატრანსპორტო სარგებლობისთვის შეტანილი გადასახდელები დაბრუნებას არ ექვემდებარება.

საბაღე ნაკვეთზე არსებულ ნაგებობებსა და ნარგავებს აფასებს კომისია, რომელსაც ჰქმნის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი. ამასთან ერთად, კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სათანადო სპეციალისტები და ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასაყვანი პირები.

ნაგებობათა შეფასება ხდება ცვეთის ნორმატივების მიხედვით, ხოლო ხეხილის, კენკრეულისა და ნარგავებისა კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმების გათვალისწინებით.

ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასულს მიზნობრივი შენატანები უნდა დაუბრუნოს ამხანაგობის გამგეობამ, ხოლო ნაგებობების და ნარგავების ღირებულება ახალმიღებულმა წევრმა გამგეობის სალაროს მეშვეობით. ახალმიღებულ წევრს უფლება არა აქვს უარი თქვას დადგენილი ღირებულების გადახდაზე მაშინაც კი, როდესაც საბაღე ნაკვეთზე სხვა სახლის აშენება სურს. ტიპობრივ წესდებაში განსაზღვრული არ არის ვადა, თუ რამდენ ხანში უნდა დააბრუნოს ამხანაგობის გამგეობამ მიზნობრივი შენატანები. ეს იმას ნიშნავს, რომ ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასულ ან გარიცხულ პირებს მიზნობრივი შენატანები დაუბრუნდებათ მას შემდეგ, როცა მიიღება შესაბამისი სახსრები ამხანაგობის ახალმიღებული წევრისაგან.

თუ ამხანაგობის გამგეობა ან ახალმიღებული წევრი არ გადაუხდიან ამხანაგობის ყოფილ წევრს კუთვნილ თანხას, მაშინ მათ შორის აღმოცენდება სამოქალაქო სამართლებრივი დავა, რომელიც სასამართლოს ქვემდებარეა, მაგრამ სასამართლომ უნდა განიხილოს სარჩელის დასაკმაყოფილებლად სამოქალაქო სამართლებრივი საფუძვლის არსებობის საკითხი და არა დავა ქონების ღირებულების შესახებ. ანგარიშსწორება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასულ პირსა და ახალმიღებულ წევრს შორის გამგეობის სალაროს მეშვეობით ხდება, მაგრამ ნაგებობებისა და ნარგავების ღირებულების გადახდა უნდა მოითხოვონ ამხანაგობის წევრად ახალმიღებულ პირისაგან.

ნაგებობა, რომელიც დადგენილი წესის დარღვევითაა აგებული თვითნებურ მშენებლობად ითვლება და მისი ანაზღაურება არ შეიძლება. ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასულმა პირმა უნდა აიღოს ეს შენობა და თუ სურს, წაიღოს სამშენებლო მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიალების სამართლებრივი სტატუსი

რ. ფიფია

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 30-ე მუხლით, იურიდიულ პირს შეუძლია, გახსნას თავისი ფილიალები და წარმომადგენლობანი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ფილიალი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს რომელიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის განყოფილებას, რომელიც სხვაგან ადგებარეობს და აქვს ერთგვარი დამოუკიდებლობა.

ფილიალების სამართლებრივი სტატუსი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სრულიად შეუსწავლელია მაშინ, როდესაც მისი როლი მოსახლეობის შრომითს დასაქმებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ამას გარდა, ფილიალის საშუალებით იურიდიული პირი აფართოებს თავისი საქმიანობის ტერიტორიულ სფეროს.

ფილიალები შეიძლება ჰქონდეთ როგორც სახელმწიფო, ასევე კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამრეწველო, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს და ა. შ.

ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა ფილიალების სამართლებრივი ბუნების შესახებ. გამოთქმულია შეხედულება, რომ ფილიალი დამოუკიდებელ იურიდიულ პირს წარმოადგენს. პროფ. ს. ნ. ბრატუსის აზრით, ეს ეწინააღმდეგება თვით ფილიალის ცნებას[1].

ფილიალის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი ტერიტორიულად სხვა დასახლებულ პუნქტია, თუმცა ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ იურიდიულ პირს შეუძლია გახსნას ფილიალები თავის ადგილსამყოფელშიც. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 29-ე მუხლით იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება ადგილი, სადაც ფუნქციონირებს მისი მუდმივმოქმედი ორგანო.

საფინანსო-სამეურნეო სტრუქტურისა და სამართლებრივი ბუნების მიხედვით იურიდიული პირის ფილიალებს ყოფენ ორ კატეგორიად. პირველს მიაკუთვნებენ ფილიალს, რომელიც არ არის იურიდიული პირის დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილი და მოქმედებს იურიდიული პირის მიერ მისთვის გადაცემული სახსრების ფარგლებში. მეორე სახის ფილიალად მიჩნეულია ის კანტორა და განყოფილება, რომელიც გადაყვანილია სრულ სამეურნეო ანგარიშზე, ე. ი. გადაცემული აქვს საკუთარი საბრუნავი სახსრები. პირველი კატეგორიის ფილიალის ვალდებულებებზე მთლიანად და უშუალოდ პასუხისმგებელია თვითონ იურიდიული პირი, ხოლო მეორეს მიმართ, იურიდიულ პირს აქვს დამატებითი ანუ სუბსიდიური პასუხისმგებლობა. ჩვენი აზრით, ფილიალების ასეთი დაყოფა მცდარი და შეუსაბამოა მათს სამართლებრივ ბუნებასთან. ისინი არ არიან იურიდიული პირები. უფრო მართებულია ფილიალის ცნების შემდეგი ფორმულირება; ფილიალი არის იურიდიული პირის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ახორციელებს იურიდიული პირისათვის დაკისრებულ ყველა ფუნქციას ან მის ნაწილს — ამ უკანასკნელის ადგილსამყოფლის გარეთ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 9 დეკემბრის დადგენილება „სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“[2]. მკაცრად არეგლამენტირებდა ფილიალების გახსნას რათა აღკვეთილიყო მეურნეობრივად მიზანშეუწონელი ფილიალების შექმნა, რომლებიც გამოიწვევდნენ მხოლოდ სახელმწიფო სახსრების ზედმეტ ხარჯვას. ამ დადგენილებით განსაზღვრული იყო, თუ რომელი ორგანოს სანქციით ხდებოდა საერთო-საკავშირო, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშ-

---

[1] Комментарий к гражданскому кодексу РСФСР, ответ. ред. проф. Братусь С. Н. и проф. Садиков О. Н., М., 1982, с. 61.

[2] СЗ СССР, 1935, № 64, ст. 518.

ვნელობის ორგანიზაციების ფილიალების შექმნა. საერთო-საკავშირო ორგანიზაციების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კომისარიატში შემავალი ორგანიზაციების ფილიალებისა და წარმომადგენლობის გახსნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლებოდა მხოლოდ სსრ კავშირის შესაბამისი სახალხო კომისრის ან სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით. რესპუბლიკური ან ადგილობრივი მნიშვნელობისა კი იმავე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებდა მოკავშირე რესპუბლიკის სახკომსაბჭოს სანქციით. რესპუბლიკური ორგანიზაციების ფილიალის გახსნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიშვებოდა იმ მოკავშირე რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან შეთანხმებით, რომლის ტერიტორიაზეც ფილიალი იქმნებოდა. ამ წესის დაუცველობა იწვევდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, სამართალში ეძლეოდა როგორც სამეურნეო საწარმოსა და ორგანიზაციის, ისე ფილიალის ხელმძღვანელი ეს აქტი შეიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით „საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ"[3]. დადგენილებით დამტკიცდა დებულება „საწარმოების ,გაერთიანებების, ორგანიზაციების და დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ". მისი მე-10 მუხლით ფილიალების, განყოფილებების და საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის და დაწესებულებების სხვა განკერძოებული ქვედანაყოფების შექმნა ხდება იმავე წესით, რომელიც დადგენილია საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის შექმნისათვის. აქედან გამომდინარე საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალების შექმნა წარმოებს სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ. ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ ამ საკითხის შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ წინასწარი განხილვის შემდეგ. რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალები იქმნება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ ან მათ მიერ დადგენილი წესით. ერთი მოკავშირე რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალების შექმნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასაშვებია, თუ ამის თაობაზე არის შეთანხმება შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შორის.

სამეურნეო საწარმოების ფილიალების შექმნის კანონიერების შემოწმების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა ფილიალების სახელმწიფო რეგისტრაცია. ამ რეგისტრაციას აწესრიგებდა სახკომსაბჭოს 1931 წლის 9 თებერვლის დებულება „სამეურნეო ბრუნვაში მონაწილე საწარმოების, ორგანიზაციებისა და პირების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ" სახელმწიფო რეგისტრაციას ექვემდებარებოდა საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალები — განყოფილებები, კანტორები, სააგენტოები იმ პირობით, თუ მათ მინიჭებული ჰქონდათ უფლება, დამოუკიდებლად განეხორციელებინათ სავაჭრო ოპერაციები. 1940 წლის 16 აპრილს სახკომსაბჭომ მიიღო ახალი დებულება „სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ"[4]. ამ დებულებით სახელმწიფო რეგისტრაციას ექვემდებარებოდა ორგანიზაციის ფილიალები, სახლდობრ, განყოფილებები, კანტორები, სააგენტოები და ამ ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლობანი, მათ შორის მუდმივი ერთპიროვნული რწმუნებულები. რეგისტრაციის დროს სახელმწიფო რეესტრში შეიტანებოდა: ფილიალის სახელწოდება, იმ ორგანოს დასახელება, რომლის ნებართვითაც იქმნებოდა ფილიალი, აგრეთვე ფილიალის საქმიანობის საგანი და მისი ადგილმდებარეობა. სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციებისა და საწარმოების ფილიალებს ეკრძალებოდათ რაიმე სახის ხელშეკრულების და გარიგების დადება ორგანიზაციებთან და ერთპიროვნულ რწმუნებულებთან მათ რეგისტრაციაში გატარებამდე. სახელმწიფო ბანკს აკრძალული ჰქონდა არარეგისტრირებული ფილიალებისათვის საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშების გახსნა, რაიმე ფულადი სახსრების გაცემა ,აგრეთვე საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება. ჩვენს რესპუბლიკაში საწარმოთა ფილიალების რეგისტრაცია ხორციელდებოდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 14 ნოემბრის დებულებით — „საქართველოს სსრ

[3] СП СССР, № 816, ст. 10.
[4] СЗ СССР, 1940, № 533.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიაზე სამეურნეო კოოპერაციულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ"[5]. „სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ"[6]. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით, ეს წესი შეიცვალა. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადებით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ შეწყვეტილიყო სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაცია.

ფილიალის ლიკვიდაცია ხორციელდება ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით, როდესაც მისი შემდგომი არსებობა მიზანშეუწონელია. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს უფლება აქვს არა ყველა ზემდგომ ორგანოს, არამედ მხოლოდ იმას, რომელსაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ამისი უფლება. ფილიალების ლიკვიდაცია მოწესრიგებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით „საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ"[7], რომლის შესაბამისადაც ფილიალების ლიკვიდაცია ხდება იმ ორგანოების მიერ, რომელთა გადაწყვეტილებითაც ისინი შეიქმნა. საწარმოს ფილიალების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება უნდა შეუთანხმდეს სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტს და უწყებას.

ნებისმიერ ორგანიზაციას, დამოუკიდებლად იმისა, არის თუ არა იგი იურიდიული პირი, ხელმძღვანელობს ერთი ორგანო. ფილიალის ხელმძღვანელობა ხორციელდება ერთმართველობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე მის ხელმძღვანელად გვევლინება ფილიალის დირექტორი ,რომელსაც ნიშნავს საწარმოს დირექტორი. ფილიალის დირექტორი, რომელიც წარმართავს ფილიალის მთელ მუშაობას ანგარიშვალდებულია მის წინაშე და სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ფილიალის საქმიანობისათვის. ასე, მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის ფილიალის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს რექტორი შესაბამის სამინისტროსთან შეთანხმებით. საწარმოს დირექტორისაგან განსხვავებით, რომელიც მოქმედებს რწმუნებულების გარეშე საწარმოს სახელით, ფილიალის დირექტორი მოქმედებს რწმუნებულების საფუძველზე. ეს აღნიშნულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 30-ე მუხლში, რომლის შესაბამისადაც ფილიალის ხელმძღვანელი მოქმედებს სათანადო იურიდიული პირისაგან მიღებული რწმუნებულების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, გარიგებები ,რომლებიც იდება ფილიალების მიერ მათი ხელმძღვანელების სახით, წარმოქმნიან უფლებებსა და მოვალეობებს არა მარტო ფილიალისათვის, არამედ მთლიანად იურიდიული პირისათვის[8].

ფილიალს მისთვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად აქვს განკერძოებული ქონება, რომელიც აისახება ფილიალის დამოუკიდებელ ბალანსში. ამასთან ყველა ფილიალი ერთნაირი სამართლებრივი და ქონებრივი დამოუკიდებლობით როდი სარგებლობს. ზოგს უფლებები შეკვეცილი აქვს. ასე, მაგალითად, შედარებით უფრო მეტი ქონებრივი და სამართლებრივი დამოუკიდებლობა აქვთ უმაღლესი სასწავლებლების ფილიალებს. მათი სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია დებულებით „უმაღლესი სასწავლებლების ფილიალების შესახებ", რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1983 წლის 27 ივნისს[9]. სხვანაირია სავაჭრო საწარმოების ფილიალების მდგომარეობა, მაგალითად, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ფილიალებისა, მას თბილისის სხვადასხვა რაიონში და დაბა წყნეთში გახსნილი აქვს 22 ფილიალი. ისინი ამჟამად უშუალოდ უნივერმაღს ექვემდებარებიან და თითქმის არ სარგებლობენ არავითარი დამოუკიდებლობით. 1976 წლამდე კი მათ ჰქონდათ: დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკში, გერბიანი ბეჭედი და შტამპი, ე. ი. ერთ-

---

[5] СЗ ГССР, 1940, № 2300.

[6] СП СССР, 1956, № 1436.

[7] СП СССР, 1982, № 816, ст. 13.

[8] С. Н. Братусь, Юридические лица в советском гражданском праве, М., 1947, с. 358.

[9] Бюллетень министерства высшего и среднего специального образования СССР, 1983, № 9, с. 26—27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. შემდგომში განხორციელებული ცენტრალიზაციის გამო მათი უფლებები მთლიანად გადაეცა თბილისის ცენტრალურ უნივერმაღს.

ფილიალების ნაწილს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მათ სახელმწიფო ბანკში ეხსნებათ საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიში. ეს ანგარიში ეხსნებათ იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც არიან სამეურნეო ანგარიშზე, აქვთ საკუთარი საბრუნავი საშუალებები და დამოუკიდებელი ბალანსი. ასეთი ფილიალები უახლოვდებიან იურიდიული პირის სტატუსს. ფილიალების მეორე ჯგუფისათვის დამახასიათებელია შეზღუდული ქონებრივი დამოუკიდებლობა. ამ ფილიალებს არა აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი, გახსნილი არა აქვთ სახელმწიფო ბანკში არც საანგარიშსწორებო და არც მიმდინარე ანგარიში.

ფილიალების საფინანსო საქმიანობას ხელმძღვანელობს უფროსი ბუღალტერი, რომელსაც ნიშნავს საწარმოს დირექტორი ფილიალის დირექტორის წარდგინებით. უფროსი ბუღალტერი ფილიალის დირექტორის თანაბრად პასუხისმგებელია ფილიალის საფინანსო საქმიანობისათვის და ემორჩილება საწარმოს დირექტორსა და მთავარ ბუღალტერს. ფილიალის დირექტორის უფლებები შრომის სამართლის სფეროში შეზღუდულია. მას არა აქვს მუშაკების სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან განთავისუფლების უფლება. ამას აკეთებს საწარმოს დირექტორი ფილიალის დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

ფილიალის წამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია დებულებით ფილიალის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საწარმოს დირექტორი. ზოგ სამინისტროს შემუშავებული აქვს დებულება თავის სისტემაში შემავალი ფილიალების შესახებ. ასეთია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულება უმაღლესი სასწავლებლების ფილიალების შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ყველა ფილიალი როდი მოქმედებს დებულების საფუძველზე. მაგალითად, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის არც ერთ ფილიალს არა აქვს დებულება. ეს აიხსნება იმით, რომ შესაბამის იურიდიულ განყოფილებებს არა აქვთ სათანადო გამოცდილება ამ საკითხში. სასურველია თითოეულმა სამინისტრომ, უწყებამ შეიმუშავოს დებულებანი მათ სისტემაში შემავალი ფილიალების შესახებ. მის საფუძველზე კი თითოეული იურიდიული პირი შეიმუშავებს კონკრეტულ დებულებას ფილიალების შესახებ მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ფილიალი არ არის სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, რადგანაც ის არ არის იურიდიული პირი. ამასთან შეიძლება დავაყენოთ საკითხი ფილიალის სამეურნეო სამართალსუბიექტობის შესახებ. იმისათვის, რომ ესა თუ ის სამეურნეო წარმონაქმნი სამეურნეო სამართლის სუბიექტად ვაღიაროთ, აუცილებელი არ არის ის იურიდიული პირის უფლებით სარგებლობდეს. ვ. ვ. ლაპტევის აზრით, მიზანშეწონილი არ არის სამეურნეო სამართალში შენარჩუნებულ იქნეს იურიდიული პირის ინსტიტუტი, ვინაიდან ის ცალმხრივად ახასიათებს სოციალისტურ ორგანიზაციებს, მხოლოდ როგორც ქონებრივი სამეურნეო ურთიერთობების მონაწილეებს, სამეურნეო სამართლის სუბიექტები მონაწილეობენ სამეურნეო ურთიერთობებში, სადაც ერთმანეთთან შეხამებულია საგეგმო-ორგანიზაციული და ქონებრივი ელემენტები. ამიტომ სამეურნეო სამართალში იურიდიული პირის ინსტიტუტი უნდა შეიცვალოს სამეურნეო ორგანოს ცნებით, რომელიც მოიცავს სამეურნეო სამართლის სუბიექტების მონაწილეობას როგორც ჰორიზონტალურ ასევე ვერტიკალურ სამეურნეო ურთიერთობებში[10]. ამასთან ერთად იურიდიული პირის ინსტიტუტი შენარჩუნებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობაში სამოქალაქო სამართლის კოლექტიური სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობის დახასიათებისათვის. ასეთ სუბიექტებად გამოდიან სოციალისტური ორგანიზაციები მოქალაქეებთან ქონებრივ ურთიერთობაში[11].

სამეურნეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეების ძირითად მასას შეადგენენ სამეურნეო ორგანოები, ამიტომ სამეურნეო სამართლის სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ორგანოების სამეურნეო კომპეტენციის დადგენას. სამეურნეო ორგანოს ცნება შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ნიშნებით:

---

[10] Хозяйственное право, (Коллективная монография), Общие положения, М., Наука, 1983, с. 61.

[11] В. В. Лаптев, Субъекты хозяйственного права, «Советское государство и право», 1975, № 4, с. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) განსაზღვრული ქონება, რომელიც იმყოფება მათს საკუთრებაში ან ოპერატიულ მმართველობაში და რომელიც აისახება დამოუკიდებელ ბალანსში; 2) სამეურნეო უფლებებისა და ვალდებულებების თავისი სახელით შეძენა და განხორციელება; 3) პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობის შედეგებისათვის; 4) შესაძლებლობა მიმართოს თავისი დარღვეული სამეურნეო უფლებების დასაცავად. ეს განსაზღვრება მოიცავს იურიდიული პირის ნიშნებს, მიუხედავად ამისა სამეურნეო ორგანოს ცნება უფრო ფართოა, ვიდრე იურიდიული პირის ცნება, ვინაიდან იგი მოიცავს არა მარტო საწარმოებს და გაერთიანებებს, არამედ სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოებს.

სამეურნეო სამართლის ტიპური სუბიექტებია სამეურნეო ორგანოები და მისი ქვედანაყოფები. თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობით ფილიალები საწარმოს ქვედანაყოფებია. დებულებაში უმაღლესი სასწავლებლის ფილიალის შესახებ აღნიშნულია, რომ ფილიალი წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. ლიტერატურაში სამეურნეო ორგანოს ქვედანაყოფებს ყოფენ ორ კატეგორიად: შიდაქვედანაყოფებად და საწარმოო ერთეულებად. შიდაქვედანაყოფებია საამქროები, წარმოებები, მეურნეობები, უბნები, ბრიგადები, აგრეთვე ფუნქციონალური განყოფილებები, კერძოდ ტექნიკური კონტროლის განყოფილება, იურიდიული და ა. შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფილიალები თავიანთი სამართლებრივი სტატუსით განსხვავდებიან როგორც შიდაქვედანაყოფებისაგან, ასევე საწარმოო ერთეულებისაგან. ფილიალის მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი სამეურნეო ბრუნვაში გამოდის რწმუნებულების საფუძველზე. შიდაქვედანაყოფებთან შედარებით ფილიალი მეტი სამართლებრივი და ქონებრივი დამოუკიდებლობით სარგებლობს.

სამეურნეო ორგანოს ქვედანაყოფებისათვის დამახასიათებელია შეზღუდული, შიდასამეურნეო კომპეტენცია, ისინი მონაწილეობენ მხოლოდ შიდასამეურნეო ურთიერთობებში, მაშინ როდესაც სამეურნეო ორგანოს ფილიალი რწმუნებულების საფუძველზე მონაწილეობს როგორც შიდა, ისე გარე სამეურნეო ურთიერთობებში.

ქვედანაყოფი არის გვარეობითი ცნება, ხოლო საწარმოო ერთეული, ფილიალი და შიდაქვედანაყოფი — სახეობითი ცნება. ამიტომ ქვედანაყოფი მოიცავს არა მარტო შიდაქვედანაყოფებს და საწარმოო ერთეულებს, არამედ ფილიალებსაც. ამიტომ სამეურნეო ორგანოს ფილიალები, ჩვენი აზრით, წარმოადგენენ სამეურნეო სამართლის სუბიექტებს.

რამდენადაც ფილიალის სამართლებრივი სტატუსი სრულიად შეუსწავლელია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, ზოგჯერ სამეურნეო პრაქტიკა იურიდიული პირის ფილიალს აიგივებს გაერთიანებაში შემავალ საწარმოო ერთეულთან, რაც არა სწორია. საწარმოო ერთეული არ შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული პირის ფილიალად. საწარმოო ერთეული — ეს არის ყოფილი დამოუკიდებელი საწარმო ან ორგანიზაცია, რომლებიც სპეციალიზებული წარმოების კონცენტრირების მსვლელობაში ინტეგრირებულია საწარმოო გაერთიანებაში და დაკარგული აქვს იურიდიული პირის უფლება. ფილიალი საწარმოო ერთეულთან შედარებით მეტი ქონებრივი და სამართლებრივი დამოუკიდებლობით სარგებლობს. ფილიალს მისგან განსხვავებით აქვს დამოუკიდებელი ბალანსი. გარდა ამისა, ფილიალს სახელმწიფო ბანკში გახსნილი აქვს საანგარიშწორებო და მიმდინარე ანგარიში, საწარმოო ერთეულს კი სახელმწიფო ბანკში შეიძლება ჰქონდეს მიმდინარე და კაპიტალურ დაბანდებათა ფინანსირების ანგარიშები მშენებლობის ბანკში, ისიც იმ პირობით, თუ საწარმოო ერთეული მდებარეობს გაერთიანების ადგილსამყოფლის გარეთ.

გაერთიანებაში შემავალ საწარმოო ერთეულებს შორის ოპერატიული საქმიანობა სრულად არის განაწილებული, ამიტომ გამორიცხულია დუბლირება და პარალელიზმი. რაც შეეხება ფილიალს, იგი ასრულებს იმავე სამეურნეო ოპერატიულ ფუნქციებს, რასაც იურიდიული პირი. თუ იურიდიული პირის საქმიანობა სრულად არის განაწილებული მის საწარმოებს, კანტორებს, განყოფილებებს და ა. შ. შორის, მაშინ ეს ქვედანაყოფები ფილიალებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს[12]. იურიდიული პირი, საიდანაც ეს ორგანი-

[12] Комментарий к гражданскому кодексу РСФСР, М., 1982, с. 61.

ზაციები გამოიყენენ, წარმოადგენენ ადმინისტრაციულ-საგეგმო ხელმძღვანელობის ორგანოს.

გარდა ამისა, ფილიალები მოქმედებენ იურიდიული პირის რწმუნებულების საფუძველზე, ხოლო საწარმოო ერთეული — მის შესახებ დებულების საფუძველზე[13]. რაც შეეხება ფილიალის საპროცესო უფლებებს, მას რწმუნებულების საფუძველზე უფლება აქვს იყოს იურიდიული პირის წარმომადგენელი სასამართლოსა და არბიტრაჟში, მაშინ. როცა საწარმოო ერთეულებმა მხოლოდ 1976 წლიდან მოიპოვეს საარბიტაჟო პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. საწარმოო ერთეულებმა ეს უფლება მოიპოვეს „არბიტრაჟის ორგანოების მიერ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შესახებ დებულების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხების შესახებ". სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1976 წლის 27 დეკემბრის საინსტრუქციო წერილის საფუძველზე ამასთან თვითონ გაერთიანება ანიჭებს მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო ერთეულს პრეტენზიის განცხადებისა და განხილვის უფლებას გაერთიანების სახელით, ასევე სასამართლოსა და არბიტრაჟში სამეურნეო დავების განხილვის დროს გაერთიანების წარმომადგენლად გამოსვლის უფლებას[14].

ფილიალი განსხვავდება საწარმოო ერთეულისაგან შექმნის წესის მიხედვით. როგორც აღვნიშნეთ, ფილიალს ქმნიან სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მაშინ, როცა საწარმოო ერთეული იქმნება გაერთიანების ზემდგომი ორგანოების მიერ გაერთიანების გენერალური დირექტორის წარდგინებით, ფილიალის შექმნისათვის კი იურიდიული პირის დირექტორის წარდგინება საჭირო არ არის[15]. გარდა ამისა, ფილიალს ახასიათებს ისეთი ნიშნებიც, რომლებითაც იგი ემსგავსება საწარმოო ერთეულს. ფილიალის მსგავსად, საწარმოო ერთეულის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება დებულებით. ისევე როგორც ფილიალს, საწარმოო ერთეულსაც აქვს თავისი სახელწოდება. საწარმოო ერთეულს ფილიალის მსგავსად სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც რწმუნებულების გარეშე მოქმედებს საწარმოო ერთეულის სახელით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. ფილიალი იქმნება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ, სხვა პუნქტში, ზოგიერთი საწარმოო ერთეულიც ასევე მდებარეობს საწარმოო გაერთიანების ადგილსამყოფლის გარეთ.

ფილიალი უნდა განვასხვაოთ აგრეთვე წარმომადგენლობისაგან, თუმცა ბევრი ნიშნებით იგი ემსგავსება წარმომადგენლობას. ფილიალის მსგავსად, წარმომადგენლობა იურიდიული პირი არ არის. მისი ხელმძღვანელი ფილიალის ხელმძღვანელის მსგავსად მოქმედებს იურიდიული პირისაგან მიღებული რწმუნებულების საფუძველზე, ისევე როგორც ფილიალი. წარმომადგენლობაც შეიძლება ჰქონდეთ როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებსაც. წარმომადგენლობაც უნდა იყოს იმ ორგანიზაციის ადგილსამყოფლის გარეთ, ვისაც წარმოადგენს. გარდა მსგავსებისა, არსებობს განსხვავებაც. ფილიალი და წარმომადგენლობა განსხვავდება ერთმანეთისაგან არსებობის ვადის მიხედვით. წარმომადგენლობა ჩვეულებრივად იქმნება უფრო მოკლე ვადით წარმოსადგენი ორგანიზაციის ცალკეული ფუნქციების შესასრულებლად, მაშინ როცა ფილიალი მუდმივმოქმედი ორგანოა[16].

---

[13] Н. И. Коняев, Правосубъектность хозяйственных систем и подразделений хозорганов, «Советское государство и право», 1978, № 2, с. 94.

[14] Советское гражданское право, том 1, М., 1979, с. 174.

[15] Н. Коняев, В. Коняев, Правосубъектность организаций, не являющихся юридическими лицами, «Советская юстиция», 1976, № 3, с. 26.

[16] В. П. Грибанов, Юридические лица, М., 1961, с. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიალი განსხვავდება წარმომადგენლობისაგან აგრეთვე დაკისრებული ფუნქციების მიხედვით. წარმომადგენლობა წარმოსადგენი ორგანიზაციის სახელით დებს გარიგებებს და ახორციელებს სხვა იურიდიულ მოქმედებებს, რომელიც საჭიროა ამ ორგანიზაციისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ემსახურება წარმომადგენლობა. როგორც ვხედავთ, ფილიალისაგან განსხვავებით წარმომადგენლობა იქმნება არა იურიდიული პირის სამეურნეო-ოპერატიული საქმიანობის განსახორციელებლად განსაზღვრულ ტერიტორიაზე, არამედ იურიდიული პირის ინტერესების დასაცავად, იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ ამ უკანასკნელის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი, ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის[17].

მიზანშეწონილია შემდგომში გაიზარდოს ფილიალის უფლებამოსილებანი. სახელდობრ, მას უნდა მიეცეს მეტი უფლებები სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის, ქონებისა და ფულადი სახსრების განკარგვის სფეროში, მიენიჭოს შრომის ხელშეკრულების დადების, შეცვლისა და მოშლის ფუნქცია.

---

[17] Комментарий к гражданскому кодексу РСФСР, М., 1982, с. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკოტიკების დიდი ოდენობის ცნება საქართველოს სსრ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

დ. მეტრეველი

1969 წლის 30 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებების დატაცების, არაკანონიერი დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ"[1], რომლის თანახმად დანაშაულის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად გათვალისწინებულია ნარკოტიკების დიდი ოდენობა.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების არაკანონიერი დამზადება, ხმარება, შენახვა, გადატანა, გადაგზავნა და გასაღება არის ყველაზე დიდი საზოგადოებრივი საშიშროება და იწვევს მძიმე შედეგებს, ამიტომაც კანონმდებელი მათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა კატეგორიას მიაკუთვნებს, აქედან გამომდინარე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ოდენობა ამ დანაშაულის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია და მას ამგვარი კატეგორიის საქმეების განხილვისას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა ენიჭება.

კანონი არ ითვალისწინებს თუ რა რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება შეიძლება ჩაითვალოს „დიდ" ოდენობად, ბუნებრივია, სასამართლოებს უჭირდათ ამ საკითხის სწორად გადაწყვეტა, კერძოდ, რა შემთხვევაში ჩაეთვალათ ნარკოტიკული ნივთიერება დიდ ოდენობად და მიეცათ თუ არა მისთვის მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1969 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში განმარტა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება დიდ ოდენობად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როცა მისი გამოყენება შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და გამოიწვევს ჯანმრთელობის არსებით შერყევას. საქართველოში, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ნარკოტიკულ ნივთიერებათა დიდი ოდენობა განისაზღვრებოდა საქმის კონკრეტული ვითარებით. მაგალითად, ანაშის 500 გრამი და მშრალი მორფის 15 გრამზე მეტი ითვლებოდა დიდ ოდენობად[2].

„ნარკომანიასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 25 აპრილის ბრძანებულების მიღების შემდეგ საკავშირო უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1975 წლის დადგენილების „ნარკოტიკულ ნივთიერებათა დატ-

---

[1] «Заря Востока», 5 июля 1969 года.

[2] Пурцхванидзе Б., Мосесян Г. «Законы и практика борьбы с наркоманией», «Социалистическая законность», 1971, № 5.

ცების, ნარკოტიკული, ძლიერ მოქმედი და შხამიანი ნივთიერებების არაკანონიერი დამზადების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მე-12 პარაგრაფში აღნიშნა, რომ „ნარკოტიკულ ნივთიერებათა დიდი ოდენობის შესახებ საქმეების განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, როგორც მისი რაოდენობა (მოცულობა, წონა და ა. შ.) ასევე ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების დონეც“[3]. სასამართლოების უმეტესობამ მხედველობაში მიიღო ზემოაღნიშნული პირობები და დიდ ოდენობად თვლიან ანაშის 500 გრამს, ოპიუმის 50 გრამს, სუფთა კოფეინის 20 გრამს.

მართალია სსრ კავშირისა და საქართველოს უმაღლესი სასამართლოების პლენუმებმა განმარტეს ნარკოტიკულ ნივთიერებათა ოდენობის ცნება, მაგრამ საქმეების საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ ოდნობის განსაზღვრაში კვლავ უშვებენ შეცდომებს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს ნარკოტიკების დიდ ოდენობას, როგორც მაკვალიფიცირებელ ნიშანს, მაგრამ მას, ხშირად მხედველობაში იღებენ მხოლოდ სასჯელის დაწესებისას.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლოები ადგენენ მაკვალიფირებელ ნიშანს — დიდ ოდენობას, თუმცა ის სინამდვილეში არ არსებობს.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც არ არის ერთიანი აზრი იმის თაობაზე თუ ნარკოტიკულ ნივთიერებათა რა რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს დიდ ოდენობად. ზოგიერთი ავტორი ნარკოტიკების ოდენობის შესახებ საკითხს წყვეტს შემდგომი მაჩვენებლებით: დოზა, მოცულობა, წონა. ე. ი. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ფიზიკური სიდიდით, ხოლო სხვა ავტორები უპირატესობას ანიჭებენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. დ. ანისიმოვი თვლის, რომ ნარკოტიკული ნივთიერებანი დიდ ოდენობად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ, თუ მათი გამოყენება შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ეს იწვევს ჯანმრთელობის არსებით შერყევას[4].

ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1972 წლის 23 მარტის დადგენილებაში აღინიშნა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება დიდ რაოდენობად ითვლება მაშინ, თუ მისი გამოყენება შეუძლია ერთ პირს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ან პირთა მნიშვნელოვან რაოდენობას დროის მოკლე მონაკვეთში.

ვ. ერასკინს მიაჩნია, რომ მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის განსაკუთრებული ზიანი, რომელსაც იწვევს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ამ ნივთიერებათა უმნშვნელო რაოდენობით გამოყენებაც კი[5].

გ. ლევიცკი თვლის, რომ ნარკოტიკული ნივთიერაბა დიდ ოდენობად უნდა ჩაითვალოს თუ მან ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად შეიძლება ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება გამოიწვიოს ერთ ადამიანშიც კი, ან შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალ პირთა ზიერ[6].

---

[3] Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1977, ч. 2, изд-во «Известия Советов народных депутатов», М., 1978, с. 294.

[4] Анисимов Л. Действующее законодательство о наркотиках и необходимости его совершенствования, «Экономика, философия, право», вып. 2, 1971, стр. 126.

[5] Ераскин В. Усиление борьбы с наркоманией, «Социалистическая законность», 1974, № 7, стр. 29.

[6] Левицкийй Г. Ответственность за хищения наркотических веществ, «Социалистическая законность», 1976, № 3, стр. 53—55.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 26 სექტემბრის დადგენილებაში მითითებულია ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა სახის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედების დონის მხედველობაში მიღების აუცილებლობის შესახებ[7].

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ ნარკოტიკული ნივთიერებით არაკანონიერი ოპერაციების სიდიდის დადგენისას არ უნდა დავეყრდნოთ ამ ნივთიერებათა ღირებულებას, რადგან სამკურნალო ნარკოტიკული პრეპარატების სახელმწიფო საცალო ფასი, ძირითადად, მაღალი არ არის[8].

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ სახელმწიფო ფასით ხელმძღვანელობა, მარჯალია, არ შეიძლება, მაგრამ დიდი ოდენობის მაკვალიფიცირებელი ნიშნის დადგენისას კი მისი მხედველობაში მიღება აუცილებელია. გარდა ამისა მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე მრავალი სხვა ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ დიდი ოდენობის ნიშნის დადგენაზე. კერძოდ, ნარკოტიკულ ნივთიერებათა უმრავლესობა სამედიცინო პრეპარატია და მათ იყენებენ მედიცინაში, ამიტომ არის, რომ ამ წამლების სახელმწიფო ფასი ნაკლებია, უფრო მეტიც, ზოგიერთ ნარკოტიკულ ნივთიერებას საერთოდ არ გააჩნია სახელმწიფო ფასი. მაგალითად, ანაშა საბჭოთა კავშირში ოფიციალურად არ იწარმოება, მედიცინაში მისი გამოყენება აკრძალულია და ამიტომ არც სახელმწიფო ფასი გააჩნია[9].

ამგვარად, სეთი მაკვალიფიცირებელი ნიშნის დადგენისათვის, როგორიც არის ნარკოტიკულ ნივთიერებათა დიდი ოდენობა, მხედველობაში უნდა მივიღოთ რაოდენობრივი, ხარისხობრივი და მრავალი სხვა დამატებითი დამახასიათებელი ნიშანი, ასევე ჩადენილი დანაშაულის კონკრეტული გარემოებები.

გარკვეულ ინტერესს იწვევს კრიტერიუმი, რომელსაც ნ. მიროშნიჩენკო გვთავაზობს: 1. რაოდენობრივი (ნარკოტიკული ნივთიერებებისა და მისი დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის მოცულობა, წონა, რაოდენობა, დოზა, ფასი); 2. ხარისხობრივი (ცალკეული ნარკოტიკული ნივთიერებების ნაირსახეობათა თვისებები და მათი ზემოქმედების დონე ადამიანის ორგანიზმზე); 3. ზიანის ბუნება და ოდენობა, რომელიც შეიძლება განიცადოს ადამიანთა ჯანმრთელობამ; 4. ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება, სავარაუდო მოგება: 5. დამატებითი ნიშნები (კრიტერიუმი), ნარკოტიკულ ნივთიერებებით ოპერაციის ხანგრძლივობა ან რაოდენობა; ამასვე შეიძლება მივაკუთვნოთ ერთი პირისადმი ნარკოტიკული ნივთიერებების „დიდი ოდენობით" მიყიდვა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ნარკომანიით დაავადება (ნარკოტიკებისადმი მიჩვევა, მათი გამოყენების მუდმივი მოთხოვნილება, ფსიქიკის შეცვლა და სხვა თანმხლები მოვლენები), ასევე ნარკოტიკების გავრცელება პირთა მცირეწლოვან რაოდენობაზე[10].

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმის გათვალისწინება ბევრად შეამცირებს სასამართლო შეცდომებს, მაგრამ ჩვენი აზრით ეს მაინც ამომწურავი არ არის.

ყურადღებას იმსახურებს იურიდიულ ლიტერატურაში წამოყენებული აზრი იმის შესახებ,

---

[7] См. «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР», 1924—1977, ч. 2, изд-во «Известия Советов народных депутатов», М., 1978, с. 294.

[8] Левицкий Г. Ответственность за незаконное изготовление, приобретение, хранение, перевозку или сбыт наркотических веществ, «Советская юстиция»,

[9] Инструктаж «О порядке хранения, сдачи государству и уничтожения наркотических веществ, изъятых из незаконного оборота», Вступила в силу с 1 октября 1975 года.

[10] Мирошниченко Н. Автореферат кандидатской диссертации, 1984, стр. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საჭიროა განისაზღვროს ნარკოტიკული ნივთიერების მავნებლობის რაღაცა პირობითი ერთეული, რომელიც შეპირისპირებული იქნება გარკვეული ნარკოტიკული ნივთიერების ამა თუ იმ რაოდენობის ან მოცულობის ჩვეულებრივ მონაცემებთან. მაგალითად, მ. ორლოვი გვთავაზობს, რომ ასეთ პირობით ერთეულად ჩაითვალოს ნარკოტიკის საშუალო რაოდენობა, რომელიც საკმარისია მოზრდილი, „სავსებით ჯანმრთელი ადამიანის" გაბრუებისათვის[11].

იბადება კითხვა, როგორ გავიგოთ განსაზღვრა — „სავსებით ჯანმრთელი ადამიანი". ნარკოტიკის დოზა ნარკომანისათვის მუდმივად იზრდება, ამიტომ დროის რაღაც უმნიშვნელო მონაკვეთში ადამიანის გაბრუებისათვის საჭიროა ისეთი დოზა, რომელიც ათჯერ და ასჯერ აღემატება პირვანდელ დოზას. ამდენად, ჩვენი აზრით, პირობით ერთეულად უნდა მივიჩნიოთ სამედიცინო ლიტერატურაში არსებული ტოქსიკურ დოზის ცნება.

მედიცინაში ასეთ დოზად მიჩნეულია ორგანიზმში შეყვანილი ფარმოკოლოგიური აგენტის (პრეპარატის ნივთიერების) განსაზღვრული რაოდენობა. დოზის სიდიდეზე დამოკიდებულია აგრეთვე ორგანიზმში წამლის კონცენტრაცია და აქედან გამომდინარე, ფარმაცევტული რეაქციის ინტენსივობაც.

ყოველი ფარმაკოლოგიური აგენტისათვის შეიძლება შეირჩეს ისეთი დოზა, რომელიც გამოიწვევს პათოლოგიური ნიშნების მქონე რეაქციას. უმცირეს დოზას, რომელიც იწვევს ამგვარ რეაქციას, მინიმალურად ტოქსიკური დოზა ეწოდება[12]. თუ ამ მინიმალურ დოზას ჩავთვლით ერთეულად, მაშინ მისი გამოთვლა შეიძლება ყოველგვარი ნარკოტიკების მიმართ, და მას გამოვიყენებთ როგორც ნარკოტიკული ნივთიერების დიდი ოდენობის განსაზღვრისას, ასევე ნარკოტიკის ოდენობის დადგენის სხვა შემთხვევებშიც.

ცხადია, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები თვითონ ვერ განსაზღვრავენ ნარკოტიკების პირობით ერთეულს. ამ საქმეში მათ უნდა დაეხმაროს სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზა.

თუ დანაშაულის საგანს შეადგენს ნარკოტიკული საშუალებების სხვადასხვა სახეობა, მაგალითად, ოპიუმი და მორფი, მაშინ ამა თუ იმ ნარკოტიკის ტოქსიკურობის დონე უნდა გამოვთვალოთ მათი შეჯამებით და ამის საშუალებით დავადგინოთ ნარკოტიკების საერთო რაოდენობა. მაგრამ როგორ ვიმოქმედოთ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის საგანი ერთიდაიგივე ტიპის ნარკოტიკია და განსხვავებული ხარისხობრივი თვისებები გააჩნიათ. მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ამგვარ სიტუაციებში გაუჭირდებათ „დიდი ოდენობის" მაკვალიფიცირებელი ნიშნის დადგენა. მაგალითად, ავიღოთ ანაშა. სისხლის სამართლის კოდექსში ნახსენებია ერთი ნარკოტიკის მხოლოდ სამი ტიპი — ინდური, სამხრეთ ჩუის და სამხრეთ მანჯურიის კანაფი, მაგრამ არსებობს აგრეთვე ამ ნარკოტიკის სხვა ნაირსახეობაც.

---

[11] Орлов М. «Редкий но тяжкий вид преступления», «Социалистическая законность», 1967, № 1, стр. 62—63. Курбанов Ю., Колесник О. Квалифицированные обстоятельства преступлений, предметов которых является наркотики. Укрепление законности и правопорядка, совершенствование советской законности и социалистического государственнования.

[12] Белинский М., «Дозы», БМЭ, т. 9, М., 1959, стр. 683.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო მარი და ქართული სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

გ. ნადარეიშვილი

გამოჩენილი ენათმეცნიერის, ქართული და სომხური სიძველეების ცნობილი მკვლევარის, აკადემიკოს ნიკოლოზ იგოვის ნიკო იაკობის ძე მარის (1864-1934) სახელთან დაკავშირებულია სამამულო მეცნიერების განვითარების მთელი ეტაპი.

დღემდე მისი ღვაწლი და ამაგი ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების წინაშე სათანადოთ არ არის დაფასებული. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მოკლედ გავაშუქოთ მეცნიერების ამ დარგში ნ. მარის მხოლოდ ზოგიერთი დამსახურება.

ნ. მარი უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარი იყო. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდაექვსი წლის განმავლობაში (1888-1934) სხვადასხვა ენებზე მან გამოაქვეყნა სულ 555 დასახელების დიდი თუ მცირე მოცულობის ნაშრომი. გარდა ამისა, სამი ათასზე მეტი სხვადასხვა ხასიათის, უმთავრესად დაუმთავრებელი თხზულებები, შენიშვნები, ლექციების ჩანაწერები და სხვა ინახება მის არქივში. ცხადია, ძნელია ამ უზარმაზარი მემკვიდრეობის დეტალურად გაცნობა. ამიტომაც საჭიროა, რომ ამ რთული და ფართო თვალთახედვის მკვლევარის მეცნიერული ინტერესების ცალკეულ ასპექტებზე დაიწეროს სპეციალური ნარკვევები, რომლებშიც ობიექტურად შეფასდება მისი ღვაწლი და არც შეცდომები იქნება უგულვებელყოფილი.

ნ. მარის თხზულებებში გაბნეულია საყურადღებო მოსაზრებები სამართლის ისტორიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მაგრამ ერთი ძველაღმოსავლური გამოთქმისა არ იყოს, მათი დაძებნა ისევე ძნელია, როგორც წინასწარ მონიშნული ქვიშის მარცვლებისა ზღვის ფსკერზე. თანაც თავის სწორ მოსაზრებას მოგვიანებით იგი ზოგჯერ უმართებულო აზრით ცვლიდა.

ჩვეულებრივ აკადემიკოს ნიკო მარის მემკვიდრეობაში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ფილოლოგიურ, ლინგვისტურ და ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაწილებს. მაგრამ გამოითქვა სხვა მოსაზრებაც. პროფ. ვ. ი. აბაევის თქმით, უღრმესი არსი ამ მეცნიერისა ის არის, რომ თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ის არ იყო არც ფილოლოგი, არც არქეოლოგი, არამედ იყო კულტურის ისტორიკოსი ამ სიტყვის ყველაზე სრული და ფართო გაგებით.

ადამიანები, როგორც ისტორიის სუბიექტები ცალ-ცალკე ერთმანეთისაგან იზოლირებულად როდი ქმნიან რელიგიის, სამართლის, ენის, ლიტერატურის, მატერიალური კულტურის ისტორიას. ადამიანები მხოლოდ ერთ ისტორიას ქმნიან — საწარმო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ისტორიას, რა თქმა უნდა, ამ ცნებების ფართო გაგებით. ყველა სხვა დანარჩენი ე. წ. დარგობრივი ისტორიები ამ ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ნ. მარის დამსახურება ის არის, რომ მან, პირველ ყოვლისა ლინგვისტმა, სცადა ისტორიის ერთ კომპლექსურ ნაკადად წარმოდგენა.

1888 წლიდან 1934 წლამდე მეცნიერს გაკვრით თუ სპეციალურად არაერთ ისეთ საკითხებზეც ჰქონია მსჯელობა, რომელიც სამართლის ისტორიის მკვლევართა ინტერესს იწვევს.

ნ. მარი ენციკლოპედიური განათლების

---

[1] Н. Я. Марр. Об истоках творчества Руставели и его поэме. Подготовка сборника к печати, редакция текста, комментарии и примечания И. В. Мегрелидзе. Тбилиси. 1964, стр. 234.

[2] В. И. Абаев. Из истории языкознания. Н. Я. Марр. К 25-летию со дня смерти. «Вопросы языкознания». № 1, 1960, стр. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევარი იყო და არც არის გასაკვირი, რომ კარგად იცნობდა მის თანამედროვე დასავლეთ ევროპელ და რუს იურისტ მეცნიერთა ნაშრომებს. მაგალითად ნ. მარის ნაწერებში არაერთხელ იხსენიება რუდოლფ იერინგი, მაქსიმ კოვალევსკი და სხვები.

ნ. მარისთვის ქართული მშობლიური ენა იყო და საისტორიო წყაროებს და საკანონმდებლო ძეგლებს ქართულ ენაზე დიდი ყურადღებით ეცნობოდა. არა მარტო ქართული, არამედ საქართველოს მეზობელი ხალხების ენისა და ისტორიის საფუძვლიანმა ცოდნამ, მას საშუალება მისცა უფრო მეტი ამოეკითხა ქართული წყაროებიდან, ვიდრე ეს რომელიმე ვიწრო სპეციალისტს შეეძლო. ღრმად შეისწავლა მკვლევარმა აგრეთვე ძველი სომხეთის ისტორია და ლიტერატურაც. მისთვის სავსებით ცხადი იყო, რომ ამ ორი მეზობელი ხალხის ისტორია და კულტურა მათ ერთობლიობაში ღრმად შესწავლას მოითხოვდა.

1899 წლის 23 მაისს პეტერბურგის უნივერსიტეტში სამაგისტრო დისერტაციის დაცვის დროს პრივატ-დოცენტმა ნ. ი. მარმა წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული სამართლის ისტორიის სპეციალისტებისთვისაც.

მეცნიერის აზრით, ქართველოლოგია და არმენოლოგია ისევე დამოუკიდებელ მეცნიერებად უნდა ჩაითვალოს, როგორც ის მეცნიერებანი, რომლებიც სხვა დიდი ერების კულტურას სწავლობენ.

მანამდე გაბატონებული შეხედულებით, მცირე ერების კულტურის საკითხები, ვთქვათ, მისი ისტორია, ლიტერატურა, სამართალი და ა. შ. თავისი მცირე მნიშვნელობის გამო, შეიძლება შეისწავლოს ერთმა მეცნიერმა.

თუ დიდი კულტურის შემქმნელი ხალხების ისტორია დარგობრივი ღრმა კვლევის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო, მცირე ერების და ე. წ. მცირე არადამოუკიდებელი კულტურის ისტორიის მკვლევარს შეეძლო თითქმის ყველაფრის სპეციალისტის როლში გამოსულიყო. ნ. მარის მართებული მოსაზრებით, საჭირო იყო იმ მეცნიერული ცრურწმენის უკუგდება, თითქოს საქართველოს ან სომხეთის წარსული შეიძლება შევიმეცნოთ უფრო სხვა ხერხებით და საშუალებებით, ვიდრე დიდი პოლიტიკური და კულტურული ერთეულებისაო[3].

ნ. მარი სულ 35 წლისა იყო, როდესაც 1899 წელს წამოაყენა იდეა საქართველოს და სომხეთის ისტორიის დარგობრივად შესწავლის შესახებ. ამ დროს მისი კვლევითი ინტერესების სფეროში მთლიანად სამართლის ისტორია თითქოს არ მოჩანს. ის მხოლოდ საეკლესიო სამართლის საკითხებით არის დაინტერესებული. მაგრამ სულ მალე მკვლევარი დაინტერესდა საერთოდ სამართლის ისტორიის საკითხებით.

საკითხის დასმა იმგვარად, რომ ქართველოლოგია და არმენოლოგია მომავალში უთუოდ ცალკეული დარგების სპეციალისტების სამეცნიერო მოღვაწეობის სარბიელი უნდა იყოსო, უთუოდ გულისხმობდა ქართულ და სომხური სამართლის ისტორიის ცალკე საკვლევ დარგად გამოყოფას.

ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიის საკითხებით მკვლევარი საკმაოდ ადრე დაინტერესდა, მაშინ გიორგი მერჩულეს გენიალური ნაშრომის რუსულ თარგმანზე და შემდეგ ამ თხზულების ქართული და რუსული ტექსტების გამოცემისათვის მუშაობდა, მკვლევარს გადაეშალა ქართული ეკლესიის რეალური და თანაც იშვიათი ტალანტით, სათნოებით, დაწერილი ცოცხალი ისტორია.

როგორც სასულიერო პირი და საეკლესიო მწერალი, გიორგი მერჩულე უპირველესად დაინტერესებული იყო ქართული ეკლესიის მაღალი ისტორიული მისიის ჩვენებით. როდესაც ნ. მარი საფუძვლიანად გაეცნო გ. მერჩულეს თხზულებას, მისთვის ცხადი გახდა, რომ ამიერიდან საქართველოს ისტორია და მათ შორის ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მონაცემების გარეშე ვერ დაიწერებოდა.

ქართული საეკლესიო სამართლის შესახებ გ. მერჩულეს თხზულება შეიცავს ძვირფას ცნობებს. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ კარგად ჩანს, რომ IX-X საუკუნეებში ქართულ ეკლესიას მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობის უფლება.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის წინაშე მწვავედ დაისვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალის საკითხი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა თავისებურ აქტუალობას არ იყო მოკლებული. ასეთ ვითარებაში ქართული საეკლესიო ისტორიისა და საეკლესიო სამართლის სპეციალისტი სა-

[3] Н. Я. Марр «К вопросу о задачах арменоведения. Журн. Мин. Нар. Просв. июль, 1899, стр. 242—243.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერო წრეებში სახელგანთქმული პროფ. ნიკო მარი 1906 წლის 1 დეკემბერს „უწმინდეს სინოდთან“ უმაღლესად დაფუძნებულ საკრებულოს წინაშე წარდგა მოხსენებით „ქართული ეკლესიის ნარკვევი უძველესი დროიდან“4.

მკვლევრის მოხსენების — ნამდვილი გამოკვლევის, მთავარ ღირსებას შეადგენდა ქართული, სომხური, სპარსული, ბერძნული და არაბული წყაროების არსენალიდან ისეთი სანდო ცნობების შემოტანა მეცნიერულ მიმოქცევაში, რომლებიც მანამდე ცნობილი არ იყო მკვლევართა ფართო წრეებისათვის.

„ქართული ეკლესიის იერარქია, — აღნიშნავდა ნ. მარი, — საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამის შესაბამისადვე ვითარდებოდა ეკლესიის მეთაურის ტიტულიც, ტიტული კათალიკოსისა. ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ძეგლში — იაკობ ცურტაველის თხზულებაში იხსენიება „თავი იგი ეპისკოპოსთა — სამოელ პირველი კათალიკოზი“.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წარმართობასთან შედარებით ქრისტიანობა მაშინდელ ეპოქაში პროგრესული სოციალური მოვლენა იყო.

ქართული ეკლესიის ზრდასა და განვითარებასთან ერთად, ცხადია, ხალხის შეგნებაში განმტკიცდა იდეა ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც მოპოვებულ იქნა კიდეც ხანგრძლივი მცდელობისა და ბრძოლის შემდეგ. მაშინდელ პირობებში ეკლესიის ავტონომიას, მის თვითმმართველობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ეკლესიისათვის, არამედ აგრეთვე სახელმწიფოსათვის და, თუ გნებავთ, ხალხისთვისაც. მაშინდელი მართლშეგნების თანახმად, მხოლოდ მაღალი დონის სახელმწიფოებრიობის, საეკლესიო ცხოვრების და კულტურის ხალხები აღწევდნენ ავტოკეფალიას. ამ უკანასკნელის მიღება არც ისე ადვილი იყო, როგორც ეს დღეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს.

აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან სრულ დამოუკიდებლობას რუსულმა ეკლესიამ მხოლოდ ბორის გოდუნოვის მეფობის დროს (1598-1605) მიაღწია.

ქართული ეკლესიის პრეტენზია, რომ მას უფლება აქვს დამოუკიდებლად, უცხო ძალების გარეშე, განაგოს და მოაწესრიგოს თავისი საშინაო და საგარეო საქმეები, საკმაოდ ადრე გამოიკვეთა. საქართველოს ეკლესიის მეთაური, როგორც ჩანს, უკვე მეექვსე საუკუნეში იერარქიულად არსებითად დამოუკიდებელი იყო და კათალიკოსის ტიტულსაც ატარებდა. იგი 35 საეპისკოპოსოს მეთაურობდა. გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში, IX საუკუნეში, როდესაც ეკლესია-მონასტრების როლი გაიზარდა, როგორც ჩანს, ქართველთა ეკლესიის მეთაური პატრიარქის (მამათ მთავრის) წოდებას იღებს.

ამ ხანებში ღვთისმსახურება საქართველოსა და სომხეთში შესაბამისად ეროვნულ ენებზე წარმოებდა.

ქართული საეკლესიო სამართალი ქვეყნის საეკლესიო დამოუკიდებლობას იცავდა და თავისებურადაც ასაბუთებდა.

საქართველოსა და სომხეთს შორის სარწმუნოებრივი განხეთქილების ჩამოვარდნის შემდეგაც, მეშვიდე საუკუნეში, არც ერთ მხარეს, როგორც ქართული, ასევე სომხური ეკლესიის მესვეურებს ეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ შესაბამისად ქართული და სომხური ეკლესიები უფლებამოსილნი იყვნენ ჰყოლოდათ საკუთარი კათალიკოსები.

მაშასადამე, როგორც ქართული, ისე სომხური ეკლესიის წიაღში გაბატონებული მართლშეგნებით ხსენებულ ეკლესიათა თვითმმართველობის უფლება და დამოუკიდებლობა უდავო ჭეშმარიტებად ითვლებოდა.

საეკლესიო დამოუკიდებლობა კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელშემწყობი ფაქტორი იყო. საეკლესიო ავტოკეფალია მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფებით იყო დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან. სასურველად ითვლებოდა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი ერთი რელიგიის მაღიარებელი ყოფილიყო. სახელმწიფოს შიგნით რელიგიური თავისუფლების პრინციპის საერთო აღიარება დასავლეთ ევროპაში, და ისიც მხოლოდ მოწინავე სახელმწიფოებში, გვიანფეოდალურ ხანას განეკუთვნება, მაშინ როდესაც დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში ეს პრინციპი სოციალური იდეალი კი არა, რეალური სინამდვილე იყო. და ამას აღიარებდნენ როგორც სომეხი, ასევე მუსლიმანური სამყაროს ისტორიკოსებიც. დავით აღმაშენებელმა, პროგრესული სახელმწიფოებრივი აზროვნების ამ ჭეშმარიტმა რაინდმა, დიდი რელიგიური ომების ეპოქაში, ჯვაროსანთა ლაშქრობით და რელიგიური სიძულვილის გრძნობით მთვრალ სამყაროს უჩვენა ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ადამიანური თვალებით შეხედო სხვადასხვა ტომისა და სარწმუნოების

4 «Церковные ведомости», 1907, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენელთ და მშვიდობიანად აცხოვრო ისინი ერთი სამეფოს შიგნით. სახელმწიფოებრივი და, თუ გნებავთ, „რელიგიური ჰუმანიზმი — ეს იყო დავითის იარაღი გოლიათის წინააღმდეგ. ეს გოლიათი კი გახლდათ ტომობრივ-სარწმუნოებრივი ფანატიზმი და რეაქციული სეპარატიზმი. დავით აღმაშენებელმა შეძლო ქართული ეკლესია დიდ პროგრესულ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ჩაება. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობა ანუ სახელო. ამ თანამდებობის შესახებ უკვე სახელმოხვეჭილი აკადემიკოსის მარის ნაშრომებში არაერთხელ გაიელვებს საყურადღებო მოსაზრებები.

მაგრამ მანამდე, სანამ XII საუკუნეში საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის დიდ შარაგზაზე გამოვიდოდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა.

მეშვიდე საუკუნეში ქართველ-სომეხთა რელიგიური განხეთქილების შემდეგ მცხეთის კათალიკოსს დიოფიზიტური მიმართულების სომხური ეპარქიებიც დაემორჩილნენ. იშხანის, ანჩის, ვალაშკერტის, ანისა და ყარსის ეპარქიები მცხეთის კათალიკოსის (შემდეგ პატრიარქის) საგამგებლო გახდა. ეს იყო ისეთი ეპოქა, როდესაც ერთი რელიგიის შიგნით სხვადასხვა მიმართულების მაღიარებელნი ისე მწვავედ ებრძოდნენ ერთმანეთს, რომ საქმე ხშირად სისხლის ღვრამდეც მიდიოდა. ასე იყო მეცხრე საუკუნის ბიზანტიაშიც სადაც ხატების წინააღმდეგ მებრძოლთა და ხატების თაყვანისმცემელთა შორის სამოქალაქო ომი გაჩაღდა.

ბიზანტიის იმპერიაში დამარცხდა ხატისთაყვანისმცემელთა მიმართულება. ეს უკანასკნელნი მოითხოვდნენ სასულიერო წოდების საქმეებში საერო ძალაუფლება არ უნდა ერეოდესო. საქართველოში კი სხვა ვითარება იყო.

გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ჩანს, რომ ტაო-კლარჯეთში მართლმადიდებლური ეკლესია და მისი მესვეურები საკმაოდ ძლიერ ძალად გრძნობდნენ თავს და ეკლესიის დამოუკიდებლობას საერო ხელისუფლებისაგან გაშმაგებით იცავდნენ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტში, რომელიც შესაძლოა, როგორც ამას ა. კიკვიძე ფიქრობდა, მეცხრე საუკუნეში იყოს დაწერილი, ეპისკოპოსი მეორე მეფედ არის მიჩნეული.

გიორგი მერჩულეს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ შეძლო კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტმა გრიგოლ ხანძთელმა გუარამ მამფლის სურვილს წინააღმდეგ არსენის კათალიკოსად დატოვება.

სასულიერო პირები არცთუ იშვიათად სასულიერო ხელისუფლებას საეროზე მაღლაც კი აყენებდნენ. ისინი ზოგჯერ თეორიულადაც კი ასაბუთებენ საეკლესიო ხელისუფალთა უპირატესობას საერო მთავრობასთან შედარებით. მაგრამ IX-XI საუკუნეებში საქართველოში ქართული სახელმწიფოებრიობის აღმავლობის ხანაში სასულიერო პირები საერთო ენას მონახავენ საერო ხელისუფლების გამოჩენილ მოღვაწეებთან და მათთან მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრენი ხდებიან.

ქართული ეკლესიის ავტორიტეტი მეცხრე საუკუნეში იმდენად დიდი ყოფილა, რომ იმპერატორი ვასილი (ბასილი) პირველი (867-886) მას დიდი მოწიწებით ეპყრობოდა. ამ გარემოებას ნ. მარი იმით ხსნიდა, რომ ბიზანტიის იმპერატორი დიოფიზიტი იყო. ერთი სიტყვით, უკვე ადრეფეოდალური ეპოქის საქართველოში ეკლესია დიდ სულიერ და მატერიალურ ძალას წარმოადგენდა.

ამიტომაც, ნ. მარის აზრით, ქართული ეკლესია რეალური და ფორმალური ავტოკეფალიისათვის სავსებით მზად იყო.

ნ. მარის მოხსენებაში ხაზგასმული იყო ის გარემობაც, რომ მარტო იერუსალიმში და მის ახლომახლო მიდამოებში ათზე მეტი ქართული მონასტერი იყო. ჩვენი მხრივ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ანტიოქიის მახლობლად დღეს აღმოჩენილია ცამეტი ეკლესია და მონასტერი, რომლებიც ქართველებს ეკუთვნოდათ. მაგრამ ირკვევა, რომ ქართველთა ეკლესია-მონასტრები უკვე ადრეფეოდალურ ხანაში ყოფილა არა მარტო იერუსალიმისა და ანტიოქიის მიდამოებში. ეგვიპტე უდაბნოშიც, თებეს მიდამოებში აღმოჩნდა ეკლესია, რომელიც მეხუთე საუკუნეში შეილება პეტრე იბერის (ივერის) ინიციატივით იყოს აგებული.

გარდა ამისა, იტალიელმა არქეოლოგმა ვირგილიო კორბომ პალესტინაში, იუდას უდაბნოში ბეთლემის მახლობლად მიაგნო მონასტერს ქართული წარწერით.

საზღვარგარეთ ასე უხვად არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები, ცხადია, მაშინ დელ ქრისტიანულ სამყაროს აუწყებდა, რომ ქართული რელიგიური დაწესებულებები დიდ კულტურულ და სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ, ამიტომაც ქართული ეკლესიის ავტორიტეტიც იზრდებოდა.

პატრიარქის წოდება ქართველი კათალიკოსის ტიტულატურაში მაშინ ჩნდება, როდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც მისი იურისდიქცია გაფართოვდა და გავრცელდა დასავლეთ საქართველოზე და ე. წ. „დიდი სომხეთის" მართლმადიდებლურ ეპარქიებზე.

მთელი საქართველოს გაერთიანების შემდეგ მცხეთის კათალიკოსს აფხაზეთის კათალიკოსის მიმართ გარკვეული უპირატესობა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით ნ. მარი იმ გარემოებაზეც მიუთითებდა, რომ, ის, როგორც ეს 1020 წლის ცნობილი დოკუმენტიდან ჩანს „მამა „კათალიკოსად" იწოდებოდა. საზეიმო დღეებში მცხეთის კათალიკოსის შემდეგ მეორე საპატიო ადგილი ჭყონდიდელს, ხოლო მესამე დიდი სომხეთის მიტროპოლიტს განეკუთვნებოდა. სომხური მართლმადიდებლური ეპარქიები უშუალოდ ემორჩილებოდნენ მცხეთის პატრიარქს და ამავე დროს მათი განსაკუთრებული ინტერესების დამცველად გამოდიოდნენ. მცხეთის კათალიკოსთან საპატიო ადგილზე იჯდა სპეციალური სასულიერო მოხელე მიტროპოლიტის წოდებით, რომელიც „დიდი სომხეთის" სულიერ წარმომადგენლად და მოთავედ ითვლებოდა.

ნ. მარის აზრით, ქართული ეკლესია დიდი საიმპერიო ეკლესიის გავლენის გარეთ ჩანს წარმოშობილი. იგი, თავდაპირველად მაინც უფრო იერუსალიმური საეკლესიო გადმოცემისა და აღმოსავლური ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციების მიმდევარი ჩანს.

ნ. მარი მიუთითებდა იმ გარემოებაზეც, რომ მეექვსე საუკუნიდან ქართული ეკლესია საეკლესიო ღვთისმსახურების დროს მშობლიური ენით სარგებლობდა და თვითონვე, უცხო ძალის ჩაურევლად, წყვეტდა თავის ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო საკითხებს და ჰყავდა საკუთარი კათალიკოსი, რაც აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის როგორც ცოცხალი იურიდიული პრაქტიკის, ასევე იურიდიული ნორმების მიხედვითაც ეკლესიის ავტოკეფალობის, დამოუკიდებლობის მაჩვენებელია.

ქართული ეკლესია თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე — მერვე საუკუნეში, მოვლენათა მსვლელობის შედეგად იძულებული ხდება ახლო ურთიერთობა ჰქონდეს ბიზანტიის იმპერიის ეკლესიასთან. ავტოკეფალური ქართული ეკლესია თავისი დამოუკიდებლობის სანქციას, უფრო სწორად მის კვლავ დადასტურებას ეძებდა იმპერიაში მოქმედი სამართლის ნორმებში; მაგრამ რადგანაც ამ ხანებში ბიზანტიის ეკლესია მართლმადიდებლების მტრების — ხატმებრძოლების ხელში იყო, ქართული ეკლესია თავისი დამოუკიდებლობის დადასტურებას ანტიოქიის საპატრიარქოში აღწევს.

გიორგი მერჩულეს თხზულების „გრიგოლ ხანთელის ცხოვრების" გამოცემისას ნ. მარი ისევ უბრუნდება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. თხზულებისათვის დართულ გამოკვლევაში ავტორი იხსენიებს მისთვის მწარედ მოსაგონარ დროს, როდესაც მან ოფიციალური მეცნიერებისა და ეკლესიის მესვეურთა წინაშე ვრცელი მოხსენება წაიკითხა ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლების შესახებ.

ამ სხდომაზე მეცნიერული არგუმენტაციის შესათვისებლად თითქოს ყველაზე მომზადებულმა პირმა პროფ. ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ ნ. მარის მიერ წარმოდგენილი მოხსენების ძირითადი თეზისების მიმართ დაიჭირა არამეცნიერული პოზიცია. მისი აზრით, ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში „შეიძლება მივაღწიოთ მეცნიერულ შედეგებს ქართული ენის სპეციალურად შესწავლის გარეშე, თუმცა ეს უკანასკნელი, საუკეთესო დახმარებას გაგვიწევდაო". ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ, რომელიც დიდმპყრობელური ცრურწმენების ტყვეობაში იყო, კვლავ გაიმეორა: „მე ვამტკიცებ, რომ ქართული ენის ცოდნის გარეშე შესაძლებელია საფუძვლიანი ცნობები გაგვაჩნდეს ქართული ეკლესიის შესახებო".

ამასთან დაკავშირებით ნ. მარი წერდა: ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საკმარისია იმისთვის, რომ გავიგოთ არა მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის მდგომარეობა მართლმადიდებლურსავე რუსეთში (ეს, როგორც ჩანს, არავისთვის არ არის საინტერესო), არამედ მძიმე პირველყოფილი მდგომარეობა აღმოსავლეთმცოდნეობისა იმ წრეებშიაც კი, ვინც, საფიქრებელია, თავისი სამეცნიერო ამოცანებით ქრისტიანული აღმოსავლეთის შესწავლით დაინტერესებულიც კი უნდა იყოსო. შემდეგ ნ. მარი მიუთითებდა პროფ. ნ. ნ. გლუბოკოვსკის, რომ ისეთი დიდი მეცნიერი, როგორც ვ. ვ. ბოლოტოვი იყო, ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობებს დიდ ანგარიშს უწევდაო.

მართლაცდა, უვიცობა არავის არასდროს არ გამოსდგომია მეცნიერულ არგუმენტად. ვინც ისე ღრმად შეისწავლის გიორგი მერჩულეს თხზულებას, როგორც ეს ნ. მარმა შეძლო,

---

[5] Мерчул «Житие Григория Хантздийского. Снб. 1911. Изд. II, Марр. стр, XXIII,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის სავსებით ცხადი გახდება, რომ მეცხრე საუკუნეში ქართული ეკლესიის ისტორიისა და ქართული საეკლესიო სამართლის შესახებ სხვა უფრო სანდო წყაროა არ არსებობს, ვიდრე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა". ამ თხზულებიდან კი ჩანს, რომ მეცხრე საუკუნის შუა წლებში ქართულმა ეკლესიამ შეწყვიტა იერუსალიმიდან მირონის შემოტანა და ადგილობრივ დაიწყო მისი კურთხევა: „ხოლო კათალიკოსმა ეფრემ „ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალემის პატრიარქის განწესებითა და წამებითა სიხარულით", — ამბობს მერჩულე.

ნ. მარმა შეძლო ეჩვენებინა, რომ ქართული ეკლესია სარგებლობდა რეალური დამოუკიდებლობით და თვითმმართველობით როგორც თავის ქვეყანაში, ისე იმ სამონასტრო კოლონიებშიც, რომლებიც საზღვარგარეთ მოღვაწეობდნენ.

ნ. მარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ქართულ ეკლესიას დიდი ბრძოლის გადახდა მოუხდა როგორც ანტიოქიის ეკლესიის მესვეურებთან, ასევე ბიზანტიის იმპერატორებთანაც, მათ საეკლესიო პოლიტიკასთან.

შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად ქართული მონასტერი ანტიოქიის პატრიარქის გამგებლობის უფლებას არ ცნობდა, მის განკარგულებას არ ემორჩილებოდა. ეს გარემოება კი მცხეთასა და ანტიოქიას შორის დაძაბულ ურთიერთობას ქმნიდა.

კონსტანტინეპოლს კი თავის მხრივ თვალი რჩებოდა იმ სომხურ მართლმადიდებლურ პარქიებზე, რომლებიც მცხეთის პატრიარქის ხელქვეშეთნი იყვნენ. და ამ მატერიალური ინტერესებით დამძიმებულმა ურთიერთობამ ქართული ეკლესიისა ანტიოქიასა და კონსტანტინეპოლთან კვლავ წამოჭრა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი. მაგრამ ქართული სახელმწიფო და ეკლესია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ანტიოქიაში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ პატრიარქ პეტრეს ზეობისას კვლავ დაადასტურა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია).

ნ. მარის საფუძვლიანი მოსაზრებით, ქართული ეკლესიის ქმედობაუნარიანობამ მისი არსებობის პირველ საუკუნეებშივე, ადრეფეოდალურ ხანაში გამოხატულება პოვა ადგილობრივი საეკლესიო კრებების საქმიანობით, მათი საკანონმდებლო მოღვაწეობით. დამოუკიდებელი შემოქმედების უნარი ჩანს ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში და ხელოვნებაში, საეკლესიო გალობაში, დღესასწაულებში, ხალხის რელიგიური ცხოვრების სხვა ეროვნულ გამოვლინებებში.

ქართული ეკლესიის დამსახურება, ნ. მარის აზრით, მდგომარეობდა ცხოვრების ახალი ფორმების „მართალმადიდებლობის დოგმებთან განუხრელ შეთანხმებაში" და დიდი (ბერძნული) ეკლესიის პროგრესთან მის შეხამებაში.

უდავოდ სწორია მოსაზრება, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოთხრობითი ხასიათის წერილობითი წყაროების მიხედვით დაწერილი ისტორია მკრთალი და ცალმხრივია. ეპიგრაფიკული ძეგლების, დოკუმენტური წყაროების, სამართლებრივი ძეგლების, ფოლკლორის, ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემების ერთმანეთთან შეჯერება, მათი კრიტიკული კვლევა-ძიების შედეგად მიღებული დასკვნებით უფრო სრულფასოვნად შეიძლება მეცნიერული ისტორიის დაწერა.

ნ. მარი ცდილობდა თავის დასკვნებში გაეთვალისწინებინა სწორედ ასეთი კომპლექსური ხასიათის წყაროთა ჩვენებანი. მისი ყურადღება მიიქცია ცნობილი იურისტის და სამართლის ისტორიკოსის რუდოლფ იერინგის მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ რომაული სამართალი თავისი «fas»-ით, რელიგიური სამართლით, აღმოსავლეთისკენ იცქირებაო.

რუდოლფ იერინგსა და ნ. მარს მხედველობაში ჰქონდათ ის გარემოება, რომ ძველი და შუა საუკუნეების აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში რელიგია და სამართალი ერთ ნაკადად იყო წარმოდგენილი.

ნ. მარი მიუთითებდა, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით ლაშქრობის დროს სამეფო ბარგს საგანგებო ჯორს აჰკიდებდნენ ხოლმე, რომელიც „მისდა მიჩენილი მთელი გვარის დიდი წყება — მსახურთა თანაყოფით წინ მიუძღოდა ლაშქართ მიმავალ ჯორს".

„საიდან მოდის ეგ ჩვეულება, ესეთი დაწინაურება და ყურადღება ჯორისადმი? ჯორი მოგეხსენებათ პატივსაცემ სახედრათ ითვლებოდა საქართველოში, ის პირველყოვლისა ბერებისა და სამღვდელო პირების სამგზავროდ ირიცხებოდა".

ნ. მარის აზრით, „ამ სახულიერო დასთან ჯორის დაკავშირებაში ძველისძველი რწმენის ჩარჩენილობა გახლავსთ. თვით მეფეც პირვანდელი იაფეტური საზოგადოებრივი წარმოდგენით ღვთის ნაცვალია და მისივე ქურუმი, მღვდელი".

ნ. მარი არაერთხელ მიუთითებდა, რომ ენა ხალხის ისტორიის უძველესი მოწმეა.

„ენა ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედების და მისგან ჩასახული შინაგანი ცხოვრების გამოცხადება არის. ენა სიტყვა და საქმეა ერთად შედნობილი“, წერდა იგი.

თუ ქართულ და სომხურ ენებში სასჯელის ცნების გამომხატველად თავდაპირველად ის სიტყვა გამოიყენებოდა, რომელსაც წინაკლასობრივ ხანაში შურისძიების აღსანიშნავად იყენებდნენ, ნუთუ ეს გარემოება იმ მოსაზრების სასარგებლოდ არ მიგვითითებს, რომ სასჯელი ძველი შურისძიების უფლების ცივილიზებული, კლასობრივი საზოგადოების საარსებო პრინციპებთან მისადაგებული და მის შესაბამისად გარდაქმნილი ფორმაა?

ან თუ სიტყვა „ერი“ ქართული ენის მთელ რიგ უძველეს ძეგლებში ჯარსაც რომ ნიშნავდა და ხალხსაც, ნუთუ იმის შესახებ არ მიგვითითებს, რომ ერთ დროს მთელი „ერი“ სახალხო ლაშქრად იგულისხმებოდა?

ნ. მარის აზრით, სამონადირეო ყოფიდან აქვთ აღებული ქართველებს ისეთი იურიდიული ტერმინები, როგორც იყო „სანახშირო“ და „გერში“. ეს ტერმინები გვხვდება ქართული სამართლის წიგნებში.

ნ. მარის აზრით, თავდაპირველად „გერში“ ნადირის ჭრილობასა და სისხლს ერქვა. მონადირეთა ყოფა-ცხოვრების გამომხატველი ტერმინია გერშთან დაკავშირებული „დაგერშვა“, რაც ნიშნავს ძაღლისა და ფრინველის სანადიროდ გაწვრთნას. „გერში“ გვხვდება ბიბლიის უძველეს ქართულ თარგმანებშიც, სადაც გერშის დადება ადამიანის დაშავებას, მის სხეულის (ასოს) დაზიანებას ნიშნავდა.

გერში ნიშნავდა აგრეთვე ჭრილობის ნაკვალევს.

ნ. მარს ნაჩვენები აქვს „გერში“-ს სემასიოლოგიური განვითარების გზა, რომლის პროცესშიაც გერშს უნდა მიეღო და კიდევაც მიიღო ხინჯის, მანკის, ნაკვალევის, ჭრილობის და სენის ნაკვალევის, დასახიჩრების მნიშვნელობა. სიმპტომატურია, რომ ქართულ ენაში გაჩნდა სიტყვა „უგერშო“ უზადოსა და უნაკლოს მნიშვნელობით.

„გერშ“ სიტყვის ძირად ნ. მარი თვლიდა „გრშ“ ბგერათა კომპლექსს და თან მიუთითებდა შესატყვის სემიტურ (არაბულ) ტერმინზე მნიშვნელობით „ჯარიმა-დაჭრისათვის“.

„გერში“ ბექა მანდატურთუხეცესის სამართლის წიგნში რიგ შემთხვევებში ჭრილობას ნიშნავს.

ნ. მარის აზრით, იურიდიული ტერმინი „სანახშირო“ სემასიოლოგიურად ახსნას პოულობს გერშ-თან ერთად. ორივე სამონადირეო ტერმინოლოგიიდან არის წარმოშობილი.

ნ. მარის დაკვირვებით, რიგ სომხურიდან ქართულად ნათარგმნ თხზულებებში დედნის „სეპჰკან“-ს ქართულად შესატყვისებოდა „საზეპურო“ — სომხურად კი „სეპჰკან“ ნიშნავდა საკუთარს. ქართულ მატიანეში ერთგან „საზეპურო“ ნიშნავს საკუთარს და ყველაზე მახლობელს. ძველ ქართულში ადამიანის პირადი საკუთრების გამომხატველ ტერმინის როლში არაიშვიათად „საზეპურო“-ც გვხვდება.

სპარსულიდან ნასესხებ „სეპუჰ“ სიტყვის საფუძველზე სომხურ ენაზე შეიქმნა საკუთრების აბსტრაქტული ცნების გამომხატველი ტერმინი „სეპჰკანუთიუნ“. ქართულმა კი უცხო ენიდან შემოტანილი „საზეპურო“ დაივიწყა და „საკუთარ“-ის საფუძველზე აწარმოვა „საკუთრება“.

1930 წელს ნ. მარი აქვეყნებს ნაშრომს „საკუთრების უფლება ენის სიგნალიზაციის მიხედვით ნაცვალსახელების წარმოშობასთან დაკავშირებით“.

ნ. მარის აზრით, საკუთრების პრობლემების განხილვისას საჭიროა ენის მონაცემების გათვალისწინებაც, ხოლო ენაში შესაძლოა შემონახული იყოს ხალხის უძველესი სოციალური სტრუქტურის შესახებ ინფორმაციაც ნ. მარის დებულებით, არა მხოლოდ ლათინური „გენს“-იდან (გვარიდან), არამედ ლათინური ენიდანაც „ირიკეზი იცქირება“.

მაშასადამე, ძველი ლათინების, ქართველების და ა. შ. ენიდან, თუ მათ კარგად ჩავუკვირდებით, ისეთი სოციალური ტიპი, სოციალური განვითარების ისეთი სტადია შეიძლება გვიმზერდეს, როგორზეც თავის დროზე ირიკეზები იდგნენ.

ნ. მარი ცდილობდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში მოეძებნა ისეთი მომენტი, როდესაც ისტორიულ აუცილებლობად გვევლინება ნაცვალსახელების წარმოშობა.

ნ. მარი ფიქრობდა, რომ ისტორიულად ჯერ წარმოიშვა უკუქცევითი ნაცვალსახელი, ხოლო შემდეგ კი პირისა. თანაც უკუქცევითი ნაცვალსახელის წარმოშობა დაკავშირებული იყო ტოტემურ საკუთრებასთანაც.

ნ. მარის აზრით, ისეთ პოლისტადიალურ იაფეტური სისტემის ენაზე, როგორიც ქარ-

---

6 ნ. მარი ქართული ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით“. „მნათობი № 5-6, 1925, გვ. 303.

5. „საბჭოთა სამართალი“ № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულია, შეიძლება თვალი მივადევნოთ ჩვენ-თვის საინტერესო ტერმინს-საკუთრება. ამ უკანასკნელს ავტორი ძირეულ, ქართულ, ხალხურ სიტყვად მიიჩნევს.

„საკუთარ"-ს ავტორი ასე შლიდა სა-კუ-თ-არ. ხოლო თავის მხრივ „საკუთარი" ნიშნავდა ტოტემ კუ-თ-ის კუთვნილს და არავის სხვისას.

ნ. მარის აზრით, პირის ნაცვალსახელთა-გან ჯგუფური საკუთრების არსებობის ხანაში ჯერ მრავლობითი რიცხვის ფორმები უნდა გაჩენილიყო. რაც შეეხება პირის ნაცვალ-სახელთა მხოლობით ფორმებს, ის დაკავში-რებული უნდა ყოფილიყო ჯგუფური საკუთ-რების წიაღში კერძო საკუთრების წარმო-შობასთან. მკვლევარი დარწმუნებული იყო, რომ ნაცვალსახელები „მე" და „შენ" წარმო-ქმნილი იყო „ჩვენ" "და „თქვენ" კოლექტი-ური ნაცვალსახელის საფუძველზე.

რუსულ ენაში, — აღნიშნავდა ნ. მარი „სობსტვენნოსტ" (собственность) ახალი სიტყვაა. მისი წინამორბედი და იმავე მნიშ-ვნელობისა იყო „სობინა", თავის მხრივ რუ-სულად ინდივიდუმს, პიროვნებას ერქვა „ო-სობა" (о-соба)), რომელიც ნიშნავდა ერთს კოლექტივიდან. ავტორის აზრით, „სობა" იყო საწარმოო-სოციალური დანიშნულების ტოტემი.

ენათმეცნიერებამ არ გაიზიარა ნ. მარის ის მოსაზრება, რომ პირდაპირსახაზოვანი კავ-შირი არსებობდა კერძო საკუთრების წარმო-შობას და ნაცვალსახელთა წარმოშობას შო-რის, კუთვნილებითი ნაცვალსახელების წარ-მოშობა კერძო საკუთრების წარმოშობის თანმხვედრი პროცესია.

იხილავდა რა ნ. მარის შეხედულებებს ნაც-ვალსახელების წარმოშობასთან დაკავშირე-ბით ერთი მკვლევარი წერდა:

„კერძო საკუთრება, როგორც ცნობილია, წარმოიშობა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების გზით. ნაცვალსახელი კი ისე-ვე როგორც სხვა მეტყველების ნაწილები, ფორმდება ენისა და აზროვნების საერთო ფონზე. ამიტომაც ენის გრამატიკული კა-ტეგორიები და მეტყველების ნაწილები არ შეიძლება განისაზღვროს საზოგადოების ეკო-ნომიური წყობით. თუ ამოვალთ ენის საზო-გადოებრივი ფუნქციიდან, გასაგები უნდა იყოს, რომ ნაცვალსახელთა ხმარების სა-ჭიროება ენაში იგრძნობოდა საკუთრების წარმოშობამდეც"[7].

ცხადია, მეცნიერების განვითარების დღე-ვანდელ დონეზე ნ. მარის ზემოთ მოყვანი-ლი შეხედულება არ არის მისაღები და მას-ში ვულგარული სოციოლოგიზმის ნიშნებიც კი შეიძლება შევამჩნიოთ. მაგრამ უთუოდ იყო რაღაც ჯერჯერობით ამოუხსნელი კავში-რი ფართო გაგებით საკუთრების, ე. ი. წარ-მოებით ურთიერთობათა წარმოშობა-განვი-თარებასა და ენაში ნაცვალსახელთა ფორმი-რების პროცესს შორის.

იმ უაღრესად შორეულ ხანებში, როდე-საც სიტყვათწარმოქმნის პროცესი მიმდინა-რეობდა, სიტყვა და საქმე ერთმანეთში იყო ჩაწნული და ჩაქსოვილი. საკუთრება უნდა წარმოშობილიყო ჯერ კიდევ პირველყოფილი ჯოგის წიაღში, მაგრამ მისი ქმნადობის პრო-ცესი ასე თუ ისე უნდა დასრულებულიყო პირველყოფილი ჯოგის ნამდვილ სოციალურ ორგანიზმად — პირველყოფილ კომუნად გა-დაქცევის შემდეგ. საფუძვლიანად ფიქრობს იური სემიონოვი. მაშასადამე, საკუთრების წარმოშობის პროცესი გრძელდებოდა მრავა-ლი ათასეული წლების განმავლობაში და ამის გამო მისთვის ფარდის ახდა თანამედრო-ვე ენობრივი მასალის საფუძველზე მეტის-მეტად ძნელია: ამიტომაც ეპატიება ნ. მარს შეცდომა, რომელიც მოსდიოდა ამ პროცე-სის გაშუქების საქმეში.

ბ. მალინოვსკიმ საკუთარი დაკვირვების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ კულ-ტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში სიტყვის მნიშვნელობის გაგება ძალიან ძნე-ლია, თუ არ ვიცით ის სიტუაცია, რომელშიც იგი წარმოითქვა. ასე რომ, უცხო დამკვირვე-ბელი ღამით ვერ გაიგებს მათ საუბარს, თუ ვერ ხედავს წარმოთქმულ ბგერათა თანმხ-ლებ უესტებს, თუ არ შეუძლია იმ სიტუაც-იის გათვალისწინება, რომელშიც მოცემული სიტყვები წარმოითქვა.

ამიტომ, არის გამორიცხული, რომ კუთ-ვნილებითი ნაცვალსახელების წარმოშობის პროცესს მისი თანმხლები ემპირიული აუცი-ლებელი კონტექსტი გააჩნდა ადამიანთა სო-ციალურ პრაქტიკაში.

---

[7] მარტიროსოვი. „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში" თბ., 1964, გვ. 30.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს **თამაზ შავგულიძეს** ინსტიტუტის სამართლის სექტორის სამეცნიერო საქმიანობაზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე ესაუბრა ჩვენი ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტი **გელა ბერძენიშვილი.**

გთავაზობთ ამ საუბრის შინაარსს.

კორესპონდენტი: ბატონო თამაზ, უმჯობესია დავიწყოთ ისტორიით — როდის შეიქმნა სამართლის სექტორი და ვინ იყო ამ დიდი საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი?

თამაზ შავგულიძე: უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების კვლევა შედარებით გვიან დაიწყო. 1957 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში შეიქმნა სამართლის განყოფილება. ამ საქმის ორგანიზატორი და შემდეგში უცვლელი ხელმძღვანელი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ წერეთელი. 1963 წელს მისივე ძალისხმევით შეიქმნა სამართლის სექტორი: სისხლის სამართლის, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის და ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებებით. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ეკონომიკის ინსტიტუტი გარდაიქმნა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტად.

კორესპონდენტი: იმ დღიდან ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა და ვიდრე სამეცნიერო საქმიანობაზე ვისაუბრებთ, ურიგო არ იქნება თუ მკითხველს ბარემ აქვე გავაცნობთ სამართლის სექტორის ამჟამინდელ სტრუქტურას.

თამაზ შავგულიძე: დღეისათვის სამართლის სექტორში ექვსი განყოფილება და ერთი ლაბორატორიაა: 1. სისხლის სამართლისა და პროცესის; 2. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზების შესწავლის; 3. სამოქალაქო სამართლის და პროცესის, 4. სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის; 5. საბჭოთა კანონმდებლობის და 6. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილება. სამოქალაქო სამართლისა და პროცესის განყოფილებასთან 1983 წელს შეიქმნა სამართლებრივი პრობლემების მართვის ლაბორატორია.

სამართლის სექტორში ამჟამად 50 თანამშრომელია. აქედან 42 კაცი სამეცნიერო მუშაობას ეწევა. მათგან ექვსი მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო — 20 მეცნიერებათა კანდიდატი. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ სამართლის სექტორის არსებობის მანძილზე მისმა თანამშრომლებმა ექვსი სადოქტორო და 30 საკანდიდატო დისერტაცია დაიცვეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1977 წლის 24 თებერვლის დადგენილებით დამტკიცდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის სექციის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა და დებულება. ხოლო 1983 წლის 6 ოქტომბრის დადგენილების თანახმად სამართლის სექტორი აღიარებულია, როგორც რესპუბლიკაში სამართლის პრობლემების კოორდინაციის მეთაური ორგანიზაცია.

კორესპონდენტი: ამდენად, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს სტრუქტურასაც გაგვაცნობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ შავგულიძე: რა თქმა უნდა. სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოში სამართლის სექტორთან ერთად გაერთიანებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორია, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. საბჭოში შექმნილია სამი სექცია, რომლებიც მოიცავენ სამართალმცოდნეობის ყველა სფეროს.

კორესპონდენტი: ბატონო თამაზ, ახლა კვლავ დავუბრუნდეთ სამართლის სექტორის სამეცნიერო საქმიანობის პირველ ნაბიჯებს...

თამაზ შავგულიძე: სამართლის სექტორის ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე გამოიკვეთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორი ძირითადი მიმართულება: სისხლის სამართლის ზოგადთეორიული პრობლემები, რომლებსაც ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტიანობისათვის და ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. 1957 წელს თინათინ წერეთლის მონოგრაფიის — „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში" — გამოცემამ განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოში სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში, რადგან ამ შრომაში პირველად იქნა გამოყენებული სხვა მეცნიერებები, კერძოდ, ფილოსოფიური კატეგორიები და ფსიქოლოგიის მონაცემები. ასევე წარმმართველი მნიშვნელობა ენიჭება ამ მონოგრაფიის მეორე მხარეს — თეორიულ დებულებათა პრაქტიკის საარსებო მოთხოვნებთან მჭიდრო კავშირს, რაც დაფუძნებული იყო სასამართლო პრაქტიკის საერთო მასალაზე.

ამას მოჰყვა თინათინ წერეთლის მონოგრაფიები „დანაშაულებრივი მოქმედება და მისი შედეგი", „დანაშაულის მომზადება და მცდელობა", „თანამონაწილეობა დანაშაულში", რომლებსაც საეტაპო მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემების კვლევის საქმეში.

იურიდიული მეცნიერების სამყაროში ფართო რეზონანსი ჰქონდა ვლადიმერ მაყაშვილის, მინდია უგრეხელიძის, ოთარ გამყრელიძის, გიორგი ტყეშელიაძის, ალექსანდრე შუშანაშვილის, ჯამლეთ ბაბილაშვილის, ლამარა სურგულაძის, იური ტყეშელაშვილის...

კორესპონდენტი: და, ბატონო თამაზ, თქვენს მონოგრაფიებს „აფექტი და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა", „აუცილებელი მოგერიება", „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა"...

თამაზ შავგულიძე: ცალკე უნდა აღინიშნოს აზზორ გაბიანის მონოგრაფია „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის", რომელიც მართალია, 1968 წელს დაისტამბა, მაგრამ კარგად უპასუხებს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სადღეისო მოთხოვნებს.

სამართლის სექტორი დიდ ყურადღებას უთმობს კრიმინოლოგიის, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის საკითხებს, აქ, უწინარესად, უნდა აღვნიშნოთ ნიბლია უგრეხელიძის, იაკობ ფუტკარაძის, ხუტა როგავას, ბიძინა სავანელის, აკაკი მენაბდის, ალბერტ აბესაძის, გივი ჟვანიას, ბადრი ჰასან ნაგი ფარვიზფურის, რეჯინალდ დეკანოზოვის შრომები.

ნაყოფიერად შრომობენ სამართლის სექტორის ცივილისტები. თენგიზ ლილუაშვილის, ჯონი ხეცურიანის, თამარ ცაგურიას მონოგრაფიებმა ფართო აღიარება მოიპოვეს.

კორესპონდენტი: როგორია სამართლის სექტორის წვლილი ახალი საკანონმდებლო აქტების მომზადების საქმეში?

თამაზ შავგულიძე: ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამლევს და 60-იანი წლების დამდეგს თინათინ წერეთელი და ვლადიმერ მაყაშვილი უაღრესად აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი საკანონმდებლო აქტების მომზადებაში. მათ მრავალი სტატია გამოაქვეყნეს ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალებში სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის საკითხებზე.

სამართლის სექტორის თანამშრომლებმა დავწერეთ და 1976 წელს გამოვეცით სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები, ხოლო 1980 წელს დაისტამბა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მესამე თავის კომენტარები. ეს არის ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი ქართულ ენაზე დაწერილი კანონთა სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები. მართალია, უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან ერთად მოვამზადეთ და მალე დაისტამბება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის და საქართველოს სსრ სისხლის სამა-

თლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, მაგრამ ამ მიმართებით ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

კორესპონდენტი: ბატონო თამაზ, როგორც თქვენ ბრძანეთ, სამართლის სექტორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა. მათ შორის ერთი ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლაა. როგორ შედეგებს მიაღწიეთ ამ სფეროში?

თამაზ შავგულიძე: ამ მიმართებით ჩვენი მუშაობის საფუძველთა საფუძველია დიდი ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“, ამ ფუნდამენტური შრომის ორტომეული. ამ დარგში სამართლის სექტორის მუშაობა მიმართულია, ერთი მხრივ, ისტორიისმცოდნეობის ბაზის განვითარებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, თვით ეროვნული სამართლის ცალკეული პრობლემების შესწავლისაკენ. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ აკადემიკოს ისიდორე დოლიძის უაღრესად მნიშვნელოვანი შრომები: „ძველი ქართული სამართალი .ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი“, „გიორგი ბრწყინვალეს სამართალი“, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, „ვახტანგ VI სამართლის წიგნი“ და სხვ. ამ უკანასკნელმა შრომამ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლას მიუძღვნეს თავიანთი მნიშვნელოვანი შრომები დავით ფურცელაძემ, იაკობ ფუტკარაძემ, გიორგი ნადარეიშვილმა, მზია ლეკვეიშვილმა და სხვებმა. ასე რომ, ამ სფეროში ხელშესახები წარმატებები გვაქვს.

კორესპონდენტი: სამართლის სექტორს, ბუნებრივია, მჭიდრო კონტაქტები ექნება სხვა შესაბამის სამეცნიერო ცენტრებთან, და საერთოდ, გვაინტერესებს თქვენი საქმიანობის გეოგრაფია.

თამაზ შავგულიძე: სამართლის სექტორმა თავიდანვე უაღრესად საქმიანი ურთიერთობა დაამყარა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ერთობლივი მრავალფეროვანი ღონისძიებებით. ამ ინსტიტუტის ინიციატივითა და მისივე აქტიური მონაწილეობით თბილისში გაიმართა აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათშორისო კონფერენცია კანონმდებლობათა საკითხებზე. საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის იურისტთა მე-2 სიმპოზიუმი დაიწყო მოსკოვში და დამთავრდა თბილისში. ბაკურიანში ჩატარდა ერთობლივი კოლოკვიუმი თემაზე — „ახალი კონსტიტუცია და დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალური საკითხები“, ამავე ინსტიტუტების თაოსნობით ბიჭვინთაში გაიმართა კოლოკვიუმი. ერთობლივი ინიციატივით თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეორე კოლოკვიუმი სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემებზე. კოლოკვიუმის მასალები რუსულ ენაზე გამოიცა თბილისში; ხოლო გერმანულ ენაზე — ქ. ფრაიბურგში. სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით თბილისში გაიმართა საკავშირო კონფერენცია თემაზე — „სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები“. კონფერენცია თინათინ წერეთლის დაბადების მეოთხმოცე წლისთავს მიეძღვნა.

სექტორის თანამშრომელთა თანაავტორობით მოსკოვში დაისტამბა მრავალი საყურადღებო ნაშრომი. მჭიდრო კონტაქტები გვაქვს აგრეთვე ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეშიც.

სამართლის სექტორმა თავისი არსებობის მანძილზე კონტაქტები დაამყარა საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ დაწესებულებებთან. და ორგანიზაციებთან. სექტორის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იტალიაში, პოლონეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ კონგრესებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კოლოკვიუმებში.

სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ფრაიბურგის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტს შორის დაიდო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ბოლო წლებში მრავალი საინტერესო ერთობლივი ღონისძიება განხორციელდა. ამ ღონისძიებებში ჩვენი სექტორის თანამშრომლებიც აქტიურად მონაწილეობენ. ჩვენმა წარმომადგენლებმა ლექციები წაიკითხეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთში. სექტორის თანამშრომელთა სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია უნგრეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კორესპონდენტი: სამომავლო გეგმებიც, ალბათ, ასევე მრავალფეროვანი და საინტერესო გექნებათ...

თამაზ შავგულიძე: რა თქმა უნდა, ამ მიმართებით ჩვენს სამეცნიერო კონტაქტებს სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო გავზრდით და განვამტკიცებთ. ახლო მომავალში კი, კერძოდ, მიმდინარე წლის ნოემბერში, სამართლის სექტორის ბაზაზე თბილისში ჩატარდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების კოლოკვიუმი არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების პრობლემებზე. ახლა ამ კოლოკვიუმის მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებისათვის ვემზადებით, მერე კი ვნახოთ...

კორესპონდენტი: მკითხველს უთუოდ დაინტერესებს თქვენი აზრი რესპუბლიკის ერთადერთი იურიდიული ჟურნალის — „საბჭოთა სამართლის" საქმიანობის თაობაზე. გვითხარით, თუ შეიძლება, რა როლს თამაშობს ჟურნალი სამართლის სექტორის მეცნიერულ ცხოვრებაში.

თამაზ შავგულიძე: ცხადია, დიდ როლს, ჟურნალი ერთგვარად მტკიცე ხიდია იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის, ამასთან მას მაკორდინებელი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო ცენტრების ურთიერთანამშრომლობის თვალსაზრისით. სწორედ თქვენი ჟურნალის მეოხებით ვიღებთ ინფორმაციული ხასიათის ცნობებს, რაც საშუალებას გვაძლევს რესპუბლიკის იურიდიული ცხოვრების აქტიური მონაწილენი ვიყოთ.

ჟურნალი ბევრს აკეთებს ახალგაზრდა მეცნიერთა ფართო ასპარეზზე გამოყვანისათვის. ვინ მოთვლის რამდენ ახალგაზრდას დაეღოცა გზა დიდი მეცნიერებისაკენ „საბჭოთა სამართლის" ფურცლებზე. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. სამართლის სექტორი აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალის რედაქციასთან, მაგრამ ეს თვითმიზანი არ უნდა იყოს— ჩვენი ვალია მოგაწოდოთ ისეთი მასალები, რომლებიც ახლოს იქნება კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებთან, რათა ასეთი პუბლიკაციები ეხმარებოდეს პრაქტიკოს იურისტებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჟურნალი დაუცხრომლად იღვწის ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და ქართული სამართლებრივი სალიტერატურო ენის განვითარებისათვის.

კორესპონდენტი: ბატონო თამაზ, როგორ გესახებათ ჩვენი ჟურნალის ხვალინდელი დღე. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ „საბჭოთა სამართალი" მოიცავდეს და ასახავდეს რესპუბლიკის იურიდიული ცხოვრების ყველა სფეროს, რა არ მოგწონთ ჩვენს საქმიანობაში?

თამაზ შავგულიძე: მოგახსენებთ. თავისთავად ის ფაქტი, რომ ჟურნალი ორთვიურია, ბუნებრივია, ოპერატიულობას ჰკარგავს, და თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ იგი, როგორც წესი ყოველთვის დიდი დაგვიანებით გამოდის, ცხადია, აქ უკვე ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. იმედი გვაქვს, რედაქციის ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მკითხველთა ინტერესებს და მიაღწევს ჟურნალის თითოეული ნომრის გრაფიკით გამოცემას.

სამართლის სექტორს მიაჩნია, რომ თვით ცხოვრებამ დასვა დღის წესრიგში ჟურნალის ყოველთვიურობის აუცილებლობა. ჯერ ერთი, იგი გადაიქცევა ჭეშმარიტად ოპერატიულ ორგანოდ და, რაც მთავარია, საშუალება ექნება ყოველმხრივ და საფუძვლიანად ასახოს რესპუბლიკის ყველა იურიდიული სამსახურის საქმიანობა, რის გაკეთებაც ახლა, ობიექტური მიზეზების გამო, ჟურნალს არ ძალუძს. გარდა ამისა, კარგა ხანია, რაც მომწიფდა ჟურნალის დანართის დაარსების საკითხი, თუნდაც ყოველკვარტალურის. დანართი, ჩვენი აზრით, დაეთმობა არასპეციალისტი ფართო მკითხველისათვის ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე პოპულარული ენით დაწერილ პუბლიკაციებს. აქვე უნდა გამოქვეყნდეს ჩვენი პროფესიის შესაბამისი მხატვრული ნაწარმოებები.

მიგვაჩნია, რომ ჟურნალში გამოქვეყნებულ საკვანძო სტატიებს უნდა დაერთოს რეზიუმე რუსულ ენაზე. ეს დიდად გაზრდის „საბჭოთა სამართლის" მკითხველთა აუდიტორიას, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალის ავტორიტეტის ამაღლებას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ორიოდე სიტყვაც, ჟურნალში ჯერ კიდევ ცოტა მასალა იბეჭდება პრაქტიკოს იურისტთა საქმიანობაზე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასა და რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების ცალკეული მუხლების კომენტარებს.

დაბოლოს, ვისაც პრაქტიკოს იურისტების მიერ შექმნილ დოკუმენტებთან ჰქონია საქმე, დამერწმუნება, რომ ხშირად უხეშად იბღალება ქართული ენის სიწმინდე. გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია ამ საქმის დროული მოგვარება. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ თქვენს ჟურნალს ხელეწიფება.

კორესპონდენტი: ბატონო თამაზ! მთელი ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ საქმიანი და გულახდილი საუბრისათვის.

თამაზ შავგულიძე: გმადლობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისათვის მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ მოქალაქენი, რომლებიც არ გამოცხადდებიან სამხედრო კომისარიატში გამოძახებისთანავე საპატიო მიზეზის გარეშე გასაწვევ უბანზე მიწერისათვის, დაისჯება ადმინისტრაციული წესით გაფრთხილების სახით.

2. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სასწავლებლების ხელმძღვანელები ან სამხედრო სააღრიცხვო მუშაობისათვის პასუხისმგებელი სხვა თანამდებობის პირები და სახლის პატრონები დადგენილ ვადაში სამხედრო კომისარიატში იმ ჭაბუკების სიების წარუდგენლობისათვის, რომლებიც მიწერილ უნდა იქნენ გასაწვევ უბნებზე, მიიღებენ გაფრთხილებას ან დაჯარიმდებიან ათიდან ოც მანეთამდე.

წლის განმავლობაში იმ აღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლისთვისაც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, იწვევს ჯარიმას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

3. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელები ან სხვა თანამდებობის პირები სამუშაოზე (სასწავლებლებში) იმ სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა მიღებისათვის, რომლებიც არ არიან აყვანილნი სამხედრო აღრიცხვაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ჯარიმდებიან ათიდან ოც მანეთამდე.

წლის განმავლობაში იმ აღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლისთვისაც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, იწვევს ჯარიმას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

4. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელები ან სამხედრო-სააღრიცხვო მუშაობისათვის სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სამხედრო კომისარიატების მოთხოვნისამებრ სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთათვის შეტყობინება სამხედრო კომისარიატებში მათი გამოძახების შესახებ ან დაბრკოლეს მოქალაქეთა დროზე გამოცხადება შეკრების პუნქტებში თუ გასაწვ უბნებზე, მიიღებენ გაფრთხილებას ან დაჯარიმდებიან ათიდან ოც მანეთამდე.

წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული რომელიმე იმ დარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლისთვისაც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, იწვევს ჯარიმას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

5. თუ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ან სამხედრო-სააღრიცხვო მუშაობისათვის სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, რომლებიც სახლების ექსპლუატაციას ახორციელებენ, აგრეთვე სახლის პატრონები დროულად არ წარადგენენ სამხედრო კომისარიატებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, რომლებსაც დაკისრებული აქვს სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა პირველადი აღრიცხვა, საბინაო დავთრებს, ჩანაწერის ბარათებსა და სააღრიცხვო-სამხედრო საბუთებს (სამხედრო ბილეთებს, გასაწვევ უბნებზე მიწერის მოწმობებს) სამხედრო ვალდებულ ან გასაწვევ მობინადრეებზე სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ან აღრიცხვიდან მოხსნის გასაფართოებლად, აგრეთვე სამხედრო კომისარიატში მათი გამოძახების შეუტყობინებლობისათვის მიიღებენ გაფრთხილებას ან დაჯარიმდებიან ათიდან ოც მანეთამდე.

წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული რომელიმე იმ დარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლისთვისაც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, იწვევს ჯარიმას ოციდან ორმოცდაათ მანეთამდე.

6. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების თანამდებობის პირები, რომლებსაც ევალებათ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების მეშვეობით შეატყობინონ სამხედრო კომისარიატებს ცნობები ინვალიდებად ცნობილი ყველა სამხედრო ვალდებულებისა და გასაწვევის შესახებ, მიუხედავად ინვალიდობის ჯგუფისა, ასეთი ცნობების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტყობინებლობისათვის მიიღებენ გაფრთხილებას ან დაჯარიმდებიან ათიდან ოც მანეთამდე.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოთა თანამდებობის პირება, რომლებიც არ შეატყობინებენ რაიონულ (ქალაქის) სამხედრო კომისარიატებს სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლას, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერაში მათი ღაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ ცვლილებათა შეტანას, აგრეთვე სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა გარდაცვალების რეგისტრაციის შემთხვევებს მიიღებენ გაფრთხილებას ან დაჯარიმდებიან ათიდან ოც მანეთამდე.

წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში გათვალისწინებული რომელიმე იმ დარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლისთვისაც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, იწვევს ჯარიმას ოცდან ორმოცდაათ მანეთამდე.

7. სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისათვის ბრალეულ მოქალაქეებსა და თანამღებობის პირებს ეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

8. ოქმს ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევის შესახებ ადგენს სათანადოდ უფლებამოსილი რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარიატის თანამდებობის პირი.

9. ამ ბრძანებულების I მუხლით გათვალისწინებული სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევათა საქმეს განიხილავს რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარი...

ამ ბრძანებულების მე-2— მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

10. შეტანილ იქნეს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის 1967 წლის 12 ოქტომბერის კანონში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ., № 42, მუხ. 552; 1980 წ. № 52, მუხ. 1121) შემდეგი ცვლილებანი:

1) 21-ე მუხლში:

მესამე ნაწილში სიტყვები „სპეციალური მოწმობა“ შეიცვალოს სიტყვებით „მოწმობა გასაწვევ უბანზე მიწერის შესახებ“;

მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები და ის ორგანიზაციები, რომლებიც სახლების ექსპლუატაციას ახორციელებენ, სახლის პატრონები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც ამ კანონის 86-ე მუხლის შესაბამისად ეკისრებათ სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა პირველადი აღრიცხვა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და სასწავლებელთა კადრების განყოფილებები ყოველწლიურად სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სამხედრო კომისარიატებს წარუდგენენ გასაწვევ უბნებზე მისაწერ ახალგაზრდათა სიას“;

2) 89-ე და 90-ე მუხლებში სიტყვები „სახლმმართველობას (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორას, კომენდატურას) და სიტყვები „აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სამხედრო-საღრიცხვო მაგიდაში“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას, საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს სახლების ექსპლუატაციას“ და „აღმასრულებელ კომიტეტში“.

3) 86-ე, 91-ე, 94-ე, მე-100 და 103-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 86. სოფლად, აგრეთვე ქალაქებსა და დაბებში, სადაც არ არის სამხედრო კომისარიატები, მცხოვრები ყველა სამხედრო ვალდებულისა და გასაწვევის პირველადი აღრიცხვა ევალება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს“.

„მუხლი 91. თადარიგის ოფიცრები სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანად პირადად უნდა გამოცხადდნენ სამხედრო კომისარიატებში. დასახლებული პუნქტების რაიონული სამხედრო კომისარიატებიდან დაშორებით მცხოვრები თადარიგის ოფიცრების სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და აღრიცხვიდან მოხსნა შეუძლიათ აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სამხედრო ვალდ-

ბულთა პირველადი აღრიცხვის წარმოება“.

„მუხლი 94. 89-92 მუხლებით დაღგენილი სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისათვის, აგრეთვ კომისარიატებში გამოძახებისთანავე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისათვის, სამხედრო-საალრიცხვო დოკუმენტების (სამხედრო ბილეთებისა და გასაწვევ უბნებზე მიწერის მოწმობების) განზრახ გაფუჭებისა თუ დაუდევრად შენახვისათვის, რამაც მათი დაკარგვა გამოიწვია, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, განათლების, მუშაობის ადგილისა და თანამდებობის შეცვლის შესახებ საალრიცხვო ორგანოებისათვის არადროული შეტყობინებისათვის მიიღებენ გაფრთხილებას ან დაჯარიმდებიან ათ მანეთამდე. ამ ჯარიმას მათ ადებს რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარი.

წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ის დარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლისთვისაც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, იწვევს ჯარიმას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, თუ ამ დარღვევას მისი ხასიათის გამო არ მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ სამხედრო კომისარმა უნდა აცნობოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობისა და სასწავლებლის ხელმძღვანელს სამხედრო ვალდებულისა თუ გასაწვევის მუშაობის (სწავლის) ადგილის მიხედვით“.

„მუხლი 100. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა, საწარმოთა,(დაწესებულებათა და იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც სახლების ექსპლუატაციას ახორციელებენ, აგრეთვე სახლის პატრონები მოვალენი არიან სამხედრო კომისარიატებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა პირველადი აღრიცხვა, დროულად წარადგინონ საბინაო დავთრები, მიწერის ბარათები და საალრიცხვო-სამხედრო დოკუმენტები იმ მობინადრეებზე, რომლებიც სამხედრო ვალდებულნი ან გასაწვევნი არიან, სამხედრო აღრიცხვაზე მათი აყვანისა და აღრიცხვიდან მოხსნის გასაფორმებლად ან საალრიცხვო მონაცემების შესადარებლად, და თვალყური ადევნონ სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების დაცვას, აგრეთვე აუწყონ სამხედრო ვალდებულებსა და გასაწვევებს სამხედრო კომისარიატებში გამოძახება“.

„მუხლი 103. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები მოვალენი არიან შვიდდღიან ვადაში რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარიატებს მიაწოდონ ცნობები იმ გასაწვევთა შესახებ, რომელთა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო სასამართლოები მოვალენი არიან ცნობები მიაწოდონ იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შევიდა განაჩენები მსჯავრდებულ სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა მიმართ.

იმ სამხედრო ვალდებულთა სამხედრო ბილეთები და მოწმობები გასაწვევ უბნებზე თავისუფლებაღკვეთილ, მათ შორის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობითად თავისუფლებაღკვეთილ გასაწვევთა მიწერის შესახებ სასამართლოებმა უნდა გაუგზავნონ შესაბამის სამხედრო კომისარიატებს;

II. შეტანილ იქნეს „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებაში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 35, მუხ. 368, 1982 წ., № 37, მუხ. 698; 1983 წ., № 9, მუხ. 138, № 34, მუხ. 522, 1984 წ. № 24, მუხ. 423; 1985 წ.; № 21 მუხ. 369) შემდეგი ცვლილებანი:

მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მეცხრე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ორგანოები — სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა მიერ „საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 89-92-ე მუხლებით დადგენილი სამხედრო კომისარიატში გამოძახებისას საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობისათვის, სამხედრო ბილეთებისა და გასაწვევ უბნებზე მიწერის მოწმობების განზრახ გაფუჭების ან დაუდევრად შენახვისათვის, რასაც მოჰყვა მათი დაკარგვა, საალრიცხვო ორგანოებში, სადაც სამხედრო აღრიცხვაზე იმყოფებიან საცხოვრებელი ადგილის მისამართის, განათლების, სამუშაო ადგილისა და თანამდებობის გამოცვლის შესახებ არადროული შეტყობინებისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 30 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

კვლავ მწყობრში

ნიკოლოზ პეტრეს ძე აკოფოვი თბილისის ერთ-ერთი მოწინავე და სახელმოხვეჭილი ადვოკატია. ეს ლიტონი სიტყვები არ გეგონოთ, ჰკითხეთ მოსამართლეებს, პროკურორებს, თვითონ ადვოკატის კოლეგებს, მოქალაქეებს, ყველას, ვისაც მასთან ჰქონია რაიმე ურთიერთობა და ისინი ერთსულოვნად დაადასტურებენ ამ აზრს. ავტორიტეტი და პატივისცემა კი ნიკოლოზმა პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით მოიპოვა. იგი მუდამ მომთხოვნი, სამართლიანი და შეუვალია ცხოვრებაში, საკუთარ თავსაც კი არასოდეს აპატიებს ზერელობას და ამ პრინციპით გულანთებული უკვე 30 წელია ერთგულებით ემსახურება სიყვარულით არჩეულ გზასა და საქმიანობას.

ერთი შეხედვით მოკრძალებული და უწყინარი კაცი საოცრად იცვლება სასამართლო პროცესზე, თუ იგრძნო სიმართლის გამრუდება. სულ უბრალო დარღვევასაც კი არავის აპატიებს, როგორც იტყვიან „რკინის ქალამნებს ჩაიცვამს“ და კანონის მოშველიებით აუცილებლად მიაღწევს გამარჯვებას. მიხვედრის უნარი კი ნამდვილად გამორჩეული აქვს, ისეთ დეტალს, უბრალო თვალით შეუმჩნეველ ფაქტს ჩაეკიდება, რომ ზოგიერთებს უკვირთ კიდეც. ეს ერთი შეხედვით თორემ, მალე ირკვევა, რომ საქმისათვის სწორედ ეს „უბრალო ფაქტია“ გადამწყვეტი.

„თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას — გულწრფელად ამბობს ნ. აკოფოვი — სპეციალობად ისევ ადვოკატობას ავირჩევდი, რადგან იგი საპატიო და დაფასებული პროფესიაა. მართლაცდა, იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, ადამიანი კმაყოფილი, თითქოს შენგან რაღაცნაირად დავალებული რომ გეტყვის მადლობას“.

აქვს, ნამდვილად აქვს ამისი თქმის უფლება უკვე დიდი ხნის ღვაწლმოსილ ადვოკატს.

თვითონაც არ ახსოვს როდის და რატომ გაუჩნდა სურვილი, რომ ადვოკატი გამხდარიყო. პირველ ნაბიჯებს დგამდა ცხოვრებაში, უკვე ოცნებობდა კიდეც იურისტობაზე, მაგრამ პროკურორობა და მოსამართლეობა მაინც არასოდეს უნატრია. ადვოკატობა და მხოლოდ ადვოკატობა იყო მისი მოწოდება, მისი მიზანი.

თუმცა, ამ სურვილს მაშინ ახდენა არ ეწერა. ომი დაიწყო და როგორც ყველა ახალგაზრდა, ისიც სამხედრო სამსახურში ჩადგა. დაამთავრა თუ არა სამხედრო საავიაციო საფრენოსნო სასწავლებელი, ნიკოლოზი 1941 წლიდან წითელ არმიაში მსახურობდა, ბრძოლით განელო მთელი ომი და ავადმყოფობის გამო 1947 წელს განთავისუფლდა კაპიტნის წოდებით.

ახლა კი დაუდგა ბავშვობისდროინდელი ოცნების აღსრულების დრო და 1951 წელს ნიკოლოზ აკოფოვმა მოსკოვის დაუსწრებელ იურიდიულ ინსტიტუტს მიაშურა. დაამთავრა თუ არა იგი, 1955 წელს, საკუთარი თხოვნით ჩაირიცხა ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში. მას შემდეგ 30 წელი გავიდა და დღემდე იგი ამ სახელოვანი კოლექტივის ღირსეული წევრია.

ვინ ჩამოთვლის ნ. აკოფოვის მიერ ამ ხნის მანძილზე წარმოებულ საქმეებს, სადაც მოქალაქეთა თუ წარმოება-დაწესებულებების ინტერესებს იგი მაღალკვალიფიციურად იცავდა. თავიანთი ხასიათითა და მნიშვნელობით ეს საქმეები ზოგი რთულია, ზოგიც უფრო ადვილი, ნაგრამ ისინი იურიდიულ ცოდნასთან ერთად ყოველთვის მოითხოვენ პროფესიულ მიხვედრილობას, განსწავლულობას და იმის უნარს, რომ შეგეძლოს დაამტკიცო სიმართლე, დააჯერო ის ადამიანები, ვინც საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს საქმის ბედი.

სამოქალაქო დავები, რაშიც ნ. აკოფოვი ასე კარგად დაოსტატდა, იმდენად რთული, მრავალფეროვანი და ზოგჯერ თითქმის გადაუწყვეტელიც კი არის, რომ იურისტებისაგან უდიდეს გამოცდილებას, დაფიქრებას და ერუდიციას მოითხოვს. შეიძლება ზოგჯერ ვერც შესძლო საქმის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ მთავარი ისაა შენი მარწმუნებელი კმაყოფილი გყავდეს. იქნებ ისიც დაგიჯეროს, რომ უარი თქვას პრეტენზიებზე და თავი დაანებოს გაუმართლებელ, დაუსაბუთებელ დავებს. ადვოკატის მოვალეობაც ხომ სწორედ ისაა, რომ საკითხის სამართლიანად და კანონის შესაბამისად გადაწყვეტისათვის იბრძოლოს, თორემ დაცვა სრულებითაც არ ნიშნავს დამნაშავისათვის ხელის დაფარებასა და დაუსაბუთებელი ვერსიების მტკიცებას მარწმუნებლის საამებლად. ადვოკატის ამ უპირველესი პრინციპისათვის ნიკოლოზ აკოფოვს არასოდეს უღალატნია.

მისი საადვოკატო მოღვაწეობა მარტო სასამართლოებში წარმოებული საქმეებით არ შემოიფარგლება. იგი იურიდიულ მომსახურებას უწევს ორ ორგანიზაციას, სისტემატურად აძლევს მოქალაქეებს უფასო რჩევა-დარიგებებს, ეხმარება ამხანაგურ სასამართლოებს, ატარებს ლექცია-საუბრებს, არის საზოგადოება „ცოდნის“ აქტიური წევრი.

ამასწინათ, როცა შეჯამდა ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატთა საქმიანობა, იგი სოცშეჯიბრში გამარჯვებულად ცნეს.

ღვაწლმოსილი ადვოკატი დღესაც მწყობრშია და ჩვეული ერთგულებით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

ა. არსენაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე

საქართველოს სსრ პროკურატურის მორიგ კოლეგიაზე რესპუბლიკის პროკურორის ვ. რაზმაძის თავმჯდომარეობით განხილეს მოქალაქეთა პირადი ქონების ძარცვის მიზეზების შესწავლის შედეგები და ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებაზე საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობა.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა ამ მიმართებით გარკვეულწილად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა, მაგრამ ყველგან ასე როდია. მაგალითად, ქალაქებში რუსთავში, ზუგდიდში, ქ. თბილისის ორჯონიკიძის, საქარხნო, ოქტომბრის, გლდანის, ქ. ქუთაისის ავტოქარხნის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ცხაკაიის, თელავის, ხაშურის, გარდაბნის, კასპის რაიონებში, აგრეთვე ტრანსპორტის მილიციის შესაბამის ტერიტორიებზე სათანადოდ ვერ აფასებენ ძარცვის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას, აკლიათ მიზანმიმართულება და შემტევითობა, არ ხორციელდება ღონისძიებანი ამ სახის დანაშაულობათა პროფილაქტიკისათვის, ჯეროვნად არ იბრძვიან აღნიშნულ დანაშაულობათა ისეთი მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების აღსაკვეთად, როგორიცაა ლოთობა, მუქთახორობა და რეციდიული დამნაშავეობა, მაშინ, როცა მძარცველთა 57 პროცენტმა დანაშაული ჩაიდინა მთვრალ მდგომარეობაში. ყოველი მეორე მძარცველი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწევა, ხოლო 46,3 პროცენტი — ადრე ნასამართლევია.

რეციდიული დანაშაული ართულებს შრომა-გასწორების დაწესებულებებში მოხვედრილ პირთა ხელახლა აღზრდას, სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათ ჩაბმას, პარაზიტული ცხოვრების მოყვარულთა მიმართ მილიციის ორგანოების მიერ ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებას. მდგომარეობა იმითაც მწვავდება, რომ უაჩაღური თავდასხმების რიგი შემთხვევები გაუხსნელია და დამნაშავენი დაუსჯელი არიან, ე. ი. განუხორციელებელია სასჯელის გარდუვალობის პრინციპი.

ძარცვის საქმეთა გახსნის დაბალ დონეს, ძირითადად, განაპირობებს დანაშაულის ადგილის ზერელე დათვალიერება, სისხლის სამართლის საქმეთა დაგვიანებით აღძვრა, უხარისხო ძიება, მომკვლევ ორგანოებთან გამომძიებლების შეუთანხმებელი მოქმედება, აგრეთვე ასეთ დანაშაულობათა მიჩქმალვის ჯერ კიდევ არსებული ფაქტები.

ცნობილია, რომ ცეცხლსროლელი და ცივი იარაღის უკანონო ტარება ხელს უწყობს ძარცვისა და სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენას. ცუდი მდგომარეობა გვაქვს ასეთი იარაღის დროულად ამოღების საქმეში.

მოქალაქეების პირადი ქონების ძარცვის შემთხვევათა 45,4 პროცენტი ქუჩებში პარკებსა და სკვერებში ხდება. ყოველივე ამას განაპირობებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საპატრულო-საგუშაგო და მილიციის ორგანოების სხვა გარე სამსახურების მოქმედების ორგანიზაციის დაბალი დონე.

ყველაზე სავალალოა ის, რომ უაჩაღურ თავდასხმებში ხშირად მოზარდებიც მონაწილეობენ, რაც უცილობლად მოწმობს სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, საცხოვრებელ ადგილებზე აღმზრდელობითი მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და მილიციის ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები სათანადოდ ვერ ახორციელებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, სუსტია კონტროლი პირობითად მსჯავრდადებულებზე და იმ პირებზე, რომელსაც სასჯელის აღსრულება გადაუვადდათ.

აფხაზეთის სსრ რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო, რაიონების, ტრანსპორტის, აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის პროკურორებს კოლეგიამ დაავალა ღრმად გაერკვნენ უაჩაღური თავდასხმების გამომწვევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზებში, შეიმუშაონ ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა, გააძლიერონ საპროკურორო ზედამხედველობა ყაჩაღური თავდასხმების შემოსვევათა რეგისტრაციის, აღრიცხვის, აგრეთვე შემოსული განცხადებებისა და ცნობების განხილვის კანონიერებაზე და უზრუნველყონ დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა.

კოლეგიამ განიხილა თიანეთის რაიონის პროკურორის ი. ბალიაურის მუშაობის შემოწმების შედეგები. აღინიშნა, რომ რაიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა მოდუნებულია, ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, გავლენას ვერ ახდენენ ეკონომიკის სფეროში კანონიერების განმტკიცებაზე. შესუსტებულია ბრძოლა დატაცების, უყაირათობის, მექრთამეობის, მიწერების, წუნდებული პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მუშაობაში არის არსებითი სახის ნაკლოვანებანი. საწარმოებში, დაწესებულებებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში კანონიერების დაცვაზე სათანადოდ არ ხორციელდება ზედამხედველობა, დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა.

სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაში არსებული დარღვევების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებისა და საპროკურორო ზედამხედველობის დაქვეითებისათვის თიანეთის რაიონის პროკურორი ი. ბალიაური გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

მ. ჟოსაფვილი,

საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

ადვოკატთა კოლეგიის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია

გაიმართა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის მორიგი საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების იურიდიული კონსულტაციების მიერ არჩეული 250 დელეგატი. კონფერენციაზე მოწვეულ იყვნენ აგრეთვე პროკურატურის, სასამართლოს და იუსტიციის ორგანოების წარმომადგენლები, მოწინავე ადვოკატები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. როინიშვილმა.**

დამტკიცდა კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ანგარიში და მისი შემდგომი მუშაობის ამოცანები გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1982 წლის 18 მაისის დადგენილებიდან;

2. სარევიზიო კომისიის ანგარიში;

3. საფინანსო ანგარიში და ახალი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება;

4. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა **გ. როინიშვილმა.**

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ გასული სამი წლის განმავლობაში გაწეულ იმ მუშაობაზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1982 წლის 18 მაისის დადგენილებით დასახულ ამოცანათა განხორციელებას მიეძღვნა. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რესპუბლიკის ადვოკატურაში უკანასკნელ პერიოდში მომხდარ ძვრებს. ამ მუშაობაში პრეზიდიუმი ყოველთვის ხელმძღვანელობდა სადირექტივო ორგანოების მითითებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროების ბრძანებებით და რეკომენდაციებით.

საანგარიშო პერიოდში — აღნიშნა გ. როინიშვილმა — განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების სამართლებრივი მომსახურების სფერო, ამაღლდა გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხი, მტკიცედ დამკვიდრდა იმის ტენდენცია, რომ ყოველწლიურად გაუმჯობესდეს მუშაობის რეალური მაჩვენებლები, გააქტიურდა საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა და პროფილაქტიკური მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააანალიზა რა მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები, მომხსენებელმა აღნიშნა, ისიც, რომ ზოგიერთი იურიდიული კონსულტაციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები შეუწყნარებლად დაბალია, რადგან იქ სათანადო ორგანიზაცია არ უკეთდება ადვოკატთა ყოველდღიურ საქმიანობას. შეიმჩნევა ისიც, რომ კონსულტაციებში თანაბრად არ ნაწილდება დავალებები, ანალიზი არ უკეთდება თვითეული მათგანის მუშაობას, დროულად და პრინციპულად არ ხდება რეაგირება დაშვებულ დარღვევებსა თუ გადაცდომებზე და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მთლიანად ვერ გარდაქმნა მუშაობა და ამის გამო დღემდე დაუძლეველია ის ნაკლოვანებანი, რაც სამართლიანად იყო აღნიშნული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ადვოკატურის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კადრების სწორად შერჩევა-განაწილებას, კოლეგიის რიგების შევსებას ახალგაზრდა სპეციალისტებით, ადვოკატთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას, მათ პროფესიულ დაოსტატებას და ა. შ. მიუხედავად ამისა, ადვოკატთა შორის, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოიძებნებიან ისეთი მუშაკები, რომელთა ცოდნის დონე და მორალური თვისებები შეუწყნარებლად სამარცხვინოა, ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობა კი ყოვლად შეუთავსებელი ადვოკატის საპატიო საქმესთან.

მოხსენების დასასრულს გ. როინიშვილმა რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, ქართველი ადვოკატები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები და ღირსეულად შეეხვდნენ სკკპ და საქართველოს კომპარტიის ყრილობებს.

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში **(მომხსენებელი ვ. ლესელიძე)** და საფინანსო ანგარიში და ხარჯთაღრიცხვა **(მომხსენებელი ლ. კორძაია)**

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუთაისის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი **გ. უგრეხელიძე,** ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი **ა. ლომინაძე,** თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი **ბ. ხომერიკი,** თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი **ნ. აკოფოვი,** რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე **ვ. იოსელიანი,** ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმთან არსებული სასამართლო დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მდივანი, ადვოკატი **ვ. ჟვანია,** ზესტაფონის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი **დ. მაღლაკელიძე,** თბილისის საქარხნო რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი **მ. ბლუმსკაია,** ცხაკაიას რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე **მ. რობაქიძე,** ახმეტის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე-ადვოკატი **ქ. სუხიაშვილი,** თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი **ჯ. ბაქრაძე.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ა. შუშანაშვილი** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე **თ. კოლუა.**

კონფერენციამ აირჩია ადვოკატთა კოლეგიის ხელმძღვანელი ორგანოები.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია **გ. ვ. როინიშვილი,** თავმჯდომარის მოადგილედ **ლ. მ. ზაიჩიკი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოსამსახურე ამერიკელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის, როგორც ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ აღიარებს, ნარკომანია ეპიდემიად იქცა. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ სამხედრო მოსამსახურეთა დაახლოებით 80 პროცენტი რეგულარულად მიმართავს ნარკოტიკულ საშუალებებს.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში მძარცველების მსხვერპლთა სიაში მოხვდა... ქალაქ ბერკლის (კალიფორნიის შტატი) პოლიციის შეფი. მისი ბინიდან ქურდებმა გაიტაცეს არა მარტო ძვირფასეულობა, ფული და სხვადასხვა ფასეულობანი, არამედ პოლიციის უფროსის საპარადო მუნდირიც. დაზარალებული მომხდარის კომენტირებას თავს არიდებს.

* * *

არიზონის (ამერიკის შეერთებული შტატები) ცნობილმა ქურდმა ჯო ალექს ბარკოვმა გადაწყვიტა ერთ-ერთი ფრიად მდიდარი ვილა გაექურდა კარგა ხნის წინათ მივიწყებული მეთოდით — ბუხრის საშუალებით. ბნელ ღამეს, როცა მეპატრონეებს ეძინათ იგი სახურავზე ავიდა. ვიდრე საკვამლე მილში ჩაძვრებოდა, ყველაფერი წინასწარ დასახული გეგმით მიმდინარეობდა. და აი, უცებ... მილის სივიწროვისა და ბარკოვის სიმსუქნის გამო ქურდი მილში გაიჭედა. სწორედ ამაზე უთქვამთ, წინ წყალი, უკან მეწყერიო. „მიშველეთ!“ — იყვირა სასოწარკვეთილმა ბედკრულმა ქურდმა. გამოღვიძებულმა მეპატრონეებმა ჯერ მეხანძრეებს გამოუძახეს, შემდეგ კი — პოლიციასაც. ახლა ჯოს დიეტაზე გადასვლის საშუალება მიეცა — დიახ, მისი პროფესიაც, მოითხოვს მუდამ ფორმაში ყოფნას.

* * *

ქალაქ პორტ-სუდანში საბაუოს მოხელეებმა აღმოაჩინეს თერთმეტნახევარი ტონა სპილოს ძვალი, რომელიც კონტრაბანდის სახით უნდა გადაეტანათ წითელი ზღვის გავლით. „საქონლის“ ღირებულება დაახლოებით 600 ათასი დოლარია. კონტრაბანდის მფლობელებმა, რა თქმა უნდა, ამჯობინეს არ გაჩუნილიყვნენ. სპეციალისტთა მტკიცებით, როგორც გაზეთი „ას-სახაფა“ წერს, ეშვები 1200 სპილოსი უნდა იყოს, რომლებიც სავარაუდოა დახოცეს სუდანის რომელიმე მეზობელ ქვეყანაში.

* * *

არასასიამოვნო ისტორია შეემთხვა კოსტარიკელ ხუან პრესს. იგი სასამართლოს წინაშე წარსდგა მას შემდეგ, რაც თავს დაესხა ბარის ორ კლიენტს, როგორმე თავი რომ ემართლებინა, ხუანმა მუდარით წარმოთქვა — მთვრალი ვიყავი და არაფერი მახსოვსო, სასამართლომ დიდსულოვნად გაითვალისწინა სამართალში მიცემულის ეს აღიარება და მას მკაცრი განაჩენი გამოუტანა: ხუან პერესს ოთხი წლის მანძილზე აუკრძალეს სპირტიანი სასმელების მიღება, უფრო მეტიც, იმ ადგილების მახლობლად გამოჩენაც კი, სადაც ასეთი სასმელები იყიდება. განაჩენი ყველაზე მეტად ხუანის მეუღლეს მოეწონა.

* * *

ჯორჯტაუნელი ლაიონელ ალვერდ ლაკხუ მსოფლიოში ყველაზე იღბლიან ადვოკატად არის მიჩნეული: 35 წლის მანძილზე 168 საქმეზე გამოვიდა დამცველად და ყველა მისი მარწმუნებელი გამართლდა. მხოლოდ 169-ე კლიენტი ცნეს დამნაშავედ და სიკვდილი მიუსაჯეს.

* * *

— მაშ თქვენ კარგად დაინახეთ, თუ როგორ დაახრჩო ამ კაცმა თქვენი სიდედრი?— ჰკითხა მოსამართლემ სამართალში მიცემულს.

— დიახ, კარგად დავინახე.

— მერე, რატომ არ მიეშველეთ?

— მინდოდა მივშველებოდი, მაგრამ ვიგრძენი, რომ თვითონაც შეძლებდა ამ საქმეს და ხელი აღარ შევუშალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები ავტორთა შესახებ

გრიგოლ არტემის ძე ერემოვი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი შრომის, წიგნისა და ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ივანე შალვას ძე ჟორდანია — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

გრიგოლ გრიგოლის ძე შალამბერიძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, პირველად იბეჭდება „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე.

კოკი თეოფანეს ძე ნარმანია — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, სისტემატურად თანამშრომლობს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

გრიგოლ ვასილის ძე როინიშვილი — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მესამედ იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სისტემატურად თანამშრომლობს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

რუსუდან დავითის ასული ფიფია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილების ასპირანტი, პირველად იბეჭდება ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

დიმიტრი ევგენის ძე მეტრეველი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილების ასპირანტი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

გიორგი ნესტორის ძე ნადარეიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი შრომისა და წიგნის ავტორი, სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შენობის ფასადი.

დ. იაკობაშვილის სლაიდი.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1985 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: 380110, Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

637/177

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76185